

1950/3



524/3


საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემიის

მოაზროვნობის
კომიტეტი

24

მარტ XVII, № 9



აცხადებული გარემონტი და გარემონტი გამოცემა

1956

ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା

1. ଶ୍ରୀ ପ୍ରଦୀପ କାର୍ତ୍ତିକୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	769
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
2. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	777
3. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	785
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
4. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	789
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
5. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	797
6. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	801
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
7. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	807
8. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	815
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
9. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	823
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
10. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	825
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
11. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	829
12. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	835
13. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	843
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
14. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	849
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
15. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	857
ପାଠ୍ୟମାତ୍ରିକା	
16. ଶ୍ରୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ. ଶିଖିତିର ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରେତାଙ୍କଳୀବା	861

პათიაგაძის

შ. ფხაგაძე

ზომის გაზრდელებადობა

(ჭარმოადგინა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა 20.4.1955)

ამ სტატიაში კონტინუუმის სიმძლავრეზე ნაკლები ან ტოლი მიუღწევადი კარდინალური რიცხვის⁽¹⁾ არარსებობის შესახებ ჰიპოთეზის დახმარებით ამოხსნილია ვ. სერპისკის ერთი პრობლემა.

მითითების გარეშე ვსარგებლობთ [1] შრომის შემოღებული ტერმინებითა და აღნიშვნებით.

თითოეულ უსასრულო კარდინალურ შ. რიცხვს შევუსაბამოთ კარდინალური რიცხვი შ., რომელიც ცალსახად განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

1°. შ. არის ჯამი მ.-ზე ნაკლები კარდინალური რიცხვებისა შესაკრებთა მ' რიცხვით;

2°. მ' პირველი კარდინალური რიცხვია, რომელიც აქმაყოფილებს 1° პირობას.

ანალოგიურად, თითოეულ დამწყებ ტრანსფინიტურ ჭ რიცხვს შევუსაბამოთ რიგობრივი რიცხვი ჭ', რომელიც ცალსახად განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

1'. ჭ კონფინალურია რიგობრივი ჭ' რიცხვისა;

2'. ჭ' პირველი რიგობრივი რიცხვია, რომელიც აქმაყოფილებს 1' პირობას.

შენიშვნა 1. კარდინალური რიცხვი მ' ყოველთვის რეგულარულია. ანალოგიურად, რიგობრივი რიცხვი ჭ' ყოველთვის რეგულარული (და, მაშასადამე, დამწყები) ტრანსფინიტური რიცხვია ([2], თავი III). უფრო ზუსტად ჭ' არის (ჭ') სიმძლავრის დამწყები ტრანსფინიტური რიცხვი.

კონტინუუმის სიმძლავრის დამწყები ტრანსფინიტური რიცხვი აღნიშნოთ ჭ ასოთი. ახლა გასაგებია ჭ' და ჭ' სიმბოლოების აზრი. ცხადია აგრეთვე, რომ ჭ' არის ჭ' სიმძლავრის დამწყები ტრანსფინიტური რიცხვი.

ვთქვათ, მ არის სიმრავლეთა რაიმე კლასი, მ კი— მ.-ზე განსაზღვრული სიმრავლის ფუნქცია, რომელიც აქმაყოფილებს პირობას: $-\infty < \mu(M) < +\infty$ თითოეული M სიმრავლისათვის M -დან. ვიტყვით, რომ M კლასი არის აუკიდიური, სადაც γ ნებისმიერი რიგობრივი რიცხვია, თუ იგი შეიცავს

(1) კარდინალურ რიცხვს ჭა-ს უწოდებენ მიუღ წევადს, თუ იგი არის რეგულარული (იხ. [2], თავი III) და მისი ინდექსი α ნულისაგან განსხვავებული ზღვრული რიგობრივი რიცხვია. კარდინალურ რიცხვს უწოდებენ მიღ წევადს, თუ იგი არაა მიუღწევადი.

მისი ელემენტების ნებისმიერ აუ-მიმდევრობის ჯამს. ვიტყვით აგრეთვე, რომ სიმრავლის ფუნქცია μ არის აუ-დიტიური, თუ წყვილ-წყვილად არმვეთი M კლასის სიმრავლეთა ნებისმიერ $M_0, M_1, M_2, \dots, M_\alpha \dots (\alpha < \omega)$ აუ-მიმდევრობისათვის ადგილი აქვს ტოლობას:

$$\mu \left(\sum_{0 \leq \alpha \leq \omega} M_\alpha \right) = \sum_{0 \leq \alpha < \omega} \mu(M_\alpha).$$

გარდა ამისა, ამბობენ, რომ μ არის \aleph_1 ტიპის ადიტიური ფუნქცია, თუ μ სასრულოდ ადიტიური ფუნქცია და ξ პირველი რიგობრივი რიცხვი ისეთი, რომ μ არაა ω_1 -ადიტიური.

მოცემული E სიმრავლის ქვესიმრავლეთა კლასზე განსაზღვრულ ნული-საგან განსსხვავებულ სიმრავლის სასრულ ფუნქციას μ -ს უწოდებენ განზოგადებულ ზომას E -ზე, თუ იგი არის ω_1 -ადიტიური და ნულად იქცევა ერთი ელემენტისგან შედგარ სიმრავლებზე. კარდინალურ \aleph_1 რიცხვს უწოდებენ ზომადს (ω_1 ზომა), თუ არსებობს (ω_1 არსებობს) განზოგადებული ზომა \aleph_1 სიმძლავრის მქონე ნებისმიერ E სიმრავლეზე.

ვთქვათ, M არის R^n სივრცის სიმრავლეთა აზონსნადი კლასი, მ კი— მასზე განსაზღვრული ზომა. ვიტყვით, რომ μ აქმაყოფილებს ერთადერთობის პირობას, თუ M -ზე განსაზღვრული ნებისმიერი ზომა ემთხვევა μ -ს.

$D(\aleph_\alpha)$, $M(\aleph_\alpha)$ და $M^*(\aleph_\alpha)$ სიმბოლოებით აღნიშნოთ შესაბამისად შემდეგი პიპოთებები:

ჰიპოთეზა $D(\aleph_\alpha)$. არ არსებობს მიუღწევადი კარდინალური რიცხვი $\aleph \leq \aleph_\alpha$.

ჰიპოთეზა $M(\aleph_\alpha)$. კარდინალური რიცხვი \aleph_α არაზომადია.

ჰიპოთეზა $M^*(\aleph_\alpha)$. ნებისმიერი კარდინალური \aleph_α რიცხვისათვის, რომელიც აქმაყოფილებს პირობას $\aleph_\alpha \leq \aleph_\alpha$, არ არსებობს არაუარყოფითი \aleph_α ტიპის განზოგადებული ზომა μ , განსაზღვრული \aleph_α სიმძლავრის მქონე რომელიმე E სიმრავლეზე.

შენიშვნა 2. ცნობილია, რომ $D(\aleph_\alpha) \rightarrow M(\aleph_\alpha) \rightarrow M^*(\aleph_\alpha)$ და, თუ \aleph_α მიღწევადი კარდინალური რიცხვია, მაშინ არ არსებობს \aleph_α ტიპის განზოგადებული ზომა (იხ. [3] და [4]).

სიმრავლის f_1 ფუნქციის უწოდოთ მოცემული (A) თვისების მქონე f სიმრავლის ფუნქციის გაგრძელება, თუ f_1 -ს აქვს (A) თვისება და აქმაყოფილებს პირობებს: $1^\circ D \subset D_1$, $D \neq D_1$, სადაც D და D_1 შესაბამისად f და f_1 ფუნქციების განსაზღვრის არებია, $2^\circ f = f_1$ D -ზე. აღნიშნულის შესაბამისად, ვიტყვით, რომ (A) თვისების მქონე სიმრავლის ფუნქცია f არის გაგრძელებადი (გაუგრძელებადი), თუ არსებობს (ω_1 არსებობს) მისი გაგრძელება.

ვ. სერბინსკიმ დასვა შემდეგი პრობლემა: არსებობს თუ არა არაგაუგრძელებადი ზომა? (იხ., მაგალ., [5]).

ამ შრომის მიზანია [6] შრომაში ფორმულირებული (A) თეორემისა და $M^*(\aleph')$ პიპოთეზის დახმარებით დამტკიცებულ იქნეს, რომ ნებისმიერი

ზომა გაგრძელებადია. გარდა ამისა, შრომაში ყოველგვარი ჰიპოთეზის გარეშე მტკიცდება შემდეგი: (B) ტაბის [(\mathcal{A}) ტაბის] ნებისმიერი ზომა გაგრძელებადია.

წინასწარ დაგვამტკიცოთ შემდეგი ლემები:

ლემა 1. ვთქვათ, $M \subset M$ სივრცის სიმრავლეთა სრული კლასი, მ კი—მასზე განსაზღვრული სრული ზომა. თუ A არის თითქმის(μ) ინვარიანტული (თითქმის ინვარიანტული) სიმრავლე, მაშინ არსებობს ამოხსნადი კლასი M_1 და მასზე განსაზღვრული μ_1 ზომა ისეთი, რომ $M \subset M_1$, $A \in M_1$ და $\mu_1 = \mu_{M-\text{ზე}}$. მაშასადამე, თუ $A \in M$, მაშინ μ ზომა არის გაგრძელებადი.

დამტკიცება. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ $M = M^*$ და $A \in M$ (იხ. [6], ლემა 3 და შენიშვნა მისი დამტკიცების შემდეგ). მაშინ მეორე ნაწილი ლემისა, მოთავსებული ფრჩხილებში, არის პირველი ნაწილის შედეგი. ამიტომ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ A თითქმის(μ) ინვარიანტული სიმრავლეა.

განვიხილოთ სიმრავლე $\bar{A} = A - A_1$, ხადაც A_1 μ -ზომადი გულია A სიმრავლისა. რადგან A სიმრავლე არაა μ -ზომადი და μ სრული ზომაა, გვაქვს $\tilde{\mu}(A) > 0$, $\tilde{\mu}(CA) > 0$. A_1 სიმრავლის თვლადი კონფიგურაცია A'_1 მაქსიმალური μ -ზომისა იქნება ან μ -ნულზომის სიმრავლე, ან თითქმის(μ) ინვარიანტული სიმრავლე. ადვილად დავმტკიცებთ, რომ $\mu(A_1 \Delta A'_1) = 0$. უკანასკნელი როთხი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, რომ \bar{A} და A საკუთრივ თითქმის(μ) ინვარიანტული სიმრავლეებია.

ახლა N -ით იღვნიშნოთ \bar{A} სიმრავლის ყველა თვლადი კონფიგურაციის კლასი. რადგან A თითქმის(μ) ინვარიანტული სიმრავლეა, ნებისმიერი სიმრავლე N -დან თითქმის(μ) ეკუთვნის \bar{A} -ს. ამრიგად, $\tilde{\mu}(N) = \tilde{\mu}(N \cdot \bar{A}) = 0$. ჩვენ ვხდათ, რომ სიმრავლეთა კლასი N აქმაყოფილებს [6] შრომის მე-3 ლემის პირობებს. ამიტომ, სხვნებული ლემის ძალით, არსებობს ამოხსნადი კლასი M_1 და ამ კლასზე განსაზღვრული ზომა μ_1 , ისეთი, რომ $M \subset M_1$, $A \in M_1$, და $\mu_1 = \mu_{M-\text{ზე}}$. აქედან, რადგან $A_1 \in M \subset M_1$, $\bar{A} \in M_1$ და $A = \bar{A} + A_1$, დავისკვით, რომ $A \in M_1$. ლემა დამტკიცებულია.

ლემა 2. თუ α' არის პირველი რიგობრივი რიცხვი ისეთი, რომ არსებობს არაუარყოფითი განზოგადებული ზომა N ას სიმძლავრის მქონე ნებისმიერ E სიმრავლეზე, მაშინ თითოეული არაუარყოფითი განზოგადებული μ ზომა $E-\text{ზე}$ იმავე დროს არის N ტიპის განზოგადებული ზომაც. მაშასადამე, α' არის აგრეთვე პირველი რიგობრივი რიცხვი ისეთი, რომ არსებობს არაუარყოფითი N ტიპის განზოგადებული ზომა N სიმძლავრის მქონე ნებისმიერ სიმრავლეზე.

დამტკიცება. ვთქვათ, E არის N სიმძლავრის მქონე სიმრავლე, მ კი—მასზე განსაზღვრული არაუარყოფითი განზოგადებული ზომა. დავუშვათ, რომ μ არაა N ტიპის განზოგადებული ზომა. მაშინ არსებობს რიგობრივი

რიცხვი $\alpha < \alpha'$ და $\tilde{\alpha} > \alpha$ -შემთხვევაში E სიმრავლის ქვე-
სიმრავლეთა აღ-მიმდევრობა $E_0, E_1, \dots, E_\beta, \dots$ ($\beta < \omega$) ისეთი, რომ

$$\mu \left(\sum_{\alpha \leq \beta < \omega} E_\beta \right) = \sum_{\alpha \leq \beta < \omega} \mu(E_\beta). \quad (1)$$

ცხადია, $\alpha > 0$ და $\mu(E_\beta) = 0$ თითოეული $\beta < \omega$ -თვის, გარდა, $\tilde{\alpha}$ -ს შემდევრობათა არა უმეტეს თვლადი სიმრავლისა. რადგან μ აღ-ადი-
ტურია, $\tilde{\alpha}$ -ს შემდევრობა ვიკულისხმოთ, რომ $\mu(E_\beta) = 0$ თითოეული $\beta < \omega$ -თვის.
მაშინ (1) თანაფარდობა $\tilde{\alpha}$ -ის ასე გადაიწეროს:

$$\mu \left(\sum_{\alpha \leq \beta < \omega} E_\beta \right) > 0.$$

აღვნიშნოთ E^* -ით ყველა E_β ($\alpha \leq \beta < \omega$) სიმრავლის სიმრავლე და μ^* განვ-
საზღვროთ შემდევრაირად: $\mu^*(E^*) = \mu(\tilde{E}^*)$, სადაც E^* არის E სიმრავლის-
ნებისმიერი ქვესიმრავლე, \tilde{E}^* კი— E^* -ში შემავალ სიმრავლეთა ჯამი. ადვი-
ლად შემოწმდება, რომ μ^* არაუარყოფითი განზოგადებული ზომაა E^*- ზე. მაგ-
რამ α' -ის განსაზღვრის თანახმად ეს შეუძლებელია, რადგან $\overline{E^*} = \aleph_0 < \aleph_0$ -
მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს ლემას.

ახლა დავამტკიცოთ შემდეგი

წინადადება 1. გაუგრძელებადი ზომის არსებობიდან გა-
მომდინარეობს ისეთი მიუღწევადი კარდინალური \aleph რიც-
ხვის არსებობა, რომელიც $\equiv \aleph$ და აკმაყოფილებს პირობას:
 \aleph სიმძლავრის მქონე ნებისმიერ E სიმრავლეზე არსებობს
 \aleph ტიპის არაუარყოფითი განზოგადებული ზომა.

დამტკიცება. ვთქვათ, μ არის გაუგრძელებადი ზომა, განსაზღვრული-
 R^n სივრცის სიმრავლეთა ამონსნად M კლასზე. ცხადია, რომ μ სრული ზომაა.—
გარდა ამისა, [6] შრომის მე-3 ლემის ძალით, $M = M^*$ (იხ. შენიშვნა ხსენე-
ბული ლემის დამტკიცების შემდეგ). მაშინადამე, M შეიცავს R^n სივრცის
ყველა არაკონტინუალურ სიმრავლეს.

ვთქვათ, $\{R_\alpha\}_{\alpha < \varphi}$, $\{K_\alpha\}_{\alpha < \varphi}$, $\{M_\alpha\}_{\alpha < \varphi}$ და $\{M'_\alpha\}_{\alpha < \varphi}$ ტრანსფინიტური ფ-მიმ-
დევრობებია, რომლებიც აკმაყოფილებენ (A) თეორემის პირობებს (იხ. [6]),
ცხადია, რომ

$$R^n = \sum_{\alpha \leq \alpha < \varphi} M'_\alpha,$$

$$M'_0 = M_0 + \sum_{\varphi' \leq \alpha < \varphi} M_\alpha$$

(თუ $\varphi = \varphi'$, მაშინ $\sum_{\varphi' \leq \alpha < \varphi} M_\alpha$ ცარიელი სიმრავლეა). შემდეგ, ცხადია, რომ

$$W(\varphi) = \sum_{\alpha \leq \alpha < \varphi} K'_\alpha, \quad M'_\alpha = \sum_{\sigma \in K'_\alpha} R_\sigma,$$

$$S_{\alpha \leq \alpha} K'_\alpha = K_\alpha \quad (\alpha < \alpha < \varphi') \quad \text{და}$$

$$K'_0 = K_0 + \sum_{\varphi' \leq \alpha < \varphi} K_\alpha.$$

(A) თეორემის თანახმად, თუ Φ $W(\varphi)$ -ის ნებისმიერი ქვესიმრავლეა, მაშინ $\sum_{\alpha \in \Phi} M'_\alpha$, კერძოდ თითოეული M'_α სიმრავლე ($0 \leq \alpha < \varphi'$), არის

თითქმის ინვარიანტული. მაშასადამე, პირველი ლემის ძალით, სიმრავლე $\sum_{\alpha \in \Phi} M'_\alpha$, კერძოდ თითოეული M'_α ($0 \leq \alpha < \varphi'$), არის μ -ზომადი. ამრიგად, $\alpha \in \Phi$

რაღაც M'_α ($0 \leq \alpha < \varphi'$) სიმრავლეები წყვილ-წყვილად არ იკვეთება, $\mu(M'_\alpha) = 0$ ყველა α -ოვის ($0 \leq \alpha < \varphi'$), გარდა, შესაძლოა, α -ს მნიშვნელობათა თვლადი სიმრავლისა. ამიტომ, რაღაც φ' არაა კონფინალური ω_0 -ისა, არსებობს ნულისაგან ვასნხვავებული რიგობრივი რიცხვი $\alpha^* < \varphi'$ ისეთი, რომ $\mu(M'_\alpha) = 0$, როცა $\alpha^* \leq \alpha < \varphi'$.

შემოვილოთ აღნიშვნები:

$$K^2_\alpha = K'_{\alpha*+\alpha} \quad (0 \leq \alpha < \varphi'); \quad M^2_\alpha = M'_{\alpha*+\alpha} \quad (0 \leq \alpha < \varphi'); \quad K = \sum_{0 \leq \alpha < \alpha^*} K'_\alpha.$$

ცხადია, რომ $M^2_\alpha = \sum_{\sigma \in K^2_\alpha} R_\sigma$.

ახლა, რაღაც $K_0 \subset K'_0 \subset K$ და, მაშასადამე, $\overline{\overline{K}} = \aleph$, K არის φ ტიპის საკუთრივი დალაგებული სიმრავლე. ამიტომ არსებობს \aleph' სიმძლავრის მქონე K სიმრავლის ქვესიმრავლე K' ისეთი, რომ K კონფინალურია K' -ისა. ცხადია, K' შესაძლებელია ჩაწერილ იქნეს როგორც რიგობრივ რიცხვთა ზრდადი φ' -მიმდევრობა: $\xi_0 < \xi_1 < \xi_2 < \dots < \xi_\alpha < \dots$ ($\alpha < \varphi'$). აღნიშნოთ

$$K^3_\alpha = E[\beta : \beta \in K, \xi_\alpha \leq \beta < \xi_{\alpha+1}] \quad (0 \leq \alpha < \varphi'); \quad K^*_\alpha = K^2_\alpha + K^3_\alpha \quad (0 \leq \alpha < \varphi');$$

$$M^*_\alpha = M^2_\alpha + \sum_{\sigma \in K^3_\alpha} R_\sigma \quad (0 \leq \alpha < \varphi'). \quad (2)$$

ცხადია, რომ $\overline{\overline{K}}^3 < \aleph$ და

$$M^*_\alpha = \sum_{\sigma \in K^3_\alpha} R_\sigma \quad (0 \leq \alpha < \varphi').$$

შემდეგ, რაღაც $\overline{\overline{K}}^3 < \aleph$ და ნებისმიერი $\sigma \in K^3_\alpha$ - თვის, (A) თეორემის ძალით (1° ; 6°), $R_\sigma \leq \alpha_\sigma \leq \alpha_{\xi_{\alpha+1}}$, გვექნება

$$\sum_{\sigma \in K^3_\alpha} R_\sigma \leq \max [\alpha_{\xi_{\alpha+1}}; \overline{\overline{K}}^3] < \aleph.$$

ამიტომ (2) თანაფარდობიდან გამომდინარეობს:

$$\mu(M^*_\alpha) = \mu(M^2_\alpha) = \mu(M'_{\alpha*+\alpha}) = 0.$$

გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ

$$W(\varphi) = \sum_{0 \leq \alpha < \varphi'} K^*_\alpha,$$

სადაც შესაკრებები წყვილ-წყვილად არმკვეთი კონტინუალური სიმრავლეებია. ცხადია აგრეთვე, რომ

$$R^n = \sum_{0 \leq \alpha < \varphi'} M^*_\alpha,$$

სადაც შესაკრებები წყვილ-წვევილად არ იკვეთება და $W(\varphi)$ სიმრავლის $\sum_{\alpha \in \Phi} M_\alpha^*$, კერძოდ ბისმიერი არაცარიელი Φ ქვესიმრავლისათვის, სიმრავლე $\sum_{\alpha \in \Phi} M_\alpha^*$, კერძოდ თითოეული M_α^* სიმრავლე ($0 \leq \alpha < \varphi'$), არის თითქმის ინვარიანტული, მაშა-სადამე, μ -ზომადიც.

ყველა M_α^* ($0 \leq \alpha < \varphi'$) სიმრავლის სიმრავლე აღვნიშნოთ E -ით-ვთქვათ, მა არის სიმრავლის ფუნქცია, განსაზღვრული E -ზე შემდეგი ფორ-მულით: $\mu_1(E) = \mu(E)$, სადაც E არის E სიმრავლის ნებისმიერი ქვესიმ-რავლე, E კი—ჯამი E -ში შემავალი ყველა M_α^* სიმრავლისა. აღვილად დავრწმუნდებით, რომ μ_1 არის არაურყოფითი განზოგადებული ზომა E -ზე—ახლა დამტკიცების დასრულებისათვის საკმარისია გამოვიყენოთ მე-2 ლემა—და შენიშვნა 2.

დამტკიცებული წინადადებილან უშუალოდ გამომდინარეობს შემდეგი თოორება 1. თუ $\exists i \in \text{თეზა } M^*(N')$ ($\exists i \in \text{თეზა } M(N')$; $\exists i \in \text{თეზა } D(N')$; კონტინუუმის $\exists i \in \text{თეზა } M$) სამართლიანია, მაშინ ნებისმიერი μ ზომა, განსაზღვრული R^n სივრცის სიმრავ-ლეთა ამოხსნად M კლასზე, გაგრძელებადია.

შემდგომ $[\mu = 0]$ -ით, სადაც μ ნებისმიერი ზომაა, აღვნიშნავთ μ -ნულ-ზომის სიმრავლეთა კლასს, $[\mu > 0]$ -ით კი—დადებითი μ -ზომის სიმრავლეთა კლასს.

თოორება 2. თუ M არის R^n სივრცის სიმრავლეთა ამოხს-ნადი კლასი, μ კი—მასზე განსაზღვრული ზომა, მაშინ დადე-ბითი μ -ზომის ნებისმიერ E სიმრავლის ქვესიმრავლეთა შო-რის არსებობს μ -არაზომადი E_1 სიმრავლე.

დამტკიცება. დავუშვათ წინააღმდეგი: არსებობს დადებითი μ -ზო-მის ისეთი E სიმრავლე, რომ მისი, ნებისმიერი ქვესიმრავლე კლასი განსაზღვრული ზომა μ_1 ისეთი, რომ $M \subset M_1$, $CE' \in M_1$ და $\mu(CE') = 0$. ამიტომ არსებობს ამოხსნადი კლასი M_1 და მასზე განსაზღვრული ზომა μ_1 ისეთი, რომ $M \subset M_1$, $CE' \in M_1$ და $\mu(CE') = 0$ (იხ. [6], ლემა 4). მაშასადამე, ან CE' სიმრავლე საკუთრივ თითქმის (μ) ინვარიან-ტულია, ან $\mu(CE') = 0$. ამიტომ არსებობს ამოხსნადი კლასი M_1 და მასზე განსაზღვრული ზომა μ_1 ისეთი, რომ $E \subset M_1$, $CE' \in M_1$ და $\mu(CE') = 0$ (იხ. [6], ლემა 4). შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ M_1 კლასი სრულია μ_1 -ის გიმართ-მაშინ, რადგან $\mu_1(CE') = 0$, CE' სიმრავლის ნებისმიერი ქვესიმრავლე არის μ_1 -ზომადი. გარდა ამისა, ჩვენი დაშვების ძალით, ცხადია, რომ E' სიმრავ-ლის ნებისმიერი ქვესიმრავლე კლასი განსაზღვრული ზომა. ამიტომ, რადგან $M \subset M_1$ და M_1 კლასი ადიტიურია, ვიტალის თეორემის საწინააღმდეგოდ, გამოდის, რომ ამოხსნადი კლასი M_1 ემთხვევა R^n სივრცის ყველა სიმრავლის კლასს. მიღე-ბული წინააღმდეგობა ამტკიცებს თეორემას.

შედეგი. ვთქვათ, M არის R^n სივრცის სიმრავლეთა სრული კლასი, μ კი—მასზე განსაზღვრული სრული ზომა. თუ $\mu_1 \subset M$, M -ზე განსაზღვრული რაიმე ზომა, მაშინ $[\mu = 0] \subset [\mu_1 = 0]$.

თმორება 1. ვთქვათ, M არის R^n სიგრცის სიმრავლეთა (B) ტიპის სრული კლასი, მ კი—მასზე განსაზღვრული (B) ტიპის სრული ზომა, მაშინ M -ზე განსაზღვრული ნებისმიერი μ_1 ზომა ემთხვევა ას.

დამტკიცება. წინა თეორემის შედეგის ძალით $[\mu = 0] \subset [\mu_1 = 0]$. ამიტომ, რადგან μ არის (B) ტიპის ზომა, ნებისმიერი დადებითი μ -ზომის სიმრავლე (კრძოლ ნებისმიერი დადებითი μ_1 -ზომის სიმრავლე) ამომწურავია μ_1 -ნულზომის სიმრავლეებამდე სიზუსტით. აქედან გამომდინარეობს, ერთი მხრივ, რომ μ_1 ზომა (B) ტიპისაა და, მეორე მხრივ, რომ μ_1 -ნულზომის ნებისმიერი E_1 სიმრავლე არ შეიძლება იყოს დადებითი μ -ზომისა (რადგან μ_1 -ნულზომის სიმრავლე არ შეიძლება იყოს μ_1 -ნულზომის სიმრავლეებამდე სიზუსტით ამომწურავი); ე. ი., $[\mu_1 = 0] \subset [\mu = 0]$. მაშასადამე, რადგან $[\mu = 0] \subset [\mu_1 = 0]$, გვექნება: $[\mu = 0] = [\mu_1 = 0]$ ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ დამტკიცების დასრულებისათვის საკმარისია ვაჩვენოთ შეუძლებლობა თანაფარდობისა: $\mu(E) > \mu_1(E) > 0$ ნებისმიერი E სიმრავლისათვის M -დან.

დავუშვათ, რომ არსებობს M კლასის ისეთი E_0 სიმრავლე, რომ $\mu(E_0) > \mu_1(E_0) > 0$. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ $E_0 = R_0^n$. შევნიშნოთ, რომ $\mu_0(E) = \mu(E) - \mu_1(E)$ μ_1 -ზომადი სიმრავლის საგებით აღიტიური ფუნქციაა E_0 -ზე. ამიტომ არსებობს E_0 სიმრავლის μ_1 -ზომადი ქვესიმრავლე P ისეთი, რომ $\mu(X) \equiv 0$ ($\text{შესაბამისად } \mu_0(X) \equiv 0$) P ($\text{შესაბამისად } E_0 - P$) სიმრავლის ნებისმიერ μ_1 -ზომადი X ქვესიმრავლისათვის [იხ. [8], თავი I, თეორემა (14.1)]. მაშინ, რადგან $\mu_0(P) = \mu(P) - \mu_1(P) > 0$, ზემოთ დამტკიცებულის თანახმად გვექნება: $\mu(P) > \mu_1(P) > 0$. გარდა ამისა, ცხადია, რომ P სიმრავლის ნებისმიერ μ -ზომადი X ქვესიმრავლისათვის $\mu(X) \equiv \mu_1(X) \equiv 0$. ახლა ადვილად შევნიშნავთ, რომ R_0^n შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად: $R_0^n = P_0 + P + P_1 \cdot R_0^n + P_2 \cdot R_0^n + \dots$, სადაც P_i ($i = 1, 2, \dots$) P სიმრავლის კონგრუნტული სიმრავლებია, $P_0 \subset C[P + P_1 \cdot R_0^n + P_2 \cdot R_0^n + \dots]$ და $\mu_1(P_0) = \mu(P_0) = 0$.

აღვნიშნოთ:

$P_1^* = CP \cdot P_1 R_0^n$; $P_i^* = C[P + P_1 \cdot R_0^n + P_2 \cdot R_0^n + \dots + P_{i-1} \cdot R_0^n] \cdot P_i \cdot R_0^n$ ($i = 2, 3, \dots$). ცხადია, რომ $R_0^n = P_0 + P + P_1^* + P_2^* + \dots$, სადაც შესაკრებები წყვილ-წყვილად ერთმანეთის არმქვეთი μ -ზომადი სიმრავლეებია და თითოეული P_i^* ($i = 1, 2, \dots$) კონგრუნტულია P სიმრავლის რაღაც ქვესიმრავლისა. ამიტომ $\mu(P_i^*) \equiv \mu_1(P_i)$ ($i = 1, 2, \dots$) და, მაშასადამე, რადგან $\mu(P) > \mu_1(P)$, გვექნება:

$$1 = \mu(R_0^n) = \mu(P) + \sum_{i=1}^{\infty} \mu(P_i^*) > \mu_1(P) + \sum_{i=1}^{\infty} \mu_1(P_i^*) = \mu_1(R_0^n) = 1.$$

მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს თეორემას.

თმორება 4. (B) ტიპის $[(A) ტიპის]$ ნებისმიერი ზომა გაგრძელებადია. სხვანაირად: (B) ტიპის $[(A) ტიპის]$ ნებისმიერი μ ზომისათვის არსებობს (B) ტიპის $[(A) ტიპის]$ ზომა μ_1 , რომელიც μ ზომის გაგრძელებაა.

ეს თეორემა წინა თეორემისა და [6] შრომის ბოლოში მოთავსებული შენიშვნის უბრალო შედეგია.

თმოლება 5. ნებისმიერი ზომა, რომელიც ერთად ერთობის პირობას აკმაყოფილებს, არის (B) ტიპის.

დამტკიცება. ვთქვათ, M არის R^n სივრცის სიმრავლეთა ამოხსნადი კლასი, მ კი—მასზე განსაზღვრული ზომა, რომელიც აკმაყოფილებს ერთად ერთობის პირობას. დავუშვათ, რომ μ არაა (B) ტიპისა. მაშინ არსებობს დადებითი μ -ზომის E სიმრავლე, რომელიც μ -ნულზომის სიმრავლეებამდე სიზუსტით არამომწურავია. ვთქვათ, E' არის E სიმრავლის თვლადი კონფიგურაცია მაქსიმალური μ -ზომისა. მაშინ E' საკუთრივ თითქმის (μ) ინვარიანტული სიმრავლეა (იხ. [6], ლემა 2). ამიტომ არსებობს R^n სივრცის სიმრავლეთა ამოხსნადი კლასი M და მასზე განსაზღვრული ზომა μ_1 , რომლებიც აკმაყოფილებენ პირობებს: $M \subset M_1$, $E' \in M_1$, $\mu_1(E') = 0$ (იხ. [6], ლემა 4). ცხადია, რომ თეორემის პირობის საჭინააღმდეგოდ, $\mu_1 \neq \mu$. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს თეორემას.

3, 4 და 5 თეორემებიდან გამომდინარეობს შემდეგი

თმოლება 6. თუ μ არის ზომა, რომელიც აკმაყოფილებს ერთად ერთობის პირობას, მაშინ არსებობს μ ზომის ისეთი გაგრძელება μ_1 , რომელიც აგრეთვე აკმაყოფილებს ერთად ერთობის პირობას.

დასასრულს აღვნიშნოთ, რომ სამართლიანია შენდეგი

თმოლება 7. R^n ($n = 1, 2$) სივრცის სიმრავლეთა ნორმალურ M კლასზე განსაზღვრული ნორმალური ზომა გაგრძელებადი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. რაზმაძის სახელობის

თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 20.4.1955)

დამომავლი დიტერატურა

- შ. ფხაკაძე. აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლეების შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 4, 1954.
- П. С. А л е к с а н д р о в . Введение в общую теорию множеств и функций. М., 1948.
- S. U l a m . Zur Masstheorie in der allgemeinen Mengenlehre. Fund. Math. t. XVI, 1930.
- W. S i e r p i n s k i . Hypothése du continu. Monografie Matematyczne 4, Warzawa—Lwow, 1934.
- Э. Ш п и л ь ရ ა ი ნ . К проблематике теории меры. Успехи математических наук, т. 1, вып. 2 (12), 1946.
- შ. ფხაკაძე. ამოხსნადი კლასების გაფართოებადობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 10, 1954.
- შ. ფხაკაძე. არაზომადი აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლეები, მათი თვლადი ჯამბი და საკუთრივ თითქმის ინვარიანტული სიმრავლეები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 5, 1954.
- C. C a k c . Teoriia integrala. M., 1949.

ფიზიკა

3. მაგასახლისობი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და
გ. ჭილაშვილი

მსუბუქი ატომგულების გახლეჩა კულონურ ველში

1. ამაჩქარებელთა ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა დიდი ენერგიის მქონე მსუბუქი ატომგულების ნაკადის მიღება. ასეთი ატომგულები მძიმე ატომგულების კულონურ ველში გავლისას შეიძლება გაიხლიობოს იმის მსგავსად, როგორც იმას ადგილი აქვს დეიტონის შემთხვევაში. დეიტონის გახლეჩასთან სრული ანალოგია გვექნება იმ გულებისათვის, რომლებიც გარსული მოდელის თანახმად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც $X_{\frac{1}{2}}$ ნაწილი და ერთი ნეიტრონი, რომელიც შედარებით სუსტადაა ბმული. ასეთი გულების მაგალითებია Be^9 (სუსტად ბმული ნეიტრონის ბმის ენერგია $\varepsilon = 1,67 \text{ Mev}$) c^{13} ($\varepsilon = 4,9 \text{ Mev}$), O^{17} (4,1 Mev) და სხვა.

სავიცყიდ განიხილა [1] Be^9 გულის გახლეჩა კულონურ ველში. მან მიიღო, რომ დაცემული Be^9 170 Mev ენერგიისათვის პროცესის ეფექტური განივცეთი 4.10⁻²⁹ Z² სმ²-ის ტოლია, სადაც Z იმ მძიმე გულის მუხტია, რომლის ველშიაც იშლება Be^9 . ცხადია, რომ ანალოგიური გამოთვლები შეიძლება ჩავატაროთ C^{13} , O^{17} და სხვა ატომგულებისათვისაც. განსხვავება მხოლოდ იმაში იქნება, რომ ამ გულებში სუსტად ბმული ნეიტრონი შეიძლება განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. მაგალითად, გარსული მოდელის თანახმად, O^{17} გულში სუსტად ბმული ნეიტრონი $d_{5/2}$ მდგომარეობაში იმყოფება. ქვემოთ მოყვანილი იქნება კულონურ ველში მსუბუქი ატომგულის გახლეჩის განივცეთის ფორმულები ზოგად შემთხვევაში, როცა სუსტად ბმული ნეიტრონი მსუბუქ გულში სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფება 1 ორგანტალური მომენტით.

მაგრამ უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია ისეთი შემთხვევების განხილვა, როცა მსუბუქი გული მძიმე გულის კულონურ ველში იყოფა ორ დამუხტულ ნაწილად. შრომაში [2] 340 Mev პროტონების ემულსიებზე მოქმედებით გამოწვეული „ვარსკვლავების“ გამოკვლევის შედეგად გამოთქმულია აზრი, რომ მსუბუქ გულებს მკვეთრად გამოხატული აღნავობა ანასიათებს. ამ შრომის ავტორების აზრით, მსუბუქი გულები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ნუკლონების გარკვეული ჯგუფებისაგან შეღენილი სისტემა (მაგალითად, ანაწილაკისა, ტრიტონებისა და დეიტონებისაგან).

ავტორების რიგმა [3,4] Li^6 -ის ($\alpha + H^2$) მოდელზე დაყრდნობით მიიღო სანტერესო დასკვნები ატომგულური რეაქციების შესახებ. არის გარკვეული

საფუძველი იმისა, რომ Li^7 გულიც რაღაც მიახლოებაში განხილულ იქნეს როგორც α - ნაწილაკისა და ტრიტონისაგან შეღენილი სისტემა. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ ტრიტონის ბმის ენერგია Li^7 ატომგულში შეოლოდ 2,52 Mev ტოლია, იმ დროს, როცა α - ნაწილაკისა და ტრიტონის შინაგანი ბმის ენერგიები შესაბამისად 28,2 Mev და 8,48 Mev ტოლია. ბმის ენერგიები Li^7 გულში არათანაბრადაა განაწილებული, ტრიტონისა და α - ნაწილაკში ნუკლონები უფრო ძლიერადაა ბმული, ვიდრე ტრიტონი და α - ნაწილაკი ერთმანეთთან. ეს აზრით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ტრიტონისა და α - ნაწილაკზე როგორც Li^7 გულის შემაღენელ ნაწილებზე. მივუთითოთ, რომ Li^7 -ის ასეთი მოდელის მიხედვით გამოთვლილი მაგნიტური მომენტი საკმარისად კარგ თანხმობაში იმყოფება ცდის მონაცემებთან. თუ ტრიტონის ფაქტორს განვსაზღვრავთ შემდეგი ფორმულებით⁴:

$$\mu_i = \frac{e\hbar}{2 M_t c} g_i, \quad \mu_s = \frac{e\hbar}{2 Mc} g_s S,$$

სადაც M_t -ის სახით ტრიტონის დაყვანილი მასა უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ Li^7 -ის მაგნიტური მომენტისათვის მიიღება (ატომგულური მაგნეტონებში)

$$\mu = \frac{7}{12} g_i + \frac{1}{2} g_s = 3,56$$

(იმ დაშვებით, რომ Li^7 გული იმყოფება $P_{3/2}$ მდგომარეობაში, ხოლო μ_s -თვის აღებულია ტრიტონის მაგნიტური მომენტის ექსპერიმენტული მნიშვნელობა). გულის მაგნიტური მომენტის გამოთვლილი 3,56 მნიშვნელობა კარგ თანხმობაშია ცდის 3,25 მონაცემთან, იმ დროს როცა გარსული მოდელი, რომლის თანახმად Li^7 გულის მაგნიტური მომენტი კენტი პროტონით განისაზღვრება, ამ გულის მაგნიტური მომენტისათვის 3,79 მნიშვნელობას იძლევა.

ასანიშნავია, რომ ზოგიერთი სხვა მსუბუქი ატომგულისათვისაც მიიღება ცდასთან დამაკამაყოფილებლად თანხვდენილი მაგნიტური მომენტის მნიშვნელობები, თუ დავუშვებთ, რომ $X_{2\frac{1}{2}\pm\frac{1}{2}}$ ტიპის გულებში მაგნიტური მომენტი განისაზღვრება კენტი პროტონით კი არა, არამედ ტრიტონით, რომელიც მოძრაობს ნარჩენი $X_{2\frac{1}{2}}$ გულის ველში. მაგალითად, მაგნიტური მომენტი Al^{13} გულისა, რომელიც, როგორც ცნობილია, $d_{5/2}$ მდგომარეობაში იმყოფება, ამ დაშვების თანახმად 3,72-ის ტოლია, რაც საკმარისად კარგ თანხმობაშია ექსპერიმენტულ 3,64 მნიშვნელობასთან, იმ დროს, როცა გარსული მოდელი Al მაგნიტური მომენტისათვის იძლევა 4.79 მნიშვნელობას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ცდის მონაცემებისაგან. მაგნიტური მომენტების ასე თუ ისე მისალები მნიშვნელობები, აღნიშნული დაშვების თანახმად, მიიღება აგრეთვე B_5^{10} (2.11) და F_9^{18} (2.98) გულებისათვისაც.

ბუნებრივია დავუშვათ, რომ ის გულები, რომლებიც მასისა და მუხტის ასიმეტრიულად განაწილების შხრივ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ორი ნაწილისაგან შემდგარი, ერთმანეთთან შედარებით სუსტი ბმით, მძიმე გუ-

⁴ ჩ-ით აღნიშნული გვაქვს პლანკის მუდმივი, გაყოფილი 2 π-ზე.

ლის კულონურ ველში გავლისას შესაძლებელია გაიყოს ორად, თუ გულის სიხშირის ცვალებადობა ისეთია, რომ ქვანტის შესაბამისი ენერგია $h\nu$ უფრო მეტია იმ ენერგიაზე, რომლითაც ეს ნაწილები ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მოცემული შრომა მიძღვნილია მსუბუქი გულების კულონურ ველში. განლენის ალბათობის გამოკვლევისადმი.

2. გულის შემადგენელი ნაწილების მასები და მუხტები აღვარიშნოთ M_1 და M_2 , Z'_1 და Z''_1 შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა $X_{\frac{1}{2}k}$ ნარჩენის გარდა გვაქვს სუსტად ბმული ნეიტრონი $Z'_1=0$ და $M_2=M$, სადაც M ნეიტრონის მასაა. დავუშვათ, რომ მსუბუქი გული მასთ $M_0 = M_1 + M_2$ და მუხტით $Z_1 = Z'_1 + Z''_1$ გადის Ze მუხტის მქონე გულის კულონურ ველში. კულონურ ურთიერთობების ზოგად შემთხვევაში ექნება სახე

$$V = \frac{Z_1 Ze^2}{r_1} + \frac{Z''_1 Ze^2}{r_2}, \quad (1)$$

სადაც r_1 და r_2 მანძილებია მსუბუქი გულის ორივე ნაწილის სიმძიმის ცენტრებიდან მძიმე გულის სიმძიმის ცენტრალდე. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მსუბუქი გულის რაციუსი გაცილებით მცირეა განსახილავი გულების ცენტრებს შორის მანძილზე. ამიტომ (1) ფორმულაში მიახლოებით შეიძლება დავგვშვათ $r_1 \approx r_2 = r$, სადაც r მანძილია განსახილავი გულების ცენტრებს შორის. იმ ათვლის სისტემაში, რომელშიაც მსუბუქი გული უძრავია, ხოლო მძიმე გული მოძრაობს, მსუბუქი გულის ელექტროსტატიკური ენერგია, რომელიც განიხილება როგორც შეშფოთება, ტოლია

$$V = \frac{Z_1 Ze^2}{[b^2 + (\zeta - vt)^2]^{1/2}}, \quad (2)$$

სადაც $Z_1 = Z'_1 + Z''_1$; v და ζ დერძის გასწვრივ მოძრავი მძიმე ატომგულის სიჩქარეა, ζ და b მსუბუქი გულის სიმძიმის ცენტრის (სადაც განხილულ მიახლოებაში მოთავსებულია მისი Ze მუხტი) პროექციებია ζ დერძზე და მის მართობულ მიმართულებაზე.

განხილული პროცესის დიფერენციალური ეფექტური განვკვეთი, როგორც ცნობილია, შეიძლება დავწეროთ შემდეგი სახით:

$$d\sigma = |A|^2 L^2 d\varepsilon_1 d\Omega_k \left(\frac{L}{2\pi} \right)^3 d\vec{k}, \quad (3)$$

სადაც ε_1 და \vec{k} გახლებილი მსუბუქი გულის ნაწილების ფარდობითი მოძრაობის ენერგია და ტალღური ვექტორია შესაბამისად, ხოლო \vec{k}_1 მსუბუქი გულის სიმძიმის ცენტრის ტალღური ვექტორია გახლების შემდეგ, L კუბის წიბოა,

$$A = \frac{i}{h} \int V_{if} e^{i\omega t} dt, \quad (4)$$

ამასთან

$$V_{if} = \int \psi_i V \psi_f^* d\vec{r} d\vec{r}_c, \quad (5)$$

აქ \vec{r}_c აღნიშნავს მოძრავი გულის სიმძიმის ცენტრის რადიუს-ვექტორს, ხოლო \vec{r} გახლებილი გულის პროდუქტების ფარდობითი მოძრაობის რადიუს-ვექტორია. (5) ფორმულაში შემავალი საწყისი და საბოლოო მდგომარეობის ტალღურ ფუნქციებს შემდევი სახე აქვს

$$\psi_i = L^{-3/2} e^{ik_0 \vec{r}} \psi_i(\vec{r}) e^{\frac{iE_0 t}{\hbar}} \quad (6)$$

$$\psi_f = L^{-3/2} e^{ik_1 \vec{r}} \psi_f(\vec{r}) e^{\frac{iE_1 t}{\hbar}},$$

სადაც \vec{k}_0 მსუბუქი გულის სიმძიმის ცენტრის ტალღური ვექტორია დაშლამდე. $E_0 = -\varepsilon$ დაშლის პროდუქტების ბმის ენერგიაა მსუბუქ გულში, $E_1 = \varepsilon_1 + h^2 k^2 / 2 (M_1 + M_2)$ მსუბუქი გულის სრული ენერგიაა დაშლის შემდეგ, $\psi_i(\vec{r})$ მოცულობაზე ნორმირებული მსუბუქი გულის ძირითადი მდგომარეობის ტალღური ფუნქციაა დაშლამდე, ხოლო $\psi_f(\vec{r})$ მსუბუქი გულის დაშლის პროდუქტების ფარდობითი მოძრაობის ფუნქციაა საბოლოო მდგომარეობაში, რომელიც შეგვიძლია ავილოთ ბრტყელი ტალღის სახით

$$\psi(\vec{r}) = \left[\frac{\mu \rho}{(2\pi\hbar)^3} \right]^{1/2} e^{ik\vec{r}}, \quad (7)$$

სადაც \vec{p} დაშლის პროდუქტების ფარდობითი მოძრაობის იმპულსია, ხოლო $\mu = \frac{M_1 M_2}{M_1 + M_2}$. ენერგიის შენახვის კანონის თანახმად გვაქვს

$$\hbar\omega = E_1 - E_0 = \varepsilon_1 + \varepsilon + \frac{h^2 k_1^2}{2(M_1 + M_2)}. \quad (8)$$

როგორც ნაჩვენებია შრომაში [5], მატრიცული ელემენტი A შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$A = \frac{2}{L^3} \frac{Z_1 Z e^2}{h v} J_k J_r, \quad (9)$$

სადაც

$$J_k = \frac{4\pi}{q^2} \frac{\sin\left(q_z - \frac{\omega}{v}\right) \frac{L}{2}}{\left(q_z - \frac{\omega}{v}\right)} \quad (10)$$

და

$$J_r = \int d\vec{r} \exp\left[-i \frac{M_1}{M_1 + M_2} (\vec{k}_1 \cdot \vec{r})\right] \psi_i(\vec{r}) \psi^*(\vec{r}), \quad (11)$$

ამასთან q , წარმოადგენს $\vec{q} = \frac{\vec{p}}{h}$ ვექტორის პროექციას კ ღერძზე. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ მსუბუქი გულების საკმარისად დიდი ენერგიებისათვის $\sim 100 \text{ MeV}$ სიდიდე $k_1 r \ll 1$, ამიტომ შეიძლება დავუშვათ

$$\exp \left\{ -i \frac{M_1}{M_1 + M_2} \vec{k}_1 \cdot \vec{r} \right\} = 1 - i \frac{M_1}{M_1 + M_2} (\vec{k}_1 \cdot \vec{r}). \quad (12)$$

თუ გავითვალისწინებთ (II) ფორმულას და Ψ ფუნქციების ორთოგონალობის პირობას, J_r -თვის შეიძლება დავწეროთ

$$J_r = -i \frac{M_1}{M_1 + M_2} \int (\vec{k}_1 \cdot \vec{r}) \psi^*(\vec{r}) \psi_l(\vec{r}) r^2 \sin \theta d\theta d\varphi.$$

აյ M_1 აღნიშნავს მსუბუქი გულის დაშლის შედეგად განთავისუფლებულ უფრო მსუბუქი პროდუქტის მასას, ე. ი. ნეიტრონის, დეიტონის ან ტრიტონის მასას.

თუ \vec{k}_1 და \vec{r} შორის კუთხეს Θ აღნიშნავთ, გვექნება

$$\cos \Theta = \cos \gamma \cos \Theta + \sin \gamma \sin \Theta \cos(\varphi - \varphi'), \quad (13)$$

სადაც γ კუთხეა \vec{k} და \vec{k}_1 ვექტორებს შორის. ამიტომ J_r ასეც შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$J_r = -i \frac{M_1}{M_1 + M_2} k_1 \cos \gamma \int \psi_l(\vec{r}) \psi^*(\vec{r}) r^3 dr. \quad (14)$$

ტალღური $\psi(\vec{r})$ ფუნქცია მოიცემა (7) ფორმულით. ბმული მდგომარეობის ტალღური $\psi_l(r)$ ფუნქციის განსასაზღვრავად საჭიროა შევარჩიოთ მსუბუქი ატომგულის შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგიის სახე. ჩვენ დაუშვებთ, რომ ურთიერთქმედება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს V_0 სილრმისა და R სიგანის პოტენციალური ორმოს სახით. ამ შემთხვევაში გვექნება

$$\psi_l(r) = \chi_l(r) Y_{lm}(\theta, \varphi), \quad (15)$$

სადაც

$$\chi_l(r) = C_l f_l(\beta r), \quad r < R$$

$$\chi_l(r) = C_l \frac{f_l(\beta R)}{k_l(\alpha R)} k_l(\alpha r), \quad r > R \quad (16)$$

ამასთან

$$f_l(x) = \sqrt{\frac{\pi}{2x}} J_{l+1/2}(x)$$

$$k_l(x) = \sqrt{\frac{2}{\pi x}} K_{l+1/2}(x) = \sqrt{\frac{2}{\pi x}} \frac{i\pi}{2} e^{\frac{il\pi}{2}} H_{l+1/2}^{(1)}(ix) \quad (16')$$

$$\alpha^2 = \frac{2\mu\varepsilon}{h^2}; \quad \beta^2 = \frac{2\mu(V_0 - \varepsilon)}{h^2}$$

(16) ფორმულებში $J_{l+1/2}(x)$ და $H_{l+1/2}^{(1)}(ix)$ ბესელისა და ჰანკელის ფუნქციებია შესაბამისად. უწყვეტობის პირობა $r=R$ წერტილზე და ნორმირება გვაძლევს

$$\frac{-\alpha K_{l-1}(\alpha R)}{K_l(\alpha R)} = \frac{\beta f_{l-1}(\beta R)}{f_l(\beta R)} \quad (17)$$

და

$$C_l^2 = \frac{2\alpha^2}{(\alpha^2 + \beta^2)R^3} \frac{1}{|f_{l-1}(\beta R) f_{l+1}(\beta R)|}. \quad (18)$$

აღვილია ჩვენება, რომ $|J_r|^2$ -ისათვის საშუალოებით გასაშუალოების შეშლება, საბოლოოდ მიღება

$$|J_r|^2 = \left(\frac{M_1}{M_1 + M_2} \right)^2 \frac{p_1 \cos^2 \gamma}{h^2} \frac{4\pi \mu p}{(2\pi h)^3} \left\{ \frac{(l+1)^2}{(2l+1)^2} D_{l,l+1}^2 + \frac{l^2}{(2l+1)^2} D_{l,l+1}^2 \right\}, \quad (19)$$

სადაც

$$D_{l,l\pm 1} = C_l \int_0^R f_l(\beta r) f_{l\pm 1}(kr) r^3 dr + C_l \frac{f_l(\beta R)}{k_l(\alpha R)} \int_R^\infty k_l(\alpha r) f_{l\pm 1}(kr) r^3 dr. \quad (20)$$

3. განვიხილოთ ზოგიერთი კერძო შემთხვევა. დავუშვათ, რომ საშუალოებით $l=1$; ასეთ შემთხვევას აღგილი აქვს, მაგალითად, Lt^7 ატომგულში. ამ უკანასკნელს ჩვენ განვიხილავთ როგორც α - ნაწილაკისა და ტრიტონისაგან შეღენილს. ამასთან ტრიტონის ფარდობითი მოძრაობის ობიექტალური მომენტი $l=1$ ($P_{3/2}$ მდგომარეობა).

გამოთვლების შედეგად დიფერენციალური განივჯეთისათვის მარტივად მივიღებთ

$$d\sigma = \frac{1080}{2989} \left(\frac{Z_1 Z e^2}{h\nu} \right)^2 \Phi_1(\varepsilon_1) \frac{d\varepsilon_1}{\varepsilon_1^{3/2}} \ln \frac{h\nu}{(\varepsilon + \varepsilon_1)R}, \quad (21)$$

სადაც

$$\Phi_1(\varepsilon_1) = \left\{ \left(a_1 + \frac{a_2}{\sqrt{\varepsilon_1}} \right) \sin V \sqrt{\rho \varepsilon_1} - \left(\frac{a_3}{\varepsilon_1} + a_4 - \frac{a_5}{\sqrt{\varepsilon_1}} \right) \cos V \sqrt{\rho \varepsilon_1} \right\}^2, \quad (22)$$

ამასთან

$$a_1 = \frac{C_1}{\beta^2}$$

$$a_2 = \frac{h}{V^2 \mu} \left[\beta R^2 f_0(\beta R) - \frac{1}{\beta} \right] C_1$$

$$a_3 = \frac{h^2}{2\mu} 2\beta R f_0(\beta R) C_1, \quad (23)$$

$$a_4 = \frac{1 + \alpha R}{\alpha^2} (\beta R) f_0(\beta R) C_1,$$

$$a_5 = \frac{h}{\sqrt{2\mu}} R \cdot C_1,$$

$$\rho = \frac{2\mu R^2}{h^2}.$$

C_1 კოეფიციენტი განისაზღვრება (18) ფორმულიდან, ხოლო სიღიდე ε , რომელიც შედის (21) ფორმულაში, აღნიშნავს ტრიტონის ბმის ენერგიას Li^{17} გულში და ტოლია 2,52 Mev.

4. ბოლოს განვიხილოთ შემთხვევა, როცა მსუბუქ გულს საწყის მდგომარეობაში ორის ტოლი ორბიტალური მომენტი აქვს ($l = 2$). ასეთ შემთხვევას ვხვდებით, მაგალითად, O^{17} გულში, რომელშიც კენტი ნეიტრონი $d_{5/2}$ მდგომარეობაშია.

პროცესის ეფექტური განვკვეთისათვის გვექნება

$$d\sigma = \left(\frac{1}{6I} \right) \left(\frac{Z_1 Z e^2}{hv} \right)^2 \frac{h}{V 8\mu} \frac{\sin^2 V \rho \varepsilon_1}{\varepsilon_1^{3/2}} \Phi_1(\varepsilon_1) d\varepsilon_1 \ln \frac{hv}{(\varepsilon + \varepsilon_1) R}, \quad (24)$$

სადაც

$$\Phi_1(\varepsilon_1) = \left\{ \frac{B}{\varepsilon_1} - \frac{D(1 + \cotg^2 V \rho \varepsilon_1)}{V \varepsilon_1} + A - D_1 R \cotg V \rho \varepsilon_1 \right\}^2, \quad (25)$$

ამასთან

$$A = \frac{6\alpha^2}{(\alpha^2 + \beta^2) f_1(\beta R) f_3(\beta R) R^3} \left[\frac{1 - f_0(\beta R)}{\beta^2} + \frac{\beta^2 (1 + \alpha R)}{\alpha^4} f_0(\beta R) \right]$$

$$B = 6 \left(\frac{h^2}{2\mu} \right) \frac{\beta^2 \alpha}{(\alpha^2 + \beta^2) R^2} \frac{f_0(\beta R)}{f_3(\beta R) f_1(\beta R)}, \quad (26)$$

$$D = \frac{h^2}{(2\mu)^{3/2}} \frac{2\beta^2}{(\alpha^2 + \beta^2) R^2} \frac{f_0(\beta R)}{f_3(\beta R) f_1(\beta R)},$$

$$D_1 = \frac{2\beta^2}{(\alpha^2 + \beta^2) R^2} \frac{f_0(\beta R)}{f_3(\beta R) f_1(\beta R)} = \frac{h^2}{(2\mu)^{3/2}} D.$$

ჩვენ მიერ ზემოთ მიღებული დიფერენციალური ეფექტური განვკვეთების ცველა ფორმულაში შედის სიღიდე βR , რომელიც წარმოადგენს (17) ტრანსცენდენტული განტოლების ამოხსნას. შევარჩევთ რა გულის R ჩადიოსს და მოვითხოვთ, რომ ორმოს სიმაღლე V_0 იყოს მისაღებ ინტერგალში 5-დან 30—Mev-მდე, შეიძლება β ცალსახად განისაზღვროს (17) განტოლების ამოხსნით I -ის მოცემული მნიშვნელობისათვის. გარდა ამისა, საბოლოო ფორ-

მულებში საჭიროა ლაბორატორულ სისტემაზე (საღაც უძრავია მძიმე გული და მოძრაობს მსუბუქი) გადასვლა. ეს გადასვლა შეიძლება მოვახდინოთ იმის ანალოგიურად, რაც გვაქვს დეიტონის კულონური ველით დაშლის თეორიაში [5].

დაბოლოს შევნიშნავთ, რომ მსუბუქი გულის კულონურ ველში დაშლის ეფექტური განვკვეთის სიდიდის რიგი ენერგიის დაახლოებით 100 Mev მნიშვნელობის ღრას $\sim 10^{-29} (ZZ_1)^2 \text{ Sm}^2$ -ის ტოლია.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 16.3.1956)

დამოუკიდებლი ლიტერატურა

1. J. Sawicki. Disintegration Of the Be⁹-Nucleus in Coulomb Field. Acta Phys. Polonica, XIV, 1955, 135.
2. P. Cüre, G. Combe. Sur la traversée des noyaux légers et lourds de l'emulsion Photographique par des protons de 340 Mev. C. R. Acad. Sci. № 4, 1954, 239.
3. И. Ващакидзе и Г. Чилашвили. Фотоэлектрическое расщепление ядра Li⁶. ЖЭТФ 26, 1954, 254.
4. J. Dabrowski, J. Sawicki. Simple Model of the Li⁶ Nucleus and the Li⁶(n, t) He⁴ Reaction. Phys. Rev. 97, 1955, 1002.
5. S. M. Dancoff. Disintegration of the Deuteron in Flight. Phys. Rev. 72, 1947, 1017.


ფიზიკა

გ. მუსხელიშვილი, რ. ლუდვიგოვი, გ. კახიძე

ახალი სისტემების სარჩვლები ვილსონის კამერებისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ე. ანდრონიკაშვილმა 13.4.1956)

თანამედროვე სარქველები, რომლებსაც ვილსონის კამერებზე ხმარობენ, ან შეტაღ რთულია, ან შედარებით სიმარტივესთან ერთად მათ რიგი უარყოფითი თვისებები აქვს. მაგალითად, ელექტრომაგნიტური ტიპის სარქველის გახსნა



ნახ. 1

შეართავი იმპულსის მიმართ, სეკუნდის რამდენიმე მეტასედიდან რამდენიმე მეტასედამდე იგვიანებს. ეს დაგვიანების დრო დამკიდებულია სარქველის კონსტრუქციაზე. გარდა ამისა, ელექტრომაგნიტური სარქველი ელექტრო-

50. „მომბე“, ტ. XVII, № 9, 1956

ენერგიის საკმაოდ დიდ რაოდენობას ხარჯავს, რაც კამერის თერმოსტატი-რების გართულებას იწვევს; ამ სარქველების გამოყენება მაგნიტურ ველში მოთავსებულ კამერებზე სპეციალურ ექრანირებას მოითხოვს.

ვაკუუმურ ფერქად სარქველებს მეტად მცირე დაგვიანების დრო (10^{-5} სეკუნდის რიგისა) ახასიათებს, მაგრამ მათი გამოყენება დაკავშირებულია ზოგიერთ ტექნიკურ სირთულესთან. ვაკუუმური ტუმბოს აუცილებლობა სრულიად გამორიცხავს ამ ტიპის სარქველის გამოყენებას იმ კამერებზე, რომლებიც სტრატოსფეროში იგზავნება. გარდა ამისა, სარქველი ღია მდგომარეობაში იმყოფება მცირე დროის განმავლობაში, რასაც თან სდევს კამერის ქვედა მოცულობაში წნევის ნაწილის შენარჩუნება. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დამატებითი ზომების მიღება.

ჩვენ მიერ შემუშავებულ ელექტროდინამიკურ სარქველს ზემოთ მოყვანილი უარყოფითი ოვისებები არ აქვთ. მას ახასიათებს დაგვიანების საკმაოდ მცირე დრო (10^{-4} სეკ რიგისა) და შედარებითი სიმარტივე.


სარქველის პირველი ექსპერიმენტული მოდელის სქემა მოცემულია ნახ. 1-ზე. ორმაგი ელექტრომაგნიტი (1), რომელშიაც მოთავსებულია კოჰები (2) და (10), ქმნის მაგნიტურ ველს (5) და (6) ლრეჩოებში. რბილი ფოლადისგან დამზადებულ ღუზის (4), რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული (3) ჭოგთან, (5) ლრეჩოში შექმნილი მაგნიტური ველის საშუალებით სარქველი დახურულ მდგომარეობაში უჭირავს (ამ ნაწილში სარქველი ანალოგიურია ელექტრომაგნიტურისა). სარქველის გაღება ხდება (9) კოჭას საშუალებით; იგი დახვეულია თხელკედლიან გეტინაქსის ცილინდრზე (8), რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სარქველის ჯამთან (7) და მოთავსებულია (6) ლრეჩოს მაგნიტურ ველში. სარქველის გაღება ხდება კოჭაში იმპულსური დენის გატარებით, რომელიც მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებისას გამდება ძალას ქმნის.

რადგან ამგვარი სისტემების ზუსტი გათვლა მეტისმეტად ძნელია, პრაქტიკულად უფრო ხელსაყრელია ნახევრად ემპირიული მეთოდი.

აღწერილი სარქველი იყო გამოცდილი კამერის ქვედა მოცულობაში 0,5 ატმოსფეროს წნევისათვის. გამდებ ძალას ქმნიდა 300 კონტაქტურ დამუხტული 20 მკფ ტევადობის მქონე კონდენსატორი, რომლის დაცვა ხდებოდა $TG\ 1-0,1/1,3$ ტირატრონის საშუალებით. ამ უკანასკნელის კათოდის წრედში ჩართული იყო კოჭა (9). კოჭის დიამეტრი იყო 20 მმ, ხვიათა რიცხვი 200 (მავთული $\Pi\mathcal{E}\mathcal{L}-0,14$). ლრეჩოში (5) მაგნიტური ველის რეგულირება ხდებოდა ისე, რომ ღუზის (4) მიზიდულობის ძალა სარქველის ჯამზე წნევის ძალას დაახლოებით 1 კგ აღემატებოდა. ამ პირობებში დაგვიანების დრო უდრიდა ($2-3 \cdot 10^{-4}$ სეკ. აშკარაა, რომ ელექტრომაგნიტის მუდმივი მაგნიტით შეცვლისას სარქველი შეიძლება უშუალოდ გამოვიყენოთ იმ კამერებზე, რომლებიც მცირე წნევებით მუშაობენ. იმისათვის, რომ სარქველის ამუშავება შესაძლებელი იყოს მცირე სიმძლავრის იმპულსებით, ღუზის (4) მიზიდულობის ძალის რეგულირება მაგნიტური შუნტის საშუალებით უნდა ხდებოდეს.

იმ შემთხვევებისათვის, როდესაც უფრო დიდ წნევებთან და სარქვლის უფრო დიდ ფართთან გვაქვს საქმე, ჩვენ შევიმუშავეთ სარქველი სპეციალური კომპენსატორით (9) (იხ. ნახ. 2). ამან შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყენებინა მცირე წრიული მუდმივი მაგნიტი (ჩვენ გამოვიყენეთ 1,5-ვატიანი ელექტროდინამიკური ხმამაღლამოლაპარაკის მაგნიტი).

კომპენსატორი მცირდოდა დაკავშირებული სარქვლის ჭოგთან და კეტავს დამხმარე მოცულობის (10) ხვრელს (11). დამხმარე მოცულობა შეერთებულია



ნახ. 2. 1—წრიული მუდმივი მაგნიტი; 2—კამერის ქვე-
და მოცულობის გამოსაშვები ხვრელი; 3—სარქველის
ჯამი; 4—მაგნიტის ლრიაჩ; 5—ღუზა; 6—ჭოგი; 7—
კოჭა; 8—გეტინაქსის ცილინდრი; 9—კომპენსატორი;
10—დამხმარე მოცულობა; 11—დამხმარე მოცულობის
გამოსაშვები ხვრელი

კამერის ქვედა მოცულობასთან. ამის გამო სარქვლის ჯამზე (3) მოქმედი ძალა მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილდება კომპენსატორზე (9) მოქმედი ძალით. მოცულ კონსტრუქციაში გამოყენებული იყო არასრული კომპენსაცია (კა-
მერის ქვედა მოცულობის გამოსაშვები ხვრელის ფართი მეტი იყო დამხმარე მოცულობის ხვრელის ფართზე), რაღაც ეს გვაძლევდა მცირე სიმძლავრის იმპულსების გამოყენების საშუალებას.

იმპულსები მიიღებოდა ხუთას ვოლტამდე დამუხტული 50 მეტ ტევადობის კონდენსატორის დაცლით $TG\ 1-0,1/1,3$ ტირატრონის საშუალებით. კოჭის (7) დიამეტრია 18 მმ, ხეიათა რიცხვი 70 (მავთული $\Pi\text{E}\text{L}-0,2$). ფართების შეფარდება 1,2 უდრის. ამ პირობებში დაგვიანების დრო ტოლი იყო $1,4 \cdot 10^{-4}$ სეკ.

სარქველი მდგრად მუშაობდა 1,5 ატმოსფეროს წნევამდე. ელექტროლინა-მიკური სარქვლები ღია რჩება დროის ნებისმიერი შუალედის განმავლობაში. მათი დახურვისათვის საქმარისია კოჭაში შებრუნებული პოლარობის იმპულსის გატარება. სარქვლები არ მოითხოვენ მაგნიტურ ეკრანირებას, რადგანაც გაბნეული მაგნიტური ველები აადვილებენ მათ მუშაობას. ამავე პრინციპზე აგებული სარქვლები შეიძლება მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდეს მართულ თხევად წყალბადიან კამერებთან მუშაობისას, რადგანაც ისინი სითბოს გამოყოფენ მხოლოდ გაღების მომენტში, აფეთქების მხრივ არასახითათონი არიან და დაგვიანების დრო საკმაოდ მცირე აქვთ.

ავტორები მაღლობას უძღვნიან ინჟინერ ს. ტულგეს მუშაობაში დასმარებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფიზიკის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 14.4.1956)

გოფილია

ა. ბუნიაძე და გ. ფარაშვილი

სეისმოლექტის რაგისტრაციის ცდები

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ 17.3.1956)


ცნობილია, რომ, თუ მიწის ქერქის რომელიმე უბანში შექმნილია ხელოვნური ელექტრული ველი, უბანის შერყევა იწვევს ამ ველის ცვლილებას და ე. წ. პირველი გვარის სეისმოლექტრული ეფექტის წარმოქმნას, რომელიც, აღმათ, განპირობებულია შერყევის გამო მიწის ელექტრული წინაღმდეგობის ცვლილებით. ეს ეფექტი, რომელსაც ჩვეულებრივ „J-ეფექტს“ უწოდებენ, შეიძლება ჩაწეროს ოსცილოგრაფის საშუალებით. ა. ივანოვმა 1938 წელს აღმოაჩინა სხვაგვარი სეისმოლექტრული ეფექტი [1, 2, 3], რომელიც შეიძენება მიწაში ხელოვნური დენის არსებობის გარეშე. ამ ეფექტს მან უწოდა მეორე გვარის სეისმოლექტრული, ანუ „E-ეფექტი“. ეს მოვლენა შემდეგით გამოიხატება: თუ ისეთი ელექტრული წრედის მახლობლად, რომელიც მიწასთან შეერთებულია ორი უპოლარიზაციი ელექტროდით და რომელშიც დენი არ გადის, მიწის შერყევას მოვახდენთ, წრედში აღიძრება ელექტრული იმპულსები.

ა. ივანოვი ამ მოვლენას სხნის ქანების ელექტრიზაციით, მათში დრეკადი ტალღის გავლის დროს. მისი აზრით, მიწის ქერქის ფენების ეს ელექტრიზაცია განპირობებულია მთის ქანებში მყარი და თხევადი ფაზების არსებობით. დრეკადი ტალღის გავლის დროს ხდება ელექტროლიტის და მყარი ნაწილაკების შეისური ურთიერთგადადგილება, რაც წარმოშობს ე. წ. ფილტრაციულ პოტენციალებს. არსებობს ამ მოვლენის სხვაგვარი ასენაც. უნდა აღინიშნოს, რომ იმდენად, რამდენადც მიწის ქერქში მუდმივად მოძრაობენ ე. წ. მიწის დენები, „E-ეფექტი“ პრინციპულად არ განსხვავდება „J-ეფექტისაგან“, ე. ი. ქაც მიწაში უკვე არსებული ველის ცვლილება ხდება. საერთოდ „E-ეფექტის“ წარმოქმნის შექანიშმი მოწმობს, რომ ის ყოველთვის უნდა თან ერთვოდეს „J-ეფექტს“.

მეორე გვარის სეისმოლექტრული ეფექტის აღმოჩენას მეტად დიდა მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია წარმოქმნილი ელექტრომამოძრავებელი ძალები გამოვიყენოთ დრეკადი რხევების რეგისტრაციისათვის. რეგისტრაციის ეს შეთობი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ ჩაწერთ მოცულობით ეფექტს. აღმოჩენილი ეფექტის დიდი მნიშვნელობა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მიწის ელექტრომაგნიტური ველის ცვლილებებზე დაკვირვების საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მასში მომხდარი რყევების შესახებ. ამგვარად, მიწისძრების შესახებ, რომელიც მიწის ქერქის სიღრმეში წარმოიშობიან და დედამიწის ზედაპირზე დრეკადი რხევების სახით გამოვლინდებიან, ჩვენ შეგვიძლია მიწის ელექტრომაგნიტურ ველზე დაკვირვებების საშუალებით ვიმსჯელოთ.

გარეგნულად სეისმოლექტრული ეფექტი იმით მულავნდება, რომ დაკვირვების წერტილში ელექტრომაგნიტური ტალღის მოსვლა წინ უსწრებს დრეკადი ტალღის მოსვლის მომენტს.


1949 წელს ჩვენ მოვახდინეთ ზოგიერთი საცდელი დაკვირვება სეისმოე-ლექტრულ ეფექტზე. ეს ცდები მოეწყო 5 სეგადასხვა უბანზე ქ. გორსა და სოფ. ჭასპს შუა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფლების ქვემოჭალის, ხურვალეთის ნადარბაზევის, სამთავისისა და სხვ. მიღამოებში. ელექტრული და ძრევადი რხე-ვების რეგისტრაცია წარმოებდა 24-სადენიან სეისმოსაძიებო სადგურ „ეხო“-ზე, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვეული სიხშირეების ფარგლებში (10—200 ჰერცი) ძოსული ელექტრული იმპულსები რამდენიმე ათეულ-ათასჯერ გა-ვადიდოთ. მისი დენების ჩაწერისას სეისმო საძიებო სადგურის ფილტრები გა-მორთული გვქონდა.



ნახ. 1

დაკვირვების დროს წარმოებდა აფეთქებები; ფეთქადი ნივთიერების რაო-დენობა იცვლებოდა რამდენიმე ასი გრამიდან 25 კილოგრამამდე. ფეთქადი ნივთიერების მუხტი თავსდებოდა მიწის ზედაპირზე ან წყლიან ბურლილებში ზედაპირიდან სეგადასხვა სილრმეზე (10-დან 30 მეტრამდე). აფეთქების დროს უპოლარიზაციი ელექტროდები განლაგებული იყო ორ ურთიერთ მართობულ ხაზზე სეისმური პროფილის გასწვრივ და მისდამი მართობულად. ამასთან მი-წის დენების ჩაწერა წარმოებდა ერთსა და იმავე დროს ელექტროდების ოთხ წყვილზე, რომელიც წყვილ-წყვილად 600 მეტრის მანძილზე იყვნენ ერთმანე-თისაგან განლაგებული. თითოეულ წყვილში მანძილი ელექტროდებს შორის 200 მეტრს უდრიდა. იმავე დროს წარმოებდა ელექტროდების გვერდით ჩამი-წებული სეისმოგრაფებიდან დრეკადი რხევების ჩაწერა. ურთიერთმართობული ხაზების ჩანაწერები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც რხევე-ბის ინტენსივობით, ისე სიხშირეებით. სეგადასხვა მიმართულებით ერთსა და

იმავე დროს ჩაწერილ რხევათა სპექტრის გამოყვლევა წარმოადგენს გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს. როგორც ცდებმა დაგვანახვა, მიწის დენების მდგრელებს სხვადასხვა სიხშირე ახასიათებს. უნდა ვითიქროთ, რომ არსებობს მდგრელთა ისეთი შევილი, რომელთაც ერთი და იგივე სიხშირე აქვთ. ამ მოვლენის შესწავლა ჩვენი აპარატურით შესაძლებელია და, თუ ეს დაშვება დაღასტურდა, მას უთუოდ სასარგებლო მნიშვნელობა ექნება.



ნახ. 2

ჩვენ მიერ გამოყენებული აპარატურის მგრძნობიარობა საშუალებას გვაძლევდა ჩაგვეშერა „მაღალი სიხშირის“ მიწის დენების ვარიაციები, რომელნიც თავისითავად საკმაო მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. ამ სინუსოიდალური ფორმის რხევების პერიოდი, რომლებიც შეიცვავდნენ აგრეთვე ცალკე იმპულსებს, იცვლებოდა სეკუნდის მეასელებისა და მეათასელების ფარგლებში. თუ დიდი პერიოდის მრუდები ნებას გვაძლევდნენ ვითიქროთ, რომ არსებობს უფრო მაღალი სიხშირის ჰარმონიკები (რაც გამოიხატება მათზე მეორეული მრუდებისა და პატარა ამპლიტუდებიანი რხევების არსებობით), 0,002—0,0015 სეკუნდის პერიოდის მქონე რხევებს ისეთი სახე აქვთ, რომ მათზე არ შეინიშნება უფრო მაღალი სიხშირის მქონე რხევები (იხ. ნახ. 1, მეხუთე მრუდი ქვემოდან). ამგვარად, სეისმოსაძიებო სადაცურის საშუალებით, ჩვენს ჩანაწერებზე აღინიშნებოდა 500—600 ჰერცის სიხშირის მოკლეპერიოდიანი ვარიაციებიც. მაგრამ, ვინაიდან ამ რხევების სპექტრს მეტად რთული ხასიათი აქვს, შესაძლებელია, აპარატურის მგრძნობიარობისა და საკუთარი რხევების სიხშირეების დიაპაზონის გაზრდასთან ერთად გამოვლინდნენ უფრო მაღალი სიხშირის მქონე ვარიაციებიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიწის დენების ჩაწერას ჩვენ ვაწარმოებით 24-სადენიანი ოსცილოგრაფის ორ ან ოთხ სადენზე. ოსცილოგრაფი შეერთებული იყო მიწასთან სპალენძის უპოლარიზაციით ელექტროდების საშუალებით. მიწის დენების რხევებს ასცილოგრაფი ყველა მომენტში აღნიშნავდა, როდესაც კი წრედი ჩაწერილი იყო, ამიტომ ელექტრომაგნიტური ველის ცვლილებით, რომელიც გარეშე მიზეზებით (ჩვენს შემთხვევაში აფეთქებით გამოწვეული შერყევით) იყო გამოწვეული, ჩვენ შეგვეძლო ჩაგვეშერა მხოლოდ მიწის დენების ვარიაციებთან ერთად, რომელიც წარმოადგენდნენ ფონს სხვა სიხშირის მქონე და „ნორმალურ რხევებთან“ შეჯამებული გარეშე რხევებისათვის. ეს გარემოება ერთგვარ სიძნელეებს იწვევდა ჩანაწერების ასალიშის საქმეში; მაგრამ ჯამურ რხევებს იძენად განსხვავებული სახე ჰქონდათ „ნორმალურ რხევებთან“ შედარებით, რომ დამატებითი რხევების შემჩნევა საკეთო შესაძლებელი იყო. იმ შემთხვევაში კი, როცა მიწის დენების ვარიაციების სახე არ იცვლებოდა, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ გარემოს შერყევა დაკვირვებულ ელექტრომაგნიტურ ველზე გავლენას არ ახდენს.


ჩვენ მიერ მიღებული ჩანაწერები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაყოოთ:

უფრო მრავალრიცხვანია ჩანაწერები, რომლებზედაც აფეთქება და დრეკადი ტალღის მოსვლა მიწის დენების არავითარ ცვლილებას არ იწვევს. ასეთი სახის ტიპიბრივი მრუდები წარმოდგენილია ნახ. 1 და 2-ზე. პირველ მათგანზე წარმოდგენილია მიწის დენების და სეისმური ტალღების 21.X.49-ის ჩანაწერები, სოფელ ქვემო ჭალაში 300 გრამი ფეთქადი ნივთიერების აფეთქების დროს 26 მეტრის სიღრმეზე. უახლოესი ელექტროდისა და შესაბამისი სეისმოგრაფის მანძილი აფეთქების წერტილიდან 155 მეტრს უდრიდა. მიწის დენების ჩაწერა წარმოებდა ორ სადენზე, რომლებზედაც რხევები მოღიოდნენ დაახლოებით NS და EW მიმართულებით ჩამიწებული ორი წყვილი ელექტროდებიდან. EW ხაზის მიმართულება ემთხვეოდა სეისმური პროფილის მიმართულებას. სხვა სადენებზე იწერებოდა სეისმური ტალღები. როგორც ჩანაწერიდან ჩანს EW მრუდი (მეტუთე ქვემოდან) სრულებით არ ასახავს აფეთქების გავლენას. აფეთქების შემდეგ, რომლის მომენტი აღნიშნულია ყველა ჩანაწერზე მრუდების მარცხნა ნაწილში, რხევები გრძელდება იმავე ამპლიტუდით და სიხშირით, როგორც აფეთქებამდე იყო. NS მრუდი (პირველი შემოდან) თითქოს უპასუხებს აფეთქებას, ამასთან ეს ჩანაწერი თითქმის ერთადერთია, რომელზედაც რეაქცია აფეთქების შემდეგ მყისვე ხდება. ყოველ შემთხვევაში, ამ მრუდზე აფეთქების შემდეგ გამოისხება უფრო დიდი ამპლიტუდისა და დიდი პერიოდის მქონე პარმონიკები. ვინაიდან არ შეიძლება შერყევით გამოწვეული ელექტრომაგნიტური ტალღის მოსვლას გარკვეული მიმართულება (მაგალითად, მხოლოდ NS) ახასიათებდეს, ჩვენ ამ მოვლენას ავხსნით აფეთქების მომენტის გავლენით, რადგან სხვა ცდებში, სადაც აფეთქების მომენტი აღნიშნული არ იყო, ჩანაწერი არასდროს არ იცვლებოდა სეისმური ტალღის მოსვლამდე. ცდამ, რომელიც განმეორდა იმავე დღეს, ეს გარემოება დაადასტურა, იძღვნად, რამდენადაც NS მრუდმაც არ უპასუხა აფეთქებას. ნახ. 2-ზე წარმოდგენილია 27.X.49 ჩანაწერი სოფელ ნადარბაზევში. მეორე და მეოთხე მრუდები ზემოდან წარმოადგენს მიწის დენების ჩანაწერებს, დანარჩენები სეისმურ ტალღებს. როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, მიწის დენის ვარიაციები სეისმური ტალღის მოსვლის შემდეგ არ იცვლიან სახეს.

ჩანაწერების მეორე გაუფში ელექტრომაგნიტური რხევები თითქმის დრეკადი ტალღის მოსვლისთანავე იწყება. ნახ. 3-ზე წარმოდგენილია 18.X.49-ის ჩანაწერი სოფელ ქვემო ჭალასთან, 10 კილოგრამი ფეთქადი ნივთიერების მიწის ზედაპირზე აფეთქების შემდეგ. მეოთხე მრუდი ზემოდან წარმოადგენს

მიწის დენების ჩანაწერს *EW* მიმართულებით, მეხუთე კი — *NS* მიმართულებით. დანარჩენი მრუდები წარმოადგენენ დრეკადი რხევების ჩანაწერებს. როგორც სურათიდან ჩანს, ყველა მრუდი იცვლის სახეს სეისმური ტალღის მოსვლისთანავე, დახლოებით 0,13 სეკუნდის გასვლის შემდეგ აფეთქების მომენტიდან.

ჩანაწერების მესამე ჭგულში ელექტრომაგნიტური რხევები უფრო გვიან იწყება, ვიდრე დრეკადი რხევები. ასეთი სახის ტიპობრივი მრუდები წარმოდგენილია მე-4 ნახაზზე, რომელიც მიღებულია 31.X-49 წ. სოფელ ხურვალეთან, 1 კილომეტრამი ფეთქადი ნივთიერების მიწის ზედაპირზე აფეთქების შემდეგ. მე-6, მე-7 და მე-8 მრუდები ზემოდან წარმოადგენენ ელექტრომაგნიტური რხევების ჩანაწერებს, დანარჩენი კი — დრეკადი ტალღებისას. როგორც ნახაზიდან ჩანს, მიწის დენების ჩანაწერები სახეს იცვლიან 0,03 სეკუნდით უფრო გვიან, ვიდრე დრეკადი რხევები. შესაძლებელია, ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ შემთხვევაში ელექტროდაზე, რომელიც სეისმოგრაფის როლს ასრულებს, მოქმედებს არა პირველად, არამედ შემდგომ მოსული სეისმური ტალღები.




ნახ. 3

ამგვარად, ჩვენს ცდებში, როგორც წესი, აფეთქებები ან სრულებით არ ახდენენ გავლენას მიწის დენებზე, ან ცვლიან მათ სახეს მხოლოდ დრეკადი ტალღის მოსვლის შემდეგ იმ წერტილში, სადაც ელექტროდია მოთავსებული. ყოველ შემთხვევაში, არ არის ისეთი ჩანაწერი, გარდა ერთისა (ნახ. 1), სადაც ელექტრომაგნიტური რხევები იწყებოდეს აფეთქების მომენტან ერთად. მიწის დენების რეაგირება აფეთქებაზე, როდესაც ასეთს აქვს ადგილი, ხდება მხოლოდ აფეთქებიდან არმდებირებ შეასედი ან შეათედი სეკუნდის გასვლის შემდევ (ნახ. 3). თუ მიწის დენების ელექტრული ველი იცვლება მაში სეისმოექტრული ეფექტის დამთხვევის გამო, მაშინ ეს ცვლილება დაუყოვნებლივ უჩდა შევამჩნიოთ აფეთქების მომენტის შემდეგ ან თვით აფეთქების მომენტში, რის

შემდეგაც ეფექტი უნდა გაძლიერდეს, იმდენად, რამდენადაც „ელექტრიზაცია“
ის „პროცესში სულ ახალ-ახალი მიწის უბნები იქნება ჩართული.

აღნიშნული ფაქტების გამო უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენ ვერ შევამჩნიეთ
„E-ეფექტის“ არსებობა. მიწის დენების ჩანაწერების ცვლილებები ჩვენ შევ-
ვიძლია ავხსნათ ელექტროდების შერყევით, მათი კონტაქტისა და, მაშასადამე,
გარემოსთან საჭონტაქტო წინაღობის ცვლილებით. ეს დებულება მტკიცდება



ნაბ. 4

ჩვენი ცდებითაც. როდესაც ელექტროდების მდებარეობას ვცვლიდით, მიწის
დენები მკვეთრად ცვლიდნენ სიხშირესა და ამბლიტუდას. ამ ცვლილებებს
სავსებით შეეძლოთ დაეფარათ სეისმოელექტრული ეფექტის გავლენით გამო-
წვეული ველის ცვლილება. ჩვენში ეჭვს იწვევს აგრეთვე მიწის ზედაპირულ ფე-
ნაში აფეთქების გამო მექანიკური მოქმედებით გამოწვეული პოლარიზაციის
ელექტრული ველის წარმოშობის დაშვება, რადგან აფეთქება წარმოებს და
ტალღები ვრცელდება ისეთ გარემოში, რომელიც განსხვავებული პოლიკრის-
ტალური სხეულების მექანიკურ ნარევს წარმოადგენს. მათი განაწილება ქაო-

სური ხასიათისაა და, მაშასადამი, პოლარიზაციით გამოწვეული ბმული მუხტების ველთა დაძაბულობის ჯამი ნულთან ახლოს უნდა იყოს. ასეთი ველის წარმოშობის შესაძლებლობა არ უნდა იყოს გამორიცხული ერთნაირ კრისტალურ გარემოში, როგორიცაა ქვამარილი, კრისტალური კირქვა და სხვა.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მოვლენა, მისი დიდი მნიშვნელობის გამო, უფრო გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი და ჩატარდეს ფართო მასშტაბის ექსპერიმენტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროლული ეფექტისა და მეტეოროლოგიური ფაქტორების მოქმედების საკითხს, მათი გავლენის გამორიცხვის მიზნით. სეისმოელექტრული ეფექტის შესწავლისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი მიწის დენების გამორიცხვის საკითხს. ამ მიმართულებით ა. ივანოვმა ჩატარა ცდები მის მიერ შემუშავებული საკომპენსაციო სეიმის საშუალებით. ძნელი სათქმელია, რამდენად უზრუნველყოფს ეს სქემა მიწის დენების კომპენსაციას, რადგანაც ინსტიტუტის მიერ დუშეთსა და ციხისჯვარში ანალოგიური სქემით ჩატარებული ცდების დროს კომპენსაცია ვერ იქნა მიღებული.

ჩვენი წინასწარი ცდები, ცხადია, საკმარისი არ არის, რათა დადგენილ იქნეს სეისმოელექტრული ეფექტის არარსებობის ფაქტი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ დაკვირვების იმ ფარგლებში, რომლის შესაძლებლობასაც იძლეოდა ჩვენი აპარატურა, ამ ეფექტის შემჩენევა არ მოხერხდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოფიზიკის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 29.2.1956)

დამომავლი ლიტერატურა

1. А. Г. Иванов. Эффект электризации пластов земли при прохождении через них упругих волн. Доклады АН СССР, т. XXIV, № 1, 1939.
2. А. Г. Иванов. Сейсмоэлектрический эффект второго рода. Изв. АН СССР, серия географическая и геофизическая, № 5, 1940.
3. А. Г. Иванов. Методика изучения сейсмоэлектрических явлений. Изв. АН СССР, серия географ. и геофизическая, т. XIV, № 6, 1950.

გეოგრაფია
პ. გოგიაშვილი

მთიან პირობებში დაკვირვების მოქლე რიზიდან ჰაერის
 ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუ-
 მების მოკლე რიგიდან აღებული დაკვირვებების მრავალწლიურის თანაბრად
 გამოყენების შესწავლის შედეგები მთიან პირობებში, საქართველოს მაგა-
 ლითზე.

(ჭარმალაძე აკადემიკოსი ა. ჯავახიშვილმა 15.1.1956)

ამ სტატიაში მოცემულია ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუ-
 მების მოკლე რიგიდან აღებული დაკვირვებების მრავალწლიურის თანაბრად
 გამოყენების შესწავლის შედეგები მთიან პირობებში, საქართველოს მაგა-
 ლითზე.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების მოსალოდნელი ცო-
 ტად თუ ბევრად საიმედო სიდიდის განსაზღვრისათვის, როგორც წესი, საჭი-
 როა 100 წლის და მეტის დაკვირვება. დაკვირვების ასეთი გრძელი რიგის მქო-
 ნე პუნქტების რაოდენობა როგორც საერთოდ, ისე საქართველოშიც მეტად
 მცირეა. ამიტომ ჩვეულებრივად კმაყოფილდებიან 40—50 წლის დაკვირვებით.
 მაგრამ საქმიო რაოდენობით ასეთი ხანგრძლივობის დაკვირვების მქონე მეტ-
 საღურებიც არ მოგვეპოვება. უმეტესი მეტსადგურებისათვის დაკვირვების
 ხანგრძლივობა 20—25 წელს არ აღემატება, ხოლო ბევრ მათგანზე მხოლოდ
 რამდენიმე წლით განისაზღვრება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აბსოლუტური მინი-
 მუმების დაღვიმას ადგილი აქვს ერთსა და იმავე წელს ვრცელ ტერიტორია-
 ზე, შეიძლება ამ წლის მინიმუმი, დაკვირვების რიგის ხანგრძლივობის განურ-
 ჩევლად, გამოვიყენოთ გრძელრიგიანი დაკვირვების მინიმუმის თანაბრად.


პრაქტიკული მიზანშეწონილობა მოკლე რიგის დაკვირვებების აბსოლუ-
 ტური მინიმუმების ასეთი გამოყენებისა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ეს
 კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ადგილებისათვის, როგორიც საქართვე-
 ლოა, სადაც ყინვის ნაკლებად გამძლე სუბტროპიკული და ტექნიკური კულ-
 ტურები ფართოდაა გავრცელებული.

ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ ვრცლადაა გაშუქებული დაკვირვების
 მოკლე რიგის მიყვანა გრძელ პერიოდთან [2, 5], აგრეთვე მეტეოროლოგიური-
 ელემენტების ველების თავისებურების საკითხები [4, 7], ისევე როგორც მასა-
 ლების კლიმატოლოგიური დამუშავების მეთოდები [1, 6], უმთავრესად ნახსე-
 ნები ავტორების დამსახურების წყალობით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჰაერის

ტემპერატურის უკიდურესი გადახურების გამოთვლაში ზოგიერთი ნატექსტი გამოუყენებელია, ხოლო სხვების გამოყენება პრაქტიკულად საძნელოა.

საქართველოს სსრ პირველი კლიმატური ცნობარის შედგენის დროს ხან-მოქლე დაცვირვებიდან აღებული ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინი-მუმებისა და მაქსიმუმების განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო შედარებით მარტივი ხერხი (მეთოდი), რომელიც მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის მიერ იყო რეკომენდებული. ამ მეთოდმა, რომელიც ეყყარება მძლავრი ატმო-სფერული პროცესების ტერიტორიულ გავრცელებას, რასაც ადგილი აქვს ჰა-ერის ტემპერატურის მკვეთრი აწევის და დაწევის დროს, მოგვცა შესაძლებ-ლობა მიგველო პრაქტიკულად მისაღები შედეგები. მაგრამ არც ამ მეთოდს შეუძლია მოგვცეს ადგილის რელიეფის ყოველგვარი პირობებისათვის თანაბ-რად მისაღები შედეგები. ეს იმიტომ, რომ ცივი ჰაერის ერთდროულ გავრცე-ლებას ვრცელ ტერიტორიაზე, რაც ჩვეულებრივად ვაკის პირობებში ხორცი-ელდება, შეიძლება მთან ადგილებში, როგორც წესი, არ ექნეს აღიოლი. სწო-რედ ასე უნდა იყოს საქართველოში, სადაც მთანი რელიეფი აფერხებს ჰაე-რის ცივი მასების თავისუფალ გავრცელებას ტერიტორიაზე. მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიის სიმცირისა, აბსოლუტური (წლიური) მინიმუმე-ბის დადგომის დრო მის ცალკეულ ნაწილებში ერთმანეთს არ ემთხვევა და გა-ზირობებულია სიცივის შემოჭრის სხვადასხვაგვარობით (დროისა და მიმარ-თულების მიხედვით).

უმკაცრესი ზამთრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების დადგომის ერთდროულობის მიხედვით საქართვე-ლოს ტერიტორია შეიძლება სამ ძირითად ნაწილად დაყოს (იხ. სურ. 1).



სურ. 1

თუ ვისარგებლებთ ა. ჯავახიშვილის მიერ გამოყოფილ [3] საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) რაიონებით, შეიძლება პირველ ზო-

ნას, სადაც ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების დადგომა გვთქის-რობებულია სიცივის შემოჭრით დასავლეთიდან, შემდეგი ლანდშაფტური რაიონები მივაჟუთვნოთ: 1. კოლხეთის ზღვისპირა დაბლობი, 2. იმერეთის მაღლობი, 3. დასავლეთ კავკასიონი, 4. მთიანი აჭარა-გურია, 5. სამცხე-თრიალეთის მთიანეთი, 6. ჭავახეთის მთიანეთი, 7. შიდა ქართლის მთათაშუა დაბლობი.

მეორე ზონას, სადაც ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების დადგომას აპირობებს სიცივის შემოჭრა აღმოსავლეთიდან, მიეკუთვნება: 1. ქვემო ქართლის მთათაშუა დაბლობი, 2. კახეთის მთათაშუა დაბლობი, 3. ივრის ზეგანი.

მესამე ზონას ეკუთვნის: აღმოსავლეთ კავკასიონი (საქართველოს ფარგლებში).

სიცივის შემოჭრის ზემოაღნიშნული მიმართულებები ორივე წლისათვის, როცა I და II ზონებში აღნიშნული იყო აბსოლუტური მინიმუმები, შეესაბამება სინამდვილეს. აუც შეეხება მესამე ზონას (აღმოსავლეთ კავკასიონი, საქართველოს ფარგლებში), ამ რაიონში სიცივის შემოჭრის დასაბუთება საერთოდ მიღებულ მხოლოდ ორი მიმართულებით (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან), როგორც ჩვენ გვგონია, დამაჯერებელი არ არის შემდეგი მოსაზრებით: უპირველესად, საძნელოა წარმოვიდგინოთ, რომ ჰაერის ცივი მასა (რომელიც ჩვეულებრივად პორიზონტის ჩრდილო ნახევრიდან მოემართება კავკასიონზე) შეძლებს მოხვდეს საქართველოს ამ მაღალმთიან რაიონში (აღმოსავლეთ კავკასიონზე) კავკასიონის მხოლოდ დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან შემოვლის შემდეგ და არა უშუალოდ ჩრდილოეთიდან. თუ ჩავთვლით, რომ აღმოსავლეთ კავკასიონის რაიონის მდებარეობის სიმაღლე (ზღვის დონიდან) საერთოდ მისაწვდომია ჰაერის ცივი მასებისათვის, მაშინ უნდა ვითიქროთ, რომ ეს უფრო ადრე შესაძლებელია ჩრდილოეთიდან (ცალკეული დადაბლებული აღგილების გადავლით). ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიისაკენ მიმართული ჰაერის ცივი მასების შეჩერება და დაგროვება უფრო ადრე და უმთავრესად კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებთან ხდება. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ხშირად ცივი ჰაერის ჩრდილოეთიდან გავრცელებასთან დაკავშირებით ტემპერატურის მკვეთრი დაწევა აღმოსავლეთ კავკასიონის რაიონში უფრო ადრე ხდება, ვიდრე ცივი ჰაერი კავკასიონის აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შემოვლით მიაღწევდეს აღნიშნულ რაიონს.

ამისდა მიუხედავად საჭიროდ მიმაჩნია აღნიშნო, რომ ზემოთქმულის დამამტკიცებელი მტკიცე საფუძველი ჭერ კიდევ არა გვაქვს. ეს საკითხი დამტებითი სპეციალური კვლევა-ძიების ჩატარებას მოითხოვს.

საქართველოს ცალკეულ ნაწილებში (ზონებში) ჰაერის ცივი მასების ლოკალიზაციის გამო აბსოლუტური მინიმუმების, (დაკირვების მცირე ხანგრძლივობის მქონე სადგურებიდან აღებული) მიღება მრავალწლიურად დასაშვებია მხოლოდ იმ წლის მონაცემებით, როცა აბსოლუტური მინიმუმები აღნიშნული იყო მოცემული ზონის დანარჩენ პუნქტებშიც და არა საერთოდ საქართველოს მთელი ტერიტორიის მიხედვით.

სხვაობები, გამოთვლილი ერთიანა და იმავე პუნქტების აბსოლუტურ მინი-მუმებს შორის იმ სამი წლის მიხედვით, რომელიც ითვლება ცალკეულ ზონაში აბსოლუტური მინიმუმების დადგომის წლებად, აღწევს საშუალოდ 7° , ხოლო ზოგ შემთხვევაში — 12° მეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ზონისათვის არადამახასიათებელი წლის არჩევა დაკვირვების მოკლე რიგიდან აბსოლუტური მინიმუმების დადგენისათვის შეცდომას გამოიწვევდა აღნიშნულ ფარგლებში.

მრავალწლიური დაკვირვებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვაობები ზონაში მდებარე პუნქტების აბსოლუტურ მინიმუმებს შორის რთულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში (ერთნაირ პირობებში მდებარე პუნქტებისათვის) საშუალოდ 3° არ. აღემატება. ვაკე ადგილებში ეს სხვაობები კიდევ უფრო ნაკლებია.

ამრიგად, მთან პირობებში გამოვლინებული ზემოაღნიშნული ზონალობის მხედველობაში მიღებით გვეძლევა შესაძლებლობა დაკვირვების მოკლე რიგიდან აღებული ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები მრავალწლიურად გამოვიყენოთ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

განვითარების სახელმწიფო

გეოგრაფიის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 3.3.1956)

დამომხმარებლი ლიტერატურა

1. Б. П. Алисов, О. А. Дроздов, Е. С. Рубинштейн. Курс климатологии. ч. I и II. Гидрометеоиздат, Ленинград, 1952.
2. А. Г. Балабуев. О новом методе приведения коротких рядов наблюдений к многолетним периодам. Сообщ. АН ГССР, т. VI, № 10, 1945.
3. А. Н. Джавахишвили. Геоморфологические районы Грузинской ССР. М.—Л., 1947.
4. О. А. Дроздов. О некоторых особенностях полей метеорологических элементов. Труды ГГО, вып. 9(81), 1952.
5. О. А. Дроздов. Теория приведения рядов к одному периоду. Труды ГГО, вып. 18(4), 1937.
6. Е. С. Рубинштейн. Методы климатологической обработки метеорологических наблюдений, вып. I. Гидрометеоиздат, Ленинград, 1937.
7. Е. С. Рубинштейн. Разность средних месячных температур различных станций как метеорологическая константа. Геофизический сборник, т. IV, вып. 2, 1923.

გვოლობის

ე. ბიუსი და მ. რუბიშვილი

**ქადაგის სიმღერის სამხრეთი ფერდის სიმღერი აქტივობის
ხასიათის შესახებ**

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ 17.3.1956)

უკვე დიდი ხანია, რაც მიწის ზედაპირის სეისმურად აქტიური უზნები მკვლევართა ყურადღებას იპყრობენ. ამის გამოხატულება არის არა მარტო სეისმოსტატისტიკური ცნობების სისტემატური გროვება, რაც სათანადო რაიონებისათვის სეისმური საშიშროების დასაღენად არის საჭირო, არამედ ამ მასალების ფართო გამოყენებაც გეოლოგ-ტექტონისტების მიერ.

ჩვეულებრივად ცდილობენ, მეტ-ნაკლები წარმატებით, მიწისძვრათა ეპიცენტრების განლაგება სეისმურად აქტიური უბნის გეოლოგიურ აღნაგობას დაკავშირონ და ამრიგად მიწის ზედაპირზე პოტენციალურად სეისმური ტექტონიკური სტრუქტურები დაადგინონ. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს კავშირი ხშირად ჰიპოთეზურია, თუნდაც იმიტომ, რომ მიწის ქერქის გადაადგილებანი, რომლებიც მიწისძვრებს იწვევენ, ღრმულ სტრუქტურებთან არიან დაკავშირებული, ხოლო ეს სტრუქტურები ყოველთვის როდი პოულობენ სტრუქტურულად მსგავს გამოხატულებას მიწის ქერქის ზედაპირულ აღნაგობაში. ამას ეძატება ჯერჯერობით აუცილებელი ცდომილებანი ეპიცენტრების მდებარეობის დადგენაში და რიგი სხვა გარემოებაც.

მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს სეისმური მონაცემების გამოყენება მიწის ქერქის გეოლოგისათვის მიუწვდომელი ღრმა სტრუქტურული სართულების ტექტონიკური აგებულების ზოგი თავისებურების გამოსამულავნებლად.

ასეთი გამოკვლევა უკვე ჩავატარეთ საქართველოს ზოგი რაიონის შიმართ [2,3,7] და ამ წერილში ვეცდებით ამ თვალსაზრისით მივუდგეთ იმ სეისმურ მასალას, რომელიც კავკასიონის სამხრეთი ფერდის შესახებ არსებობს.

თუ ჩვენ ე. ბიუსი ის მიერ შედგენილს [1] ამიერკავკასიის მიწისძვრების ეპიცენტრების რუკას მიგმართავთ, რომლისთვისაც გამოყენებულია მიკროდა მაკროსეისმური მასალები 1950 წლამდე ჩათვლით, თვალში გვეცემა ეპიცენტრების განაწილების სხვადასხვა თავისებურება—კერძოდ, ეპიცენტრულ შეჯგუფებათა ზოლი, რომელიც კავკასიონის სტრუქტურების პარალელურად ყაზბეგიდან შემახამდე გრძელდება.

ამ ზოლის კიდურ ჩრდილო-დასაგლურ ნაწილში განლაგებულია მიწისძვრათა ქერქების ეპიცენტრების ე. წ. ყაზბეგის ჯგუფი; ეს ჯგუფი გააქტივდა 1933, განსაკუთრებით კი 1946 წლიდან. აქაური მიწისძვრების უმრავლესობა IV—V-ბალიანია და მხოლოდ ორმა (1915 წ. 14.I და 1947 წ. 15.VIII) VII ბალს მიაღწია.

აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს კერების კახეთის ჯგუფი, რომელიც ძირითადად ალაზნის დეპრესიასთან არის დაკავშირებული; განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემობა, რომ ტექტონიკურად საქმაოდ როულად აგებული კახეთის ქედის ფარგლებში ეპიცენტრები თითქმის არ გხვდება.

გამანადგურებელ მიწისძვრებს ალაზნის დეპრესიაში აღვილი ჰქონდა 1530, 1742, 1756 და 1811 წლებში. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში VI – VII-ბალიანი მიწისძვრები მოხდა 1902 წ. 3.X და 1928 წ. 20.X; საერთოდ კი ამ დროის განმავლობაში მიწისძვრათა ინტენსივობა აქ საგრძნობლად შესუსტებულია.

საქმაოდ აქტიურია ამავე ზოლში სეისმური თვალსაზრისით ზაქათალა-ლაგლდების ეპიცენტრების ჯგუფი, რომელიც კახეთის ჯგუფს უშუალოდ ებმის: აქეურმა მიწისძვრებმა VI ბალს 1890, 1907, 1924 და 1942 წ. წ. მიაღწია, VII ბალს კი 1936 წ. ამ ჯგუფსვე ეკუთვნის, როგორც ჩანს, დაღესტნის VII-ბალიანი მიწისძვრა (1948 წ. 29.VI).

დასასრულ, განკიდე სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს შემახის კერების ჯგუფი, სადაც 13 მიწისძვრა არის ცნობილი, VIII-ბალიანი და უფრო ძლიერიც; უკანასკნელი 1902 წ. 13.II მოხდა. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში აქაც სეისმური მოქმედების შედარებითს შესუსტებას აქვს აღვილი როგორც მიწისძვრათა რაოდენობის, ისე მათი სიძლიერის მხრივ, თუმცა 1952 წ. 11.VII მოხდა მიწისძვრა, რომლის სიძლიერე ეპიცენტრულ არეში VII ბალს აღწევდა [8].

1950 წლის მიწურულამდე დაგროვილი მონაცემები კერების ხსენებული ოთხი ჯგუფის გამოყოფის საშუალებას კი იძლეოდნენ, მაგრამ ამ ჯგუფების ერთმანეთთან დაკავშირება, თუ მხედველობაში არ შივილებთ აშკარა კავშირს ლაგლდებ-ზაქათალისა და კახეთის ჯგუფთა შორის, აქმდე გამართლებულად არ ჩაითვლებოდა. მხოლოდ ბოლო დროის სეისმურმა მოვლენებმა, 1951—1954 წ. წ. განმავლობაში მომხდარმა, მოგვცა უფრო დასაბუთებული დასკვნების გამოყვანის საშუალება.

მართლაც, 1951 წლის ოქტომბრის მიწურულისა და ნოემბრის დასაწყისის ე. წ. ზემო ალაზნის მიწისძვრებმა (მთავარი, VII-ბალიანი მიწისძვრა 2 ნოემბერს მოხდა), რომელთათვის ორმოციოდე ეპიცენტრის დადგენა მოხერხდა, ყაზბეგისა და კახეთის კერების ჯგუფები ერთმანეთს დაუკავშირა.

მეორე მხრივ, კუტეაშენისა და ვართაშენის 1953 წლის აგვისტო-სექტემბრის მიწისძვრათა გუნდების ეპიცენტრებმა (VI—VII-ბალიან ბიძგებს აღვილი ჰქონდა 4 აგვისტოს და 2,5 და 11 სექტემბერს) საგრძნობლად შეამცირა მანძილი შემახისა და ზაქათალა-ლაგლდების კერების ჯგუფთა შორის.

ამრიგად, უკვე საქმაო საფუძველია დაგასკვნათ, რომ აქ ერთობლივი სეისმურად აქტიური ზოლი არსებობს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთური მიმართულებით ყაზბეგიდან შემახამდე გრძელდება. სეისმურად აქტიური სილრმის სტრუქტურების ასეთ მიმართულებაზე სხვა ფაქტებიც მიგვითითებს. უკვე ვ. ვებერმა [4], რომელმაც შემახის 1902 წლის მიწისძვრა შეისწავლა და აღრინდელი მიწისძვრების მასალებიც გამოიყენა, გვიჩვენა, რომ შემახის

შიწისძვრები გამოწვეულია ტექტონიკური მოძრაობით, რომელიც ჩრდილო-დასავლურ—სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულების მქონე ხაზთან არის დაკავშირებული. ამ ხაზის გასწვრივ ეპიცენტრების გადაადგილება ხდება დაახლოებით შემახიდან ისმაილიძე, ე. ი. 50—60 კმ მანძილზე. 1953 წლის 2—5 სექტემბრის ვართაშენის მიწისძვრების მასალები, ვ. რასტვოროვასა და ი. ნერსესოვის მიერ დამუშავებული [6], ხსნებული ხაზის ანალოგიურ მიმართულებას მოწმობს, რადგან აქაც, როგორც შემახის მიწისძვრების შემთხვევაში, იზოსეისტები იმავე მიმართულებითავა წაგრძელებული და; ბოლოს, 1951 წლის ზემო აღაზნის მიწისძვრების ეპიცენტრები იმავე მიმართულებით წაგრძელებულ შეჯგუფებას ქმნიან.

ვინაიდან კავკასიონის სამხრული ფერდის სეისმურად აქტიური ზოლის ჩრდილო-დასავლურ—სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულება შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, იბადება კითხვა ამ ზოლის სეისმური მოქმედების დროში გამოვლინების ხასიათის შესახებ, კერძოდ, არსებობს, თუ არა რაიმე კანონ-ზომიერება ეპიცენტრების მიგრაციაში ამ ზოლის გასწვრივ?

როგორც დასავლეთ საქართველოსა და ვართაშენ-კუტკაშენის შიწისძრათა გუნდების მონაცემებმა გვიჩვენა [2,7], მიწისძრათა გუნდების შემთხვევაში, რომლებიც საკმაოდ მკაფიოდ ინდივიდუალურებული რღვევის გასწვრივ ტექტონიკურ დაძაბულებათა თანდათან განტვირთვის შედეგს წარმოადგენენ, ადგილი აქვს ეპიცენტრების თანდათან გადაადგილებას გარევეული მიმართულებით. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ სეისმური აქტივობის მსვლელობას საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში განვიხილავთ ტექტონიკურად უფრო რთული სეისმურად აქტიური ზოლის გასწვრივაც, ე. ი. უფრო მაღალი რიგის სტრუქტურის შემთხვევაშიც, უფლება გვაქვს მოველდეთ. მსგავსი კანონზომიერების გამოვლინებას, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ნაკლებად მკაფიოდ გამოხატულს.

ცხადია, რომ შესწავლის უნდა იქნეს დროის ისეთი მონაკვეთები, რომელთათვის ეპიცენტრების საკმარისი რაოდენობა სანდო სიზუსტით არის დადგენილი. ყაზბეგ-შემახის ზოლისათვის ეს იქნება დროის ინტერვალები 1933—1939 წ. წ. და 1946—1954 წ. წ., რომელთათვის დადგენილია 300-ზე მეტი ეპიცენტრი.

სათანადო მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1933—1939 წ. წ. პერიოდისათვის ეპიცენტრების გადაადგილების მიმართულების ხასიათი მკაფიოდ გამოხატული არ არის, რაც ნაწილობრივ დროის ამ მონაკვეთისათვეს განსაზღვრული ეპიცენტრების შედარებით მცირე რაოდენობით აისხება; მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება შევამჩნიოთ, რომ 1933 წლის განმავლობაში და 1934 წლის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ეპიცენტრების თანდათან გადაადგილებას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ამის შემდეგ გააქტივდა ყაზბეგ-შემახის ზოლის სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილი, რის შემდეგ, 1935 წლის დასაწყისიდან 1939 წლამდე ჩათვლით, ეპიცენტრები ზოგადად ჩრდილო-დასავლური მიმართულებით გადაადგილებას



განიცდიდნენ. ბევრად უფრო ნათელია სურათი დროის მონაკვეთისათვის 1946 წლიდან 1954 წლამდე.

1946 და 1947 წ. წ. განმავლობაში ზოლის ჩრდილო-დასავლური ნაწილი სეისმურ აქტივობას იჩენს, უმთავრესად აღმოსავლური სიგრძედის $44^{\circ} 15'$ — $45^{\circ} 00'$ და ჩრდილო განედის $43^{\circ} 00'$ — $42^{\circ} 15'$ ფარგლებში. მერე კი, 1948. წელს, ეპიცენტრები ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაადგილდა, ხოლო 1949 და 1950 წელს ისინი ისევ ჩრდილო-დასავლეთისაკენ ბრუნდებიან და აღმოსავლური სიგრძედის $44^{\circ} 30'$ — $45^{\circ} 15'$ და ჩრდილო განედის $42^{\circ} 45'$ — $42^{\circ} 15'$ ფარგლებში თავსდებიან.

1951 წელს ეპიცენტრების უმრავლესობა ოდნავ გადაადგილდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (აღმ. სიგრძედის $44^{\circ} 45'$ — $45^{\circ} 30'$ და ჩრდილო განედის $42^{\circ} 45'$ — $42^{\circ} 00'$); იგივე შეიმჩნევა 1952 წლის პირველ ნახევარში, ხოლო 1952 წლის ივლისიდან 1953 წლის მიწურულამდე სეისმური მოქმედების მთავარი კვანძი ზოლის სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში გადადის შემახა-კართა-შენის რაიონში (აღმ. სიგრძედის $46^{\circ} 30'$ — $48^{\circ} 30'$ და ჩრდ. განედის $42^{\circ} 00'$ — $40^{\circ} 30'$). 1954 წლის დასაწყისიდან კვლავ ამოქმედდა ზოლის ჩრდილო-დასავლური ნაწილი (აღმ. სიგრძედის $44^{\circ} 30'$ — $45^{\circ} 30'$ და ჩრდ. განედის $43^{\circ} 00'$ — $42^{\circ} 15'$), მაგრამ 1954 წლის ნოემბრიდან, როგორც ჩანს, ისევ იშეება ეპიცენტრების გადაადგილება სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით.

ამრიგად, ყაზბეგ-შემახის ზოლის სეისმურ აქტივობაში თავს იჩენს გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ეპიცენტრების წინ-უკან მიმოქცევაში გამოიხატება, მთელი ზოლის გასწვრივ; ამის გამო ზოლის ჩრდილო-დასავლური ნაწილის სეისმურ აქტივობას შეესაბამება შედარებითი სიწყნარე მის სამხრეთ აღმოსავლურ ნაწილში, და პირუკუ. ეს დასკვნა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარი ხასიათისაა, შემდგომი დაკვირვებებით უნდა შემოწმდეს.

რამდენიმე სიტყვა ეპიცენტრების შედარებით მნიშვნელოვანი გაფანტვის შესახებ. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ მიიქციოს ჩვენი ყურადღება. როგორც ჩანს, იგი რამდენიმე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული.

პირველ რიგში ანგარიშგასაწევია ეპიცენტრების განსაზღვრის აუცილებელი ცდომილებანი; საგრძნობ როლს თამაშობს კიდევ ის გარემოებაც, რომ ყაზბეგის კერების ჯგუფის საშუალო სილრმე 25—30 კმ-ია, რიგის, ვართაშენ-კუტ-კაშენის გუნდებისა—5—8 კმ [6], დაღესტნის 1948 წ. 29.VI მიწისძრისა—60 კმ, ხოლო შემახის მიწისძრებისა—15—25 კმ. თუ მხედველობაში მივიღებთ დაღესტნის მიწისძრის ეპიცენტრის გადახრას ჩრდილოეთისაკენ ყაზბეგ-შემახის ხაზის მიმართ, ხოლო ვართაშენ-კუტკაშენის გუნდების ეპიცენტრებისას—სამხრეთისაკენ, აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს—კავ-

თუმცა კერების სიღრმის დადგნა მიკროსეისმური მონაცემების მიხედვით სანდო არ არის, მაინც ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ყაზბეგის კერების ჯგუფის საშუალო სილრმე 25—30 კმ-ია, რიგის, ვართაშენ-კუტ-კაშენის გუნდებისა—5—8 კმ [6], დაღესტნის 1948 წ. 29.VI მიწისძრისა—60 კმ, ხოლო შემახის მიწისძრებისა—15—25 კმ. თუ მხედველობაში მივიღებთ დაღესტნის მიწისძრის ეპიცენტრის გადახრას ჩრდილოეთისაკენ ყაზბეგ-შემახის ხაზის მიმართ, ხოლო ვართაშენ-კუტკაშენის გუნდების ეპიცენტრებისას—სამხრეთისაკენ, აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს—კავ-

ქასიონის სამხრული ფერდის გასწვრივ მასათა მოძრაობას სამხრეთისაკენ, შეიძლება საქმაოდ დასაბუთებულად მივიჩნიოთ დასკვნა, რომ რღვევა (ან რღვევები), რომელიც ამ ზოლის სეისმურობას განაპირობებს, ჩრდილო-აღ-მოსავლეთისაკენ არის დაქანებული.

მაგრამ მაიც კახეთის ეპიცენტრების ჯგუფის გადასრა სამხრეთ-დასავ-ლეთისაკენ მეტისმეტად დიდი ჩანს, მით უმეტეს, რომ მათი კერძების სიღრ-მები ზოგადად იგივეა, რაც ყაზბეგის ჯგუფისა. ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ დაუუბრუნდებით, ამას კი ყაზბეგ-შემახის სეისმურად აქტიური ტექტონიკური უბნის ბუნების განხილვაზე გადავიდეთ.

როდესაც ჩვენ ამ ზოლის ეპიცენტრები გეოლოგიურ რუკაზე დაგვაქვს, ვრწმუნდებით, რომ ზოლის აღმოსავლეთი ნაწილის ეპიცენტრები აზერბაი-ჯანის ბელტის (მტკვრის დეპრესიის) და კავკასიონის სამხრული ფერდის ნაოჭა სისტემის საზღვართან არის დაკავშირებული. ეს საზღვარი ერთმანე-თისაგან ისეთ არეებს ყოფს, რომელთა გეოტექტონიკური რეჟიმები მკაფიოდ განსხვავებულია, შუა იურულიდან მაიც. სრულიად ბუნებრივია განვიხი-ლოთ იგი როგორც ზღვრული ზედაპირი, რომელიც მიწის ქერქის მეზობელ დიფერენციულად მოძრავ უბნებს ერთმანეთისაგან ყოფს, ე. ი., როგორც გეო-სინკლინური არეების ღრმული სტრუქტურის სახეობა, რომელიც თავის ღროს ა. პერიგემ აღწერა [5] ურალსა და შუა აზიაში ღრმული რღვევების სახე-ლით. ეს რღვევა ყაზბეგისაკენ გრძელდება და მისი აქ რეალური არსებობის უშუალო საბუთს ახალგაზრდა ვულკანური აპარატები წარმოადგენენ, როგორც თვით მყინვარწვერის, ისე მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ყელის ვულკა-ნური ზეგნისა.

ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არაა ის გარემობა, რომ ყელის ზეგნის ვულკანები სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულების მქონე ნაპ-რალების გასწვრივა განლაგებული (ნ. სხირტლაძე).

ეს ღრმული რღვევა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც უწყვეტი ზედა-პირი—იგი რიგი რღვევების რთულ კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს; კერ-ძოდ, ის ფაქტი, რომ ეპიცენტრების კახეთის ჯგუფი მთლიანად ალაზნის დე-პრესიასთან არის დაკავშირებული, ხოლო თვით კახეთის ქედის ფარგლებში ეპიცენტრები თითქმის სრულდებით არაა, შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ ალაზნის დეპრესიის სამხრული საზღვრის გასწვრივ ჩრდილოეთისაკენ დაქა-ნებული რღვევა გაივლის, რომელიც ძირითად რღვევას საღლაც ყელის ზეგნის რაიონში უკავშირდება.

კავკასიონის სამხრული ფერდის აღმოსავლური ნაწილის ღრმული რღვევა, როგორც ჩანს, დასავლეთით ანალოგიურ ღრმულ სტრუქტურას უნდა ებმო-დეს, რომელიც „მთავარი შეცოცების“ სახელით არის ცნობილი და რომლის გასწვრივ კავკასიონის ძელი კრისტალური კომპლექსი სამხრული ფერდის ფლიშურ ნალექებზე შეცოცებული.

რითოდ უნდა ავხსნათ მაშინ ეპიცენტრების თითქმის სრული არარსე-ბობა „მთავარი შეცოცების“ ზოლში? მიზეზი აქ ორგვარი შეიძლება იყოს. ჯერ ერთი, შესაძლებელია, რომ ნეოგენისა და ანთროპოგენის განმავლობაში

მოძრაობათა კონტრასტულობა სამხრული ფერდის აღმოსავლური ნაწილის ღრმული რღვევის ორივე მხარეზე უფრო მკაფიოდ ყოფილიყო გამოხატული, ვიდრე „მთავარი შეცოცების“ ზოლში და იგივე მდგომარეობა შენარჩუნებული იქნა დღეისათვისაც.

მეორე მხრივ, არა გამორიცხული ისიც, რომ კავკასიონის სამხრული ფერდის ღრმული რღვევების მთელი ზოლისათვის არსებობს ეპიცენტრთა მიმონაცვლების გაცილებით უფრო დიდი პერიოდი, ვიდრე ის, რომლის დადგენა ჯერჯერობით ხერხდება ამ ზოლის აღმოსავლური ნაწილისათვის. შესაძლებელია, რომ მომავალში ინტენსიური სეისმური აქტივობა ყაზბეგის ეპიცენტრთა ჯგუფის ჩრდილო-დასავლეთითაც გამოვლინდეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გეოფიზიკის ინსტიტუტი

გეოლოგიური ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 17.3.1956)

დამოუმუშავებელი ლიტერატურა

1. Е. И. Бюс. Сейсмические условия Закавказья, ч. II. Сейсмические основы сейсмогеографии Закавказья. Тбилиси, 1952.
2. Е. И. Бюс и М. М. Рубинштейн. Новые данные о июньском рое землетрясений 1941 г. в Западной Грузии. Сообщ. АН ГССР, XIII, № 9, 1952.
3. Е. И. Бюс и М. М. Рубинштейн. Новые данные о Табацкурском землетрясении 7—8 мая 1940 г. Сообщ. АН ГССР, т. XIV, № 2, 1953.
4. В. Н. Вебер. Шемахинское землетрясение 31 января 1902 г. Труды Геол. Ком., Нов. серия, 9, 1903.
5. А. В. Пейве. Глубинные разломы в геосинклинальных областях. Изв. АН СССР, сер. геол., № 5, 1945.
6. В. А. Растворова и И. Л. Нересов. Варташенское землетрясение 1953 г. Изв. АН СССР, сер. геоф., № 1, 1955.
7. М. М. Рубинштейн. Некоторые вопросы сейсмотектоники Грузии. Матер. Всесоюзного совещания по тектонике альпийской зоны юга СССР. Баку, 1956.
8. А. А. Сорский. О сейсмичности района Шемахи в Закавказье, Изв. АН СССР, сер. геоф., № 1, 1955.



ტექნიკა

გ. ხელისმამა

დეცენტრალიზაციის შესახებ ტენცონეტის განვითარების დროს მარშავების
ნაწილების დაუმყარებელი და მაღალი ბრუნვის ცირკულაციის

პირობები⁽¹⁾

(წარმოადგინა აკადემიკოსმა რ. აგლაძემ 6.6.1956)

თანამედროვე ტექნიკაში მაღალი და ზემაღალი სიჩქარეებისა და აჩქა-
რებების ათვისებასთან დაკავშირებით ისმება ამოცანა მანქანების მბრუნვა
ნაწილებში მექანიკური პარამეტრების კონტროლის მეთოდების გამარტივე-
ბისა და სრულყოფის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სა-
კითხს დაუმყარებელ რეჟიმებში (გაშვება-გაჩერებები, გადატვირთვები). ასეთი
კონტროლი ჩვეულებრივად ტენცონეტის მეშვეობით ხდება, მაგრამ აქ,
მბრუნვა ტენცონეტისა და გამზომ ხელსაწყოებს შორის ელექტრული კავ-
შირის დამყარების საქმეში, თავს იხენს სერიოზული დაბრკოლებები. წარ-
მოების პირობებში ელექტრული კავშირი უფრო ხშირად მოსრიალე კონტაქ-
ტებით ხორციელდება, ამ უკანასკნელებს კი პულსიურ-პიკური ხასიათისა
და გარემო პირობებისადმი მეტად მგრძნობიარე, არამდგრადი გადასვლის
წინაღობა ახასიათებს, რაც გაზომვის პროცესისათვის ძირითადი ხელშემ-
შლელი ფაქტორია.

გამზომ მოსრიალე კონტაქტების მოვლენების არასაკმაოდ შესწავლის
გამო, კონტაქტური მახასიათებლების გაუმჯობესების საკითხები ძირითადად
საკონტაქტო მასალების შერჩევით წყდება. მზომლობის პრაქტიკაში გავრცე-
ლება პერვა დენგამომტანებმა ვერცხლის რგოლებითა და ვერცხლგრაფი-
ტოვანი ჯაგრისებით [1—3], რომლებიც დამაკმაყოფილებლად მუშაობენ
2,3—3,5 მ/სეკ-მდე დამყარებულ სიჩქარეების პირობებში, ხოლო უფრო
მაღალ სიჩქარეებისათვის (15—20 მ/სეკ-მდე) საჭირო ხდება გამზომი
სქემების საგრძნობი გართულება და ჯაგრისის დაწოლის გაზრდა ისეთ
მაღალი სიდიდეებამდე, როგორიცაა 5—8 კგ/სმ². ეს უკანასკნელი ღონის
ძიება, თავის მხრივ, მაღალი სიჩქარეების პირობებში (15—20 მ/სეკ.
მეტი) იწვევს ჯაგრისების ძლიერსა და მერყევ გადახურებებს, რის გამო
დენგადმომტანების მახასიათებლები გაზომვებისათვის გამოუსაღევარი ხდე-
ბა. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დენგადმომტანები სიჩ-

⁽¹⁾ გამოკვლევა ჩატარდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის პ. ტიმოფევის კონ-
სულტაციით.




ქარის დაუმყარებელ რეჟიმებში. ამგვარად, ტენზოგრამების დაუმახინჯებულობის საკითხი დაუმყარებელ და მაღალი სიჩქარეების (40 მ/სეკ და უფრო მეტი) პირობებში ჯერჯერობით გადაუწყვეტელი რჩება.

სრიალის დაუმყარებელი და მაღალი სიჩქარეებისათვის
გამზომ დენგადმომტანის დამუშავების პრინციპული
საფუძვლები

ჩვენს გამოკვლევებს [5] სხვა სპეციალური შრომების [6—9] შედეგების გათვალისწინებით შეაქვთ ზოგიერთი დამატება ცნობილ [10] წარმოდგენებში კონტაქტურ ელექტროფიზიკურ პროცესებზე. ამასთან დაკავშირებით, ახალი დენგამომტანის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი წინაპირობები გადასვლის წინალობის პულსიურ-პიკური ხასიათისა და არამდგრადობის მიზე-ზების შესახებ:

1. ჯაგრისების რხევები გარეშე მეტანიკური ბიძგებისაგან (მანქანის ვიბრაციები და სხვა მიზეზები) [2, 3, 10, 11];
2. ჯაგრისების რხევები, რომლებიც ხახუნის ძალითაა გამოწვეული (ნახტომები ხახუნის დროს [6, 8], ჯაგრისის ცოცვა და სოლისებური გა-ჭიდვა);
3. უნგა ფურჩების სისქის პულსაციები, უპირატესად ფურჩებისა, ჯაგ-რისის საკონტაქტო ზედაპირზე [5];
4. წყლის მოლეკულარული აფსკების შესაძლო გაჩენა და მათი სისქის პულსაციები [9];



ნახ. 1. სპილენდის რგოლსა და სპილენდგრაფიტო-ვან ჯაგრისს შორის ხახუნის ძალის (H) დამკი-დებულება ჯაგრისის ტემპერატურასთან

5. უნგა ფურჩების მასალის (ნახევრადგამტარის თვისებებით) ხვედრითი წინალობის ცვალება დობა, რომელიც ხახუნის არა-მდგრადი სითბოთია გამოწვეული [5, 6];


6. შეხების ჭეშმარიტი ფართო-ბის ცვალებადობა მისი ნომინა-ლური (მოჩვენებითი) მნიშვნელო-ბის ფარგლებში [5, 6];

7. კონტაქტურ ზედაპირებზე ჭუჭის მოხვედრა, აღსორბირე-ბულ ორგანულ ნივთიერებათა მო-ლეკულური აფსკების სახით [6, 7, 11].

იმისათვის, რომ შემცირებულ იქნეს ხახუნის სითბოსა და ხახუნის ძალის გავლენა (პუნქტები 5, 2), საჭიროა უარი ვთქვათ ჯაგრისების ხევდრითი დაწოლის დიდ ძალებზე (5—8 კგ/სმ²), თუმცა ეს ღრმისძიება მკვეთრად გა-ადიდებს ჯაგრისების რხევებს გარეშე ბიძგებისაგან (3. 1). ამ რხევების შემ-

ცირკებასათვის, პირველი ღონისძიების სახით საჭიროა ჯაგრისების გვერდული განლაგების ხერხებს მიემართოთ [2, 3]. შეხების ჰეშმარიტი ფართობის ცვალებადობის ფარგლების შემცირებისათვის გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ჯაგრისის დასაშვები, მინიმალური ზომებისაკენ მისწრაფება. [5]-ში ნაჩვენებია უნგა ფურჩების სისქის სტაბილიზაციის (პ. 3) შესაძლებლობა ჯაგრისის ხელოვნური შეთბობით; საყურადღებოა, რომ ხსენებული ხერხი დადებითად წყვეტს სხვა საკითხების. რიგსაც. ასე მაგალითად, აცირებს და გარკვეულ დონეზე აკავებს ფურჩების მასალის წინაღობას (პ. 5), აძნელებს წყლისა და ორგანულ ნივთიერებათა ნაწილაკების აღსორბირებას (პ. 4 და 7).


ცდებმა გვიჩვენა, რომ ხსენებული ღონისძიების კომპლექსური გამოყენების შემდეგ, მანიც რჩება გაზომვებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც ხახუნის ძალის გავლენითაა გამოწვეული (პ. 2); ამ უკანასკნელის თავიდან ასაცილებლად დამუშავებულ იქნა სპეციალური ხერხი, რომელიც ჯაგრისების ხელოვნურ შეთბობას ხსენებული მიზნებისათვისაც იყენებს. [5]-ში აღწერილია ხახუნის კოეფიციენტის მ ზრდისა და სტაბილიზაციის ეფექტი, ჯაგრისის ტემპერატურის T_{III} გადიდებასთან ერთად, რაც ნახ. 1-ზეა ნაჩვენები. თუ ჯაგრისის α კუთხით (რგოლის ბრუნვის მიმართულების საწინააღმდეგოდ) დახრილი დაყენებით დაწოლის P ძალას დავშლით (იხ. ნახ. 2) ნორმალურ N და მხებ $T := P \sin \alpha$ შემადგენლებად, მაშინ ამ უკანასკნელს ექნება მიმართულება, საწინააღმდეგო ხახუნის ძალისა $H = \mu N = \mu P \cos \alpha$. T_{III} -ს გადიდებასთან ერთად μ იწყებს ზრდას და T_{III} -ს რომელიმე მნიშვნელობის დროს მიიღებს რიცხობრივ სიდიდეს $\mu = \operatorname{tg} \alpha$; ნათელია, რომ ამასთან დაკავშირებით H ძალა მთლიანად დაკომპინსირდება T ძალით და ჯაგრისი დარჩება მხოლოდ კონტაქტის უზრუნველყოფელ N ძალის გავლენის ქვეშ. ამგვარად, საკმაო ხდება მოიძებნოს



ნახ. 2. დენგადმომტანის მოსაწყობად

ზრდისა და სტაბილიზაციის ეფექტი, ჯაგრისის ტემპერატურის T_{III} გადიდებასთან ერთად, რაც ნახ. 1-ზეა ნაჩვენები. თუ ჯაგრისის α კუთხით (რგოლის ბრუნვის მიმართულების საწინააღმდეგოდ) დახრილი დაყენებით დაწოლის P ძალას დავშლით (იხ. ნახ. 2) ნორმალურ N და მხებ $T := P \sin \alpha$ შემადგენლებად, მაშინ ამ უკანასკნელს ექნება მიმართულება, საწინააღმდეგო ხახუნის ძალისა $H = \mu N = \mu P \cos \alpha$. T_{III} -ს გადიდებასთან ერთად μ იწყებს ზრდას და T_{III} -ს რომელიმე მნიშვნელობის დროს მიიღებს რიცხობრივ სიდიდეს $\mu = \operatorname{tg} \alpha$; ნათელია, რომ ამასთან დაკავშირებით H ძალა მთლიანად დაკომპინსირდება T ძალით და ჯაგრისი დარჩება მხოლოდ კონტაქტის უზრუნველყოფელ N ძალის გავლენის ქვეშ. ამგვარად, საკმაო ხდება მოიძებნოს

T_{III} , α_0 და N_0 სიდიდეების ისეთი ოპტიმალური შეფარდება, რომლის დრო-
საც საფურჩო პროცესების (პ. 3) და აგრეთვე პუნქტებში 4,5 და 6 ნახსე-
ნები მოვლენების სტაბილიზაციასთან ერთად თავიდან იქნება აცილებული.



ნახ. 3. u -საგან დამოკიდებული R_k -ს მახასიათებლები. არე (1)

ეკუთვნის შეუთბობელ დენგადმომტანს; არე (2) ეკუთვნის
იგივე დენგადმომტანს მისი ჯაგრისების შეთბობის შემდეგ


$$T_{\text{III}} = 95 \pm 15^{\circ}\text{C}$$

ხახუნის ძალის გავლენაც (პ. 2); ამით უნდა გადაწყვდეს საკითხი გაშვება-
გახერებისა და მაღალი სიჩქარეების პირობებში დაუმახინჯებელი დენგადმო-
ტანისა, ისეთი ძევირფასი მასალების გამოყენების გარეშე, როგორიცაა-
ვერცხლი, ოქრო, პლატინა და სხვა.

დენგადმომტანის კონსტრუქციული შესრულება

სპილენძის რგოლი სრიალებს სპილენძრაფიტოვან $5 \times 6 \times (20-30)$ მმ
ზომის ჯაგრისზე (5) (იხ. ნახ. 2a), რომელიც მოთავსებულია α კუთხის და-
ხრით დაყენებულ ჩვეულებრივ ყუთოვან ჯაგრისისმჭერში (1). სპილენძის
დერო და სალტე (8, 8a) ელექტროგამხურებლისაგან (7) სითბოს ჯაგრისს
გადმოსცემენ. სალტე (8a) ჩაჭრილია ტექსტოლიტის ორი ფილის (2, 2a)

შორის, რომლებიც ერთდროულად საჭირო რაოდენობის ჯაგრის მცენების დასამაგრებელ ტრავერსს წარმოადგენენ. გამახურებელში (7) ელექტროდენის საჭირო სიღილის დადგენა ხდება ერთხელ ცდების მეშვეობით, როდესაც ტემპერატურა ჯაგრისზე თავის ოპტიმალურ სიღილეს მიაღწევს, ამის შემდეგ მუშაობის პროცესში ტემპერატურა კონტროლსა და რეგულირებას აღარ მოითხოვს, რადგანაც დასაშვებია საკმაოდ დიდი გადახრები ($\pm 15^\circ\text{C}$). ჯაგრისის დაწოლის ძალების საჭირო სიღილის დადგენა ხდება ხუფისა (6) და ქანჩის (9) მეშვეობით.




ნახ. 4. R_k -ს მახასიათებლები გაშებისა (ა—ი) და გაჩერების (ვ—რ) მომენტებში, აგრეთვე მუშაობის პირველი დროის განვითარებაში (ი—ვ). ზედა მრუდი ეკუთვნის შეუთბობელ დენგადმომტანს (t_{III} —ჯაგრისების ბუნებრივი ტემპერატურა); ქვედა მრუდი იგივე დენგადმომტანს მისი ჯაგრისების შეთბობის შემდეგ $T_{III}=95 \pm 15^\circ\text{C}$ -მდე

ცდებით დადგენილია, რომ მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმს ადგილა აქვს $\alpha_0 = 19 \pm 2^\circ$, $N_0 = 2 \pm 0,2$ კგ/სმ² და $T_{III} = 95 \pm 15^\circ\text{C}$ —დროს, რაც ნახ. 3, 4 და 5-ზე წარმოდგენილი დენგადმომტანის მახასიათებლებით ილუსტრირდება. ეს მახასიათებლები ეკუთვნიან დენგადმომტანს ერთი ჯაგრისით თვითეულ რგოლზე და გვიჩვენებენ, რომ გადასვლის წინალობის საშუალო სიღილე R_k სრიალის სიჩქარის ფართო ფარგლებში $v=0-42$ მ/სეკ იცვლება მხოლოდ 5—6-ჯერ, ამასთან რჩება 10^{-3} მმის დონეზე (ნახ. 3), გაშვება-გაჩერების დროს უზრუნველყოფილია R_k -ს მაღალი სტაბილიზაცია (ნახ. 4), გადასვლის წინალობის მყისე სიღილეების r_k -ს პულსიური ხასიათი კი პრაქტიკულად სავსებით ქრება (ნახ. 5). ასეთი მახასიათებლები უზრუნ-



ველყოფენ გაზომვისა და დინამიური პროცესების ოსცილოგრაფიულ შედეგების შეტყოფის შინუსტესა და ხარისხიანობას.




ნახ. 5. r_h -ს ოსცილოგრამები გაშვების მომენტში: а—შეუთბობელი დენგად-მომტანისათვის (t_{III} —ჯაგრისების ბუნებრივი ტემპერატურა); б—იგივე დენგადმომტანისათვის, მისი ჯაგრისების შეთბობის შემდეგ ($T_{III}=95 \pm 15^\circ\text{C}$ -მდე)


პრაქტიკული გაზომვების შედეგები

გაჩერება-გაშვების მომენტში და სრიალის მაღალი სიჩქარეების (40—45 მ/სეკ-მდე) დროს ვიკვლევდით მბრუნავი კონსოლური ღრაკის დრე-ფად დეფორმაციებს მას შემდეგ, რაც მისგან მყისედ იხსნებოდა ტვირთი. მოვლენების ჩაწერა ხდებოდა ოსცილოგრაფით МПО—2 პრაქტიკაში არსებულ ყველაზე უფრო რთულ პირობებში. ასე მაგალითად: 1. გამოვიყენეთ სქემა (ნახ. 6), რომლის თანახმად მბრუნავ ობიექტზე (D) განლაგებულია მხოლოდ ორი აქტიური ტენზომეტრი (m_1 და m_2). ეს უკანასკნელი უერთდება ბოგირის ორ დანარჩენ მხარს (r_1 და r_2) მოსრიალე კონტაქტების მეშვეობით. ამგვარად, კონტაქტის გადასვლის წინაღობა ემატებოდა ტენზომეტრების წინაღობის გასაზომ ნაზარდებს; 2. თითოეულ რგოლზე დატოვებულ იქნა მხოლოდ ერთადერთი ჯაგრისი; 3. გამოყენებულ იქნა დაბალ-ომიანი (195 ომი) გავთულის ტენზომეტრები.

შესადარისი მონაცემების მიღების მიზნით ერთისა და იმავე მოვლენის ჩაწერა ხორციელდებოდა დენგადმოტანის სამი ხერხით (იხ. ნახ. 7), ამათგან, პირველადი მოვლენა, მისი დაუმახინჯებელი სახით (ოსცილოგრამა 1) აწერებოდა სპეციალურად დაკონსტრუირებულ სინდიკის კონტაქტების მეშვე-



ნახ. 6. ტენისმეტრირების სქემა: T —ჯაგრისების გამახურებლების ტრანსფორმატორი; 1, 2, 3—ბევრული სისტემის გენერატორის, გამაძლიერებლისა და დემოდულატორის კომპლექტი; 4—ოსცილოგრაფის შლეიფი



ნახ. 7. მბრუნვის სხეულის დეტალის მცირე დრეკადი დეფორმაციების შესაღარისი ისცილოგრამები, ჩაწერილი გაშვების მომენტში: 1—პირველადი მოვლენა; 2—ამ მოვლენის ჩანაწერი შეუთბობელი ჯაგრისიანი დენგადმოტანის მეშვეობით (t_{III} —ჯაგრისების ბუნებრივი ტემპერატურა); 3—ჩანაწერი იზოვე დენგადმოტანით მისი ჯაგრისების შეთბობის შემდეგ ($T_{III} = 95 \pm 15^{\circ}\text{C}$ -მდე)

ობით. როგორც ნახ. 7-ზე ვხედავთ, ოსც. 3 პრაქტიკულად ეთანხმება პირველადს მოვლენას მაშინ, როდესაც ოსც. 2 მიუღებელია. 0—45 მ/სეკ სიჩქარის ფარგლებში გაზომვის აბსოლუტური ცდომილება არ აღემატება ± 20

ქგ/სმ², ხოლო 0—20 მ/სეკ ფარგლებში 2 ქგ/სმ² აღწევს, რაც მექანიკური ჭინვების მეტად მცირე სიღიღების მაღალი სიზუსტით ჩაწერის საშუალებასაც იძლევა.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. გადასვლის წინაღობის პულსაციებისა და არამდგრადობის გამოძვევა ცნობილ მიზეზებს უნდა დაემატოს ზოგიერთი ახალი წარმოდგენა კონტაქტური ელექტროფიზიური პროცესების შესახებ (უანგა ფურჩების სისეის პულსაციები, ხახუნის კოეფიციენტის დამოკიდებულება უანგვის ტემპერატურაზე და სხვ.);

2. კონტაქტების ხელოვნური თბური რეჟიმები გადასვლის წინაღობას ამცირებენ და მის ეფექტურ სტაბილიზაციას ახდენენ;

3. ამ პრინციპზე დამუშავებული ახალი დენგამომტანი გაშვება-გაჩერების პირობებში და სრიალის სიჩქარის ფართო ფარგლებში (0—45 მ/სეკ) უზრუნველყოფს მაღალხარისხოვან ტენზომეტრირებას;

4. დენგადმომტანი წარმატებით გამოიყენება მბრუნავ სხეულებში კვლევითი სამუშაოებისათვის, მექანიკური სიღიღების საექსპლუატაციო კონტროლისათვის და აგრეთვე ავტომატიკისა და ტელემექანიკის მიზნებისათვის.

სსრ კაშირის ელსადგურების სამინისტროს
თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 6.6.1956)

დამოუმჯობესებული ლიტერატურა

1. D. Wright, I. Jeromson. Proc. Soc. Exper. Stress Analysis, Vol. II, № 2, 1954, p. 139.
2. F. Dutee, F. Phillips, R. Kemp. Slip rings and brushes for constant electrical resistance.—Prod. Engineering, Vol. 19, № 6, 1948, p. 129.
3. Н. П. Раевский. Методы экспериментального исследования механических параметров машин. Изд. АН СССР, 1952.
4. G. Ehram. Production testing goes for spin.—Steel, Vol. 132, № 24, 1953, p. 92.
5. Г. П. Зедгинидзе. К вопросу электрических измерений во вращающихся телах. Сообщения АН Грузинской ССР, т. XVII, № 3, 1956, стр. 243.
6. В. О. Кузнецов. Физика твердого тела, т. IV. Томск, 1947.
7. Г. Шмальц. Качество поверхности (перевод с немецкого). М., 1941.
8. А. Ю. Ишлинский, И. В. Крагельский. О скачках при трении. ЖТФ, т. XIV, в. 4—5, 1944.
9. E. Sobert. Electrical Resistance of carbon Brushes on Copper Rings.—Trans AIEE, Vol. 73, 1954, p. 778.
10. F. Spayt, S. East. Sliding contacts—a review of literature.—Electrical Engineering, Vol. 72, № 10, 1953, p. 912.
11. Г. Е. Рудашевский. О токосъёме при тензометрировании. Изв. АН СССР ОТН № 1, 1948.

ტექნიკა

გ. საზალია

ღამრეცი სფერული გარსების ანგარიში ზღვრული მდგრადი მდგრადი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ქ. ზავრიევმა 13.6.1956)

ზღვრული მდგომარეობის მეთოდით ანგარიში ემყარება კონსტრუქციის ზღვრული საანგარიშო მდგომარეობაში გადასცლის პროცესის ანალიზს, ე. ი. როდესაც კონსტრუქცია კარგავს გარე ძალებისადმი წინააღმდეგობის უნარს ან არ აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ საექსპლუატაციო მოთხოვნილებებს.

ჩვენ მიერ განხილული დამრეცი სფერული გარსების ტიპის კონსტრუქციებისათვის, რომელიც შესრულებულია რკინაბეტონისაგან, იშვიათია ისეთი საექსპლუატაციო ხასიათის შეზღუდვა, რომელიც გათვალისწინებულია მეორე და მესამე ზღვრული მდგომარეობით [1].

ამიტომ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ პირველ საანგარიშო ზღვრულ მდგომარეობას, რომელიც ხორციელდება სიმტკიცისა და მდგრადობის დაკარგვის ან მასალის დაღლილ იბის გამო.

ჩვენს შემთხვევაში, ე. ი. რკინაბეტონის გარსებისათვის, როგორც ამას ცდები ადასტურებს, საანგარიშო ზღვრული მდგომარეობა გაპირობებულია სიმტკიცის დაკარგვით.

პირველი საკითხი, რომელიც დასმული ამოცანის გადაწყვეტის დროს გვხვდება, დარღვევის ხასიათსა და სქემას ეხება პლასტიკურ მდგომარეობაში გადასცლისა და დენადობის პლასტიკური სახსრების წარმოშობის პროცესის თანმიმდევრობის გამოვლინებით.

გარსისა და კონტურის არმირების, აგრეთვე ბეტონის კუმშვაზე სიმტკიცის ზღვრის მიხედვით, შეიძლება მივიღოთ რღვევის სხვადასხვა სქემა როგორც მთლიანი, ისე ცირკულარობით დატვირთვისათვის. ამასთან ერთად გარსის ზიდვის უნარი ლიმიტირებულია გაჭიმული ზონით (არმატურის პლასტიკური დეფორმაციებით) ან შეკუმშული ზონით (ბეტონის სიმტკიცის ზღვარით).


ჩვენ მიერ მცირე ფართზე განაწილებული დატვირთვებისათვის ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე მიღებულია რღვევის საანგარიშო სქემების ორი ტიპი, რაც გამოსახულია ნახ. 1-ზე.

გარსის ზიდვის უნარის საანგარიშოდ ვსარგებლობთ ზღვრული წონასწორობის კინემატიკური მეთოდით [2, 3]. ამ მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: დრეკადი დეფორმაციები, პლასტიკურთან შედარებით, უნდა იყოს მცირე და ეს უკანასკნელი კი იმდენად მცირე.

რომ შესაძლებელი იყოს წონასწორობის პირობებში შემავალი ყველა გეომეტრიული სიდიდის ცვლილებების უგულებელყოფა. დარღვევას უნდა ჰქონდეს პლასტიკური ხასიათი.

ზომების ჩვეულებრივ თანაფარდობისას რკინაბეტონის გარსი წარმოადგენს ძალზე მტკიცე კონსტრუქციას. ამიტომ პირობა დეფორმაციათა სიმცირის შესახებ პრატიკულად ყოველთვის დაცულია.

ჩვეულებრივად გარსის დარღვევა ხდება არმატურის ღეროების პლასტიკურ მდგომარეობაში გადასვლის შედეგად, ამიტომ პლასტიკური დარღვევის პირობაც დაცულია.



ნაზ. 1

გარსის ზიდვის უნარის გამორკვევა, მიღებული რღვევის სქემისათვის, დაიკვანება შიგა და გარე ძალების მიერ ზღვრულ მდგომარეობაში შესაძლო გადაადგილებებზე შესრულებული მუშაობის განტოლების შედეგნაზე, რომელიც სტატიკური ურკვევადი სიდიდის — x -ის ფუნქციაა.

მუშაობის განტოლება შესაძლო გადაადგილებებზე დროებითი და მუდმივი დატვირთვების ერთდროული მოქმედების დროს გამოისახება შემდეგნაირად:

$$T_c - PT_b - T_n = 0, \quad (1)$$

სადაც T_c შიგა ბმების მიერ შესრულებული მუშაობაა ზღვრულ მდგომარეობაში,

T_n — მუდმივი დატვირთვების მიერ შესრულებული მუშაობა,

P — დროებითი დატვირთვების ინტენსივობა,

T_b — დროების დატვირთვის მუშაობა, როცა $P=1$.

დროებითი დატვირთვის ინტენსივობა, გარსის ტვირთამტანიანობის ჟემდევნაირად გამოისახება შემდეგნაირად:

$$P = \frac{T_c - T_n}{T_b}. \quad (2)$$

მუდმივი თანაბრად განაწილებული დატვირთვის მიერ შესრულებული მუშაობის გამოსათვლელად გარსის ზედაპირის წერტილების გადაადგილების ეპიურა უნდა გამრავლდეს დროებითი დატვირთვის ინტენსივობაზე.

$$T_n = q_n V_n, \quad (3)$$


სადაც q_n დროებითი დატვირთვის ინტენსივობაა, ე. ი. დატვირთვა გარსის პირიზონტალური პროექციის ერთეულზე,

V_n — გადაადგილებათა ეპიურის მოცულობა.

ანალოგიურად T_b — გამოსათვლელად დროებითი დატვირთვის წერტილების გადაადგილებათა ეპიურის მოცულობა უნდა გამრავლდეს დროებითი დატვირთვის ინტენსივობაზე, ე. ი. ერთზე, მაშასადამე,


$$T_b = V_h, \quad (4)$$

სადაც V_h დროებითი დატვირთვის წერტილების გადაადგილებათა ეპიურის მოცულობაა.



ნახ. 2

შიგა ძალების მიერ შესრულებული მუშაობის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად: გამოითვლება რადიალური არმატურის მიერ შესრულებული მუშა-



ნახ. 3

ობა $\Pi_1, \Pi_2 \dots \Pi_n$ დისკების მობრუნებაზე $D_1, D_2 \dots D_n$ -ის და ამ უკანასკნელთა ქონტურის გარშემო, აგრეთვე არმატურის წრიული ღეროების მიერ შესრულებული მუშაობა გარსის ცალკეული დისკებად დაყოფი ბზარების გახსნაზე-

საკმაო სიზუსტის მიახლოებით ღისკების ურთიერთ მობრუნების ღერძის მდგომარეობის დონეზე ვღებულობთ a და b წერტილებიდან გატარებული მართობების გარსის შუა ზედაპირთან გადაკვეთის წერტილს (იხ. ნახ. 3).

§ 1. ანგარიში კონტურის უჭიმვადობის პირობით

კონტურის უჭიმვადობის გათვალისწინებისას გარსი კინემატიურ რგოლად გარდაიქმნება (ნახ. მე-2-ზე ნაჩვენები სქემით).

ამ სქემის მიხედვით B წერტილის D წერტილში შესაძლო გადაადგილება კონტურის უჭიმვადობისა და გარსის ზედაპირის უკუმშვადობის დაშვებით იწვევს რაიმე K წერტილის გადაადგილებას E წერტილში. KE გადაადგილების ჰარიზონტალური მდგრელი — δ_{rop} — გახსნის რა გარსს ცალკეულ დისკებად, განაპირობებს რადიალული დენადობის სახსრების წარმოშობას.

δ_{rop} -თვის გამოსახულებას აქვს სახე

$$\delta_{rop} = EC (\cos \alpha_2 - \cos \alpha_1). \quad (5)$$

რადიალური ბზარების გარსის ცენტრს ($\text{ზოგად } \bar{\text{შ}}\text{ემთხვევაში } \text{დატვირთვის } \text{ცენტრს}$) კონტურთან აერთებს და არ ხსნის ამ უკანასკნელს. მაქსიმალური გახსნა ხდება ტანგენციალური დენადობის სახსრების ხაზზე. მაშასადამე, ტანგენციალური დენადობის სახსრების ხაზიდან რადიალური ბზარები მცირდება როგორც ცენტრის, ისე კონტურის მიმართულებით (იხ. ნახ. 1-a).

ტანგენციალური დენადობის სახსრის ხაზზე წრიული არმატურის პლასტიკური დეფორმაციები Δ გამოითვლება ფორმულით

$$\Delta = \delta_{rop} \cdot 2 \cdot \sin \frac{\pi}{n}, \quad (6)$$

სადაც n რადიალური დენადობის სახსრების რიცხვია.

გარსის დამრეცობის გამო საკმაო სიზუსტით რადიალური დენადობის სახსრებში პლასტიკური დეფორმაციების შემცირების მრუდს ვცვლით სწორი ხაზებით საზღვრებში $0 \equiv x_i \equiv x$

$$\Delta_{1i} = \Delta \frac{x_i}{x}, \quad (7)$$

საზღვრებში $x \equiv l - x_i \equiv l$

$$\Delta_{2i} = \Delta \frac{l - x_i}{l - x}. \quad (8)$$

წრიული არმატურის მიერ შესრულებული მუშაობა, ზემოთ მიღებული აღნიშვნების საფუძველზე, გამოისახება შემდეგნაირად:

$$T_{1c} = n \sigma_r (\sum \Delta_{1i} F_{1i} + \sum \Delta_{2i} F_{2i}), \quad (9)$$

სადაც n რადიალური ბზართა რიცხვია,

σ_r — არმატურის დენადობის ზღვარი,

Δ_{1i} და Δ_{2i} — პლასტიკური დეფორმაციების მნიშვნელობები წრიული არმატურის განლაგების. წერტილებში შესაბამისად ფართებით F_{1i} და F_{2i} .

ტანგენციალური დენადობის სახსრებში შესრულებული მუშაობა შიგა დისკების გვერდითი დისკებთან მობრუნებისას გამოისახება შემდეგნაირად:

$$T_{2c} = M_r \sum x_i \eta_i, \quad (10)$$

სადაც

$$M_r = \sigma_r F Z.$$

ამ გამოსახულებებში

$\sum x_i$ — ტანგენციალური დენადობის სახსრის სიგრძეა,

η_i — ორწახნაგოვანი კუთხე, შექმნილი შიგა დისკების გვერდითი დისკებთან მობრუნების შედეგად,

M_r — ტანგენციალური დენადობის სახსრებში ზღვრული მომენტის მნიშვნელობა,

F — წრიული არმატურის ფართი სიგრძის ერთეულზე,

Z — შიგა წყვილი ძალების მხარი,

σ_r — წინანდებურად არმატურის დენადობის ზღვარი.

ტანგენციალური დენადობის სახსარში შესრულებული მუშაობა გვერდითი დისკების კონტურის მიმართ მობრუნებისას გამოისახება შემდეგნაირად:

$$T_{3c} = M_r' \sum l_i \psi_i, \quad (12)$$

სადაც M_r' წინანდებურად ზღვრული მომენტის მნიშვნელობაა,

$\sum l_i$ — ტანგენციალური დენადობის სახსრის სიგრძე,

ψ_i — გვერდითი დისკის მობრუნების კუთხე კონტურის მიმართ.

ამრიგად, გარსის შიგა ბმებში შესრულებული მუშაობა ზღვრულ მდგომარეობაში იქნება:

$$T_c = n \sigma_r (\sum \Delta_{1i} F_{1i} + \sum \Delta_{2i} F_{2i}) + M_r \sum x_i \eta_i + M_r' \sum l_i \psi_i. \quad (13)$$

გარე ძალების მიერ შესრულებული მუშაობის გამოთვლა, როგორც ამაზე ზემოთ მიგვთითებდით, დაიყვანება ზედაპირის წერტილების გადადგილებათა მოცულობის გამოთვლაზე.

წრიული გარსის შემთხვევაში ზედაპირის წერტილების გადადგილებათა მოცულობა გამოსახება შემდეგნაირად:

$$V_n = \frac{\pi}{3} [a_{1x}^2 \cdot \delta - KE (l^2 + lx - a_{1x}^2 - xa_{1x})], \quad (14)$$

სადაც

$$a_{1x} = \frac{x}{\delta + KE}.$$


გარსის ზედაპირის წერტილების გადადგილებათა მოცულობა, რომელიც განიცდის დროებითი თანაბრადგანაწილებულ დატვირთვას იმ წერტილებში,

რომლებიც მოთავსებულია r_h რადიუსის მქონე წრის ფართზე, იმ შემთხვევაში, როცა $n > 8$ საზღვრებში $0 < r_h < a_{1x}$ (ნახ. 4-a), მიიღებს სახეს

$$V_B = \pi r_h^2 \left[n_1 n_1 + \frac{1}{3} (\delta - n_1 n_1) \right], \quad (15)$$

საღაც

$$n_1 n_1 = \frac{\delta (a_{1x} - r_h)}{a_{1x}}.$$



ნახ. 4

იმ შემთხვევაში, როცა $r_h = a_{1x}$ (ნახ. ნახ. 4-б), მივიღებთ

$$V_B = \pi a_{1x}^2 \frac{1}{3} \delta, \quad (16)$$

საზღვრებში $a_{1x} < r_h < x$ (ნახ. ნახ. 4-с) მიიღებს სახეს

$$V_B = \frac{\pi}{3} [a_{1x}^2 \cdot \delta - n_2 n_2 (2r_h^2 - a_{1x}^2 - r_h a_{1x})], \quad (17)$$

საღაც

$$n_2 n_2 = \frac{KE(r_h - a_{1x})}{a_{2x}},$$

საზღვრებში $x < r_h < l$ (იხ. ნახ. 4-ი), მიიღებს სახეს

$$V_B = V_n - \left[\frac{1}{3} (l^2 + r_{ii}^2 + l \cdot r_{ii}) - r_{ii}^2 \right] n_3 n_3, \quad (18)$$

სადაც

$$n_3 n_3 = \frac{KE(l - r_h)}{l - x}.$$

ძნელი არა დავრწმუნდეთ, რომ მინიმალურ მრღვევ დატვირთვას r_h -ის გარკვეული მნიშვნელობის დროს შეესაბამება x -ის ისეთი მნიშვნელობა, რომლის დროსაც $a_{1x} < r_h < x$.

x -ს სხვა მნიშვნელობის დროს მიღებული მრღვევი ტვირთის სიდიდე არ შეესაბამება სინამდვილეს.

ამიტომ ჩვენ ვღებულობთ საკმაოდ პატარა ინტერვალს მინიმალური დამრღვევი ტვირთის გამოსარკვევად.

ჩავსვათ (3), (4), (12) გამოსახულებები (2)-ში, მივიღებთ მრღვევი დატვირთვის ინტენსივობის გამოსარკვევ გამოსახულებას.

§ 2. ანგარიში კონტურის გაჭიმვადობის პირობით

ზემოთ მოყვანილ შემთხვევისაგან განსხვავებით, ტანგენციალური დენადობის სახსარი კონტურში განვითარებული პლასტიკური დეფორმაციების გამო ღებულობს მხოლოდ ჰირიზონტალურ გადაადგილებას.

(2) ფორმულაში შემავალი სიდიდეები ამ შემთხვევაში გამოითვლება სხვაგვარად.

გარსის ტანგენციალური დენადობის სახსრისა და კონტურის ჰირიზონტალური გადაადგილება გამოითვლება შემდეგი გამოსახულებით:

$$\delta'_{rop} = \delta \cdot \operatorname{tg} \alpha_2, \quad (19)$$

სადაც δ წერტილის შესაძლო გადაადგილებაა.

კონტურისა და აგრეთვე რადიალური არმატურის პლასტიკური დეფორმაციები, ტანგენციალური სახსრის დენადობის საზრე წინანდებურად გამოიძევა გამოსახულებით:

$$\Delta' = \delta'_{rop} \cdot 2 \sin \frac{\pi}{n}, \quad (6)$$

სადაც n რადიალური სახსრის დენადობის რიცხვია.

ამ შემთხვევაში პლასტიკური დეფორმაციების შემცირება რადიალური დენადობის სახსრებში ხდება მხოლოდ ერთი მიმართულებით — ტანგენციალური დენადობის სახსრიდან ცენტრისაკენ (იხ. ნახ. 1-ი). მაშასადამე, საზღვრებში $0 \leq x_i \leq l$

$$\Delta'_{1i} = \Delta' \frac{x_i}{x}, \quad (20)$$

საზღვრებში $x \leq l - x_i \leq l$

$$\Delta'_{2i} = \Delta'. \quad (21)$$

შეგა ბმებში ზღვრულ მდგომარეობაში დახარჯული მუშაობა უდრის

$$T_c = n\sigma_r (\sum \Delta_{2i} F_{1i} + \Delta' \sum F_{2i}) + M_r \sum x_i \eta_i + n \tau_r \Delta' F_k, \quad (22)$$

სადაც F_k ქონტურის არმატურის ფართია, ხოლო

η—შეგა დისკოს გვერდითი დისკოსთან მობრუნების ორწახნაგოვანი კუთხე.

დროებითი და მუდმივი ძალების მიერ შესრულებული მუშაობა ზღვრულ მდგომარეობაში შესაძლო გადაადგილებაზე წინანდებურად გამოითვლება გამოსახულებებით:

$$T_n = q_n V_b, \quad (3)$$

$$T_b = V_b. \quad (4)$$

ჩავსვამთ რა (3) (4) (22) გამოსახულებებს (2)-ში, მივიღებთ მრღვევი და-ტვირთვების ინტენსივობის გამოხატულებას.

ზემოთ მოყვანილი ანგარიში მართებულია იმ დატვირთვებისათვის, რომლებიც განაწილებულია მცირე ფართობზე. ამასთან ერთად დატვირთვის წრის რადიუსი r_n იცვლება საზღვრებში $0 < r_n < \frac{I}{3}$ 1 წრინააღმდეგ შემთხვევაში,

ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა $r_n > \frac{I}{3}$ 1. სხვა ერთგვარ პირობებში, როგორც ამას დრეკადი ანგარიში ადასტურებს, ღერბული ძალები ახდენენ გაბატონებულ ზემოქმედებას გარსის საერთო დაჭიმულ მდგომარეობაზე და, მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი დარღვევის სქემებს არ ექნება ადგილი.

დროებითი დატვირთვის მინიმალური ინტენსივობის გამორჩევა (2) გამოსახულებიდან ზოგადი სახით ძნელია. ამიტომ საჭიროა ჯ-ს თანდათანობით მიახლოვების მეთოდით მივცეთ სხვადასხვა მნიშვნელობები. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მრღვევი ძალის გამოსახულების მინიმუმი და, მაშასადამე-მრღვევი ძალის უმცირესი სიდიდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სამშენებლო საქმის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 13.6.1956)

დამოუმებული ლიტერატურა

1. И. И. Гольденблат. Основные положения метода расчета строительных конструкций по расчетным предельным состояниям и нагрузки. М., 1955.
2. А. А. Гвоздев. Расчет несущей способности конструкций по методу предельного равновесия. М., 1949.
3. Н. В. Ахведиани, В. Н. Шайшмелашвили. К расчету оболочек двоякой кривизны по стадии разрушения. Труды Института строительного дела АН ГССР, т. V, 1955.

ბოტანიკა

8. სანამ

შავი ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის ობიექტური
მთოლემის საგითოს

(ჭარმოადგინა აკადემიკოსმა ლ. ჯაფარიძემ 20.6.1956)

ჩაის ტექნოლოგიისა და მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის ზუსტი დადგენა ჭარმოადგინს. მიუხედავად მრავალი ცდისა, ჯერჯერობით ვერ შეიქმნა რაიმე მეთოდი, რომელიც ჩაის მზა პროდუქციის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლეოდეს. ამავე დროს ამ საკითხის დადებითად გადაჭრა ჩაის მრეწველობას მისცემდა არა მარტო ჩაის სამომხმარებლო ფასების სწორი დადგენის ობიექტურ შესაძლებლობას, არამედ ცალკეული ფაბრიკების მზა პროდუქციის ასორტიმენტის დაგეგმვის შესაძლებლობასაც.

ცნობილია, რომ ჩაის ტიტესტერული შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ხშირად ჩაის არომატს ენიჭება, ამიტომ ბუნებრივია, რომ უწინარეს ყოვლისა ამ არომატული გამონაყოფების შესწავლა იპყრობს ყურადღებას.

ჩაის არომატული გამონაყოფების რაოდენობრივი განსაზღვრის ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდის ზოგადი დახასიათებისათვის მივუთითებთ იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი მეთოდით ჩაის ნიმუშების შესწავლისას ცდის ობიექტური პირობები პრინციპულად ემთხვევა ჩაის ნიმუშების ორგანოლეპტიკური მეთოდით გამოცდის პირობებს. ჩვენი აზრით, ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩაის ხარისხის ობიექტური შეფასების საკითხის გადაწყვეტისადმი სწორად მიღომის თვალსაზრისით.

ცდებს ვაწარმოებით შემდეგნაირად: საანალიზოდ ვიღებდით 10 ან 20 გრამ ჩაის სინჯს. სინჯს ვხარშავდით ადულებულ წყალში, როგორც ეს ჩაის ორგანოლეპტიკური წესით შეფასებისას არის მიღებული. ნაყენს რამდენიმე წუთის განმავლობაში ვაყოვნებდით და მიღებულ აქროლად გამონაყოფებს ვსაზღვრავდით გაზოანალიზური მეთოდით, რომელიც ნივთიერებათა მიკროკონცენტრაციების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. მიღებულ შედეგებს გამოვხატავთ პირობითი ერთეულებით, სადაც უმაღლესი ხარისხის I—1 სახის ჩაის ხელსაწყოზე მიღებული მაჩვენებელი მიღებული გვაქვს 10-ად. ყოველი პირობითი ერთეული შეესაბამება ტიტესტერული ბალის გარკვეულ ოდენობას და, ამდენად, ჩაის ამა თუ იმ ხარისხს.

გამოვიყვლით სამი სახის ჩაი. თითოეული მათვანი ჭარმოდგენილი იყო ორი-სამი ხარისხობრივი გრადაციით. მაისის ბოლო რიცხვებში საან-

ლიზო მასალის ნიმუშები მივიღეთ „გლავჩის“ ჩაის ხარისხის შემფასებელი ბიუროდან. გამოკვლევის შედეგები შეჯარებულია მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი

№№	ჩაის სახე	ჩაის ხარისხი	ჩაის სატიტუსტერო შეფასება (ბალებით)	ჩაის არომატული ნივ- თერებების საერთო რაოდნობა (პირობითი ერთეულებით)
I	Л—1	უმაღლ. II	3,75	10
2	M—1	უმაღლ. II	3,75	9
3	Л—1	I	3,25	8
4	Л—2	I	3,25	8
5	M—1	I	3,25	8
6	Л—2	II/I	2,75	6
7	Л—2	II/2	2,25	4

ცხრილიდან ჩანს, რომ სატიტუსტერო შეფასებით დადგენილ ამა თუ იმ ბალს შეესაბამება ჩვენ მიერ დადგნილი ესა თუ ის ერთეული. ასე, მაგალითად: Л—1, Л—2 და M—1 სახის ჩაის ნიმუშები, რომელთაც ეძლევათ 3,25 სატიტუსტერო ბალი, ჩვენი განსაზღვრისას 8 ერთეულს ეთანადება და 1 ხარისხს მიეკუთვნება. უმაღლესი II ხარისხის M—1 და Л—1 სახის ჩაის ნიმუშები, რომელთაც შემფასებელ ბიუროში 3,75 ბალი მისცეს, ჩვენი განსაზღვრით იღებს 9 და 10 ერთეულს. ეს მცირე განსხვავება, გარდა სხვა შესაძლო მიზეზებისა, როგორც ჩაის სპეციალისტთა შორის მიღებული აზრიდან ირკვევა, განპირობებულია Л—1 სახის ჩაის უფრო ნაზი არომატით M—1 სახის ჩაისთან შედარებით.

საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ Л—2 სახის II/1 და II/2 ხარისხის ჩაის ნიმუშები, რომლებიც შემფასებელ ბიუროში შესაბამისად 2,75 და 2,25 ბალით შეფასდა, ჩვენი განსაზღვრით იღებს 6 და 4 ერთეულს, რაც საერთო სურათს კარგად ავსებს.

Л—2 სახის ჩაისათვის გვაქვს ხარისხის სამი გრადაცია, ამიტომ ხარისხობრივი განსხვავება აქ უფრო ნათლად და საიმედოდ ირკვევა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩაის არც სხვა სახეთა ანალიზის დროს იყო მიღებული რაიმე სერიოზული გადახრა საშუალო ციფრებიდან. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე პარალელური ცდების შედეგების იმდენად დიდი მუდმივობა, რომ ჩვენი მეთოდის დიდი მგრძნობიარობის ფარგლებშიც კი ცდის მაჩვენებლები ერთშანობით განვითარება.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ დამუშავებული წეთოდი იძლევა არა მარტო ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის დადგენის რეალურ შესაძლებლობას, არამედ სხვა ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის პერსპექტივასც.

გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ანატომიისა და ფიზიოლოგიის განცოდილებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბოტანიკის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 20.6.1956)

 ზოოლოგია

6. იაპობაჟვილი

ზოგიერთი ქეტოლოგიური თავისებულების შესახებ ტეტრაცი-
სებრი ტკივილის (*TETPANYCHOIDEA BECK*) ონთოზენიზი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 30.5.1956)


ქეტოლოგიურ მეთოდს აკაროლოგიაში, როგორც ამას განსვენებული ვრცე. ა. ზახვატკინი [2] აღნიშნავს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემატიკის, ონთოგენეზისა და ფილოგენეზის საკითხების გაშუქებისათვის. ქეტოლოგიური მეთოდი ამჟამად ფართოდ გამოიყენება სისტემატიკური კუთვ-ნილების დადგენისათვის და ფრიად მნიშვნელოვან ნიშანს გვაძლევს ტეტრა-ნიქისებრი ტკივილის გვარის, სახეობისა და ასაკის დიაგნოსტიკისათვის [4,5,6,7].

3. რეკის [6] ქეტოლოგიურმა გამოკვლევებმა, რომლებიც შემდგომ ექსპერიმენტულად დამტკიცდა ა. ბალდასარიანისა [1] და უცხოეთის მეცნიერების [8] მიერ, გვიჩვენა, რომ რაიმე რაოდენობრივი ცვლილები ბრიობიდებისა (*Bryobiidae Reck*) და აბლაბუდიანი ტკივილის (*Tetranychidae Donn.*) ზურგის ქეტომში არ ხდება; მუცლის მხარის ქეტომში კი ყოველი კანის ცვლის შემდეგ რთულდება მასზე განსაზღვრული ელემენტების დამატებით. რაც შეეხება ტეტრანიქისებრი ტკივილის დანარჩენ ოჯახებს, რამდენადაც ჩემ ხელთ არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით არის ცნობილი, სხეულის ასაკობრივი ცვლილებების შესახებ ლიტერატურული მონაცემები სრულებით არ არის.

ჩვენი გამოკვლევა, რომელიც ჩატარდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ჰ. რეკის ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავდა დაგვეღინა სხეულის ქეტომის ასაკობრივი ცვლილებები *Tuckerellidae Baker et Pritch.* თჯახში, რომელიც მსოფლიო ფაუნაში ცნობილია ერთი გვარითა და ორი სახეობით. სამუშაოს ჩატარებისათვის გამოვიყენეთ *Tuckerella pavoniformis* (Ewing) (= *Parabryobia aenigmatica* Reck), რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებშია ფავორცელებული. საანალიზოდ ვისარგებლეთ ნიმუშითა და ზრდა-სრული ფორმებით.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად დავადგინეთ, რომ ასაკობრივი ცვლილებები *T. pavoniformis* ზურგის ქეტომში იმდენად მყარი და რელიეფური არ არის, რომ მათი საშუალებით შეგვეძლოს ვიმსჯელოთ ცხოველის ასაკობრივ მდგომარეობაზე. რაც შეეხება მუცლის მხარის ქეტომის რაოდენობრივ და ჯგუფურ შედეგებისას, აქ ადგილი აქვს გადაბრებს, რომლებიც უფლებას გვაძლევს ტკიბის ამ პოპულაციაში გამოვყოთ 4 მკვეთრად განსაზღვრული პოსტლარვული ჯგუფი. ამ ჯგუფების ქეტოლოგიური დახასიათება მოცემულია ცხრილსა და სქემატურ ნახაზზე.

ბრიობიდეებისა და აბლაბუდიანი ტკიბების ანალოგიურად, სადაც ქი-ტკიმის რიცხობრივი ცვლილებები დაკავშირებულია კანის ცვლისთან, ეს ჯგუფები შეიძლება მივიღოთ როგორც განვითარების ცალკეული პოსტლარეული ფაზები [1, 6, 8]. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ *Tuckerellidae*-ს ონთოგნეზი სამნიმფოვანი ტიპის სახით მიმდინარეობს. ასეთი ონთოგნეზის უფრო პრიმიტიულია, ვიღრე ბრიობიდეებისა და აბლაბუდიანი ტკიბებისა, რომელთა პოსტემბრიონული განვითარება ორნიმფოვანი ფაზის სახით მიმდინარეობს.



ნახ. 1. *Tuckerella pavoniformis*. პოსტლარეული ფაზები. სხეულის მუცელის მხარის ხეტომი: A—ნიმფა I, B—ნიმფა II, C—ნიმფა III, D—დედალი

თუ ამას დავუპირისპირებთ სხვა აგტორების მიერ მოცემულ ბრიობიდეებისა და აბლაბუდიანი ტკიბების ქეტოლოგიურ მონაცემებს, *Tuckerellidae*-ბისათვის სპეციფიკურია შემდეგი: მეორე ჯაგარი პირველი კიდურის მენჯზე

გვიან ვითარდება — არა ნიმფა I, არამედ ნიმფა II-ის დროს; ეპიგინეალური ჯაგრების რიცხვი (ეპიგინეალურ სარქველზე) გაორკეცებულია; დედლებს განვითარებული აქვთ სუბეპიგინეალური ჯაგრების ჯგუფი (ეპიგინეალურ და ანალურ ხერელს შორის), რომელიც არ გააჩნიათ ბრიობილებსა და აბლაბუდიან ტკიბებს. *Tuckerellidae*-ს მუცლის მხარეზე პოსტანალური ჯაგრები განვითარებული არა აქვთ; ასეთები ბრიობილებსა და აბლაბუდიან ტკიბებს მო-

ცხრილი 1

ჯაგრების რაოდენობა სხეულის მუცლის მხარის ჯგუფებში ტეტრანჯისებრი ტკიბების სხვადასხვა ოჯახში, განვითარების ფაზების მიხედვით

ჯაგრების ჯგუფები	<i>Tuckerella</i>				<i>Tetranychidae და Bryobiidae</i>		
	ნიმფა I	ნიმფა II	ნიმფა III	დედალი	ნიმფა I	ნიმფა II	დედალი
I კიდურის მენჯზე	2	4	4	4	4	4	4
II კიდურის მენჯზე	2	4	4	4	2	2—4	2—4
III კიდურის მენჯზე	2	2	2	2	2	2	2
IV კიდურის მენჯზე	—	2	2	2	—	2	2
პროპოლისომალური	2	2	2	2	2	2	2
წინა მეტაპოლისომალური	2	2	2	2	2	2	2
უკანა მეტაპოლისომალური	—	2	2	2	—	2	2
პრეეპირინეალური	2	2	2	2	2	2	2
ეპიგინეალური	—	—	4	4	—	—	2
სუბეპიგინეალური	—	—	4	4	—	—	—
ინტერმედიალური	—	2	2	2	—	2	2
ანალური	6	6	6	6	4—6	4—6	4—6
პოსტანალური	—	—	—	—	2—4	2—4	2—4

თავსებული აქვთ ვენტრალურ მხარეზე ანალური ხერელის სარქველების უკან და გვერდებზე; ეს წარმონაქმნები ზოგიერთი ავტორის მიერ განიხილება როგორც ზურგის ჯაგრები, რომლებიც ევოლუციის პროცესში გადანაცვლებულან მუცლის მხარეზე. *Tuckerellidae*-ში ამ ჯაგრების ანალოგებს, როგორც ჩანს, წარმადგენენ ის ჯაგრები. რომელიც განლაგებულია ღორზალურ მხარეზე, ანისტოსონმის კაუდალურ ნაწილზე.

მოცემულ ცხრილიდან ჩანს, რომ განხილული სამიერ ოჯახიდან რაოდენობრივი და ჯგუფური შედეგნილობა მუცლის ქეტომისა ნიმფა II-ის ფაზაში საგებით ერთნაირია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განსხვავებას ანალური ჯაგრების რაოდენობაში. თუ გამოვრიცხავთ განსხვავებას ეპიგინეალური ჯაგრების რაოდენობაში (*Bryobia*-ს გვარში კი აგრეთვე ჯაგრების რაოდენობას II მენჯზე), მაშინ ჯაგრების რაოდენობრივი და ჯგუფური შედეგნილობა *Tuckerellidae*-ს ნიმფა III-ის მუცლის მხარეზე ბრიობილებისა და აბლაბუდიანი ტკიბების დედლების ასეთივე ჯაგრების რაოდენობრივი და ჯგუფური შედეგნილობის იდენტური იქნება. ამიტომ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ბრიობილებისა და აბლაბუდიანი ტკიბების პოსტემბრიონულ განვითარებაში ამოვარდნილია ბოლო ფაზა და რომ ონთოვენეზური თვალსაზრისით სქესმწიფე ფაზა ამ ორი ოჯახისა სრულფასოვანია ნიმფა III-ისა (ტელეონიმფისა). ამისა

დამადასტურებელია ისიც, რომ *Tuckerellidae*-ებს სასქესო ხერელი კარგად აქვთ განვითარებული ორ უკანასკნელ ფაზაში, ხოლო იგი წარმოდგენილი აქვთ ბრიობიდებისა და აბლაბუდიანი ტკიბების მხოლოდ სქესმწიფე ფორმებს.

ამგვარად, ბრიობიდებისა და აბლაბუდიან ტკიბებში გამრავლების ფუნქციას ტელეონიმუა ასრულებს. ასეთ შესაძლებლობაზე მიუთიოებს მაგალითები სხვა ჯგუფებიდან, მაგ. *Acariformes* A. Zachv., სადაც, ა. ზახვატკინის მონაცემების თანაბმად, სქესმწიფე ფაზას სხვადასხვა ჯგუფში შეიძლება საესებით განსხვავებული ონთოგენეზური დონე ჰქონდეს [3].

დაბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დასახელება „პროტონიმუა“ და „დეიტონიმუა“ ბრიობიდებისა და აბლაბუდიან ტკიბებში აქამდე გამოიყენებოდა შეთანხმების საფუძველზე, ყოველგვარი ონთოგენეზური ახსნის გარეშე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ხშირად ამ ტერმინების სისწორე საეჭვო იყოს, ხოლო ზემოთ მოყვანილ ქეტოლოგიურ დაპირისპირებათა მეოხებით ეს სახელწოდებები შედარებით მყარ საფუძველს ღებულობს.

მაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოოლოგიის ინსტიტუტი
— თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 30.5.1956)

დამოუმებული ლიტერატურა

1. А. Т. Багдасарян. Хетологические особенности постэмбрионального развития паутинных клещей. ДАН Арм. ССР, т. XV, № 2, 1952.
2. А. А. Захваткин. Некоторые итоги и перспективы развития сельскохозяйственной и общей акарологии в СССР. Зоол. журн., т. XXVI, вып. 5, 1947.
3. А. А. Захваткин. Разделение клещей (*Acarina*) на отряды и их положение в системе *Chelicerata*. Параз. сборн. Инст. зool. АН СССР, т. XIV, 1952.
4. Г. Ш. Каджая. О возрастных изменениях в хетоме конечностей у паутинных клещей (*Tetranychidae*). Сообщения АН ГССР, т. XVI, № 10, 1955.
5. Г. Ф. Рекк. О значении туловищных щетинок в систематике паутинных клещей (*Tetranychus*, s. l.). Труды Зоол. инст. АН ГССР, т. VII, 1947.
6. Г. Ф. Рекк. К установлению возрастных различий у паутинных клещей (*Tetranychidae*, *Acarina*). Сообщения АН ГССР, т. X, № 7, 1949.
7. Г. Ф. Рекк. О некоторых основах классификации тетраниховых клещей. Сообщения АН ГССР, т. XIII, № 7, 1952.
8. C. A. Blair and J. R. Groves. Biology of the fruit tree red spider mite *Meteotetranychus ulmi* (Koch) in South-east England. J. Hort. Sci., v. XXVII, № 1, 1952.

ესპერიმენტული მდიდონი

გ. მაჩაბელი

ვისმა 1956 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობის მორგოლობის მინისტრის მიერ განცხადების მიზანით და მასში აღმოჩენილ ნირვალ ბოჭკოთა აგებულების თავისებულებაზე

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 14.1.1956)

1954 წელს სპეციალურ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ აცრითი სარეკომა—შტამი 65-ა — თეორ ვირთაგვებზე. შტამი მიღებულ იქნა სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-ბიოლოგიური სადგურის (სოხუმი) ონკოლოგიურ ლაბორატორიაში.

სარეკომა 65-ა ნერვული ბოჭკოების აგებულებაზე დაკვირვებათა შედეგების განხილვამდე მოკლედ ვიძლევით შტამის მორფოლოგიურ დახასიათებას.

პირველადი სიმსივნე ინდუცირებულ იქნა მეთილქოლანტრენის შეყვანით თეორ ვირთაგვებში, რომლებიც სახლის ვირთაგვის (პასიურის) სახესხვაობას წარმოადგენენ. რიგი ცდების შემდეგ ნეოპლაზმა აეცრა თითქმის ყველა ვირთაგვას.

ონკოლოგიურ ლაბორატორიაში დადგენილ იქნა სიმსივნის ახალი შტამი, რომლის პირველი გენერაცია მიღებული იყო 1939 წლის 19 სექტემბერს.


1954 წლის 29 ივნისს, იმ ახალგაზრდა ვირთაგვებთან ერთად, რომელთა შერჩევა ხდებოდა ჩვეულებრივად, როგორც რეციპიენტებისა, შტამი აეცრა აგრეთვე ათ მოზრდილ მამალ ვირთაგვას. ყველა ცხოველმა მასალა მიიღო 279-ე აცრითი გენერაციიდან.

ტრანსპლანტაციის მეთოდიკა ჩვეულებრივი იყო. აცრილი ცხოველები ყოველდღიურად ისინჯებოდნენ. ვირთაგვის ღლავების გარეგანი გასინჯვა მე-5-შე-7 დღეს საფუძველს იძლეოდა დაგვესკვნა აცრის დადებითი შედეგი, მაშინ როდესაც მოზრდილი ვირთაგვების გასინჯვას არ მივყავდით ამ დასკვნამდე. დიდ ვირთაგვებს აცრიდან მხოლოდ 10-12 დღის შემდეგ და უფრო მოგვიანებით ესინჯებოდათ შემქვრივება ინექციის ადგილზე. ათი მოზრდილი ვირთაგვიდან ერთს ეს შემქვრივება სრულიად განეწოვა, სხვა ვირთაგვების ბლასტომის განვითარება კი გრძელდებოდა, მაგრამ ახალგაზრდა ცხოველების ნეოპლაზმის ზრდასთან შედარებით საგრძნობლად ნელა მიმდინარეობდა. ამაზე მიუთითებდნენ სიმსივნების უფრო ნაკლები ზომები ერთ ასაკში, მათში ნეკროზების უფრო გვიანი გამოჩენა და ხნიერი ვირთაგვების ცხოვრების დიდი ხანგძლივობა.

ახალგვზრდა ცხოველებს უკვე მე-7 დღეს შესამჩნევი უხდებათ დაავადებული კიდურის სიკოჭლე. დიდდება რა სწრაფად, სიმსივნე ერთი თვის შემდეგ საგრძნობლად დიდ ზომებს აღწევს. კანზე, რომელიც ბლასტომას ფარავს, ჩნდება ნაწოლი და წყლულები. კიდური შეშუბდება, ლურჯდება და სიმსივნისაგან ზევით იწევს, ხოლო სიმსივნე 6-7 კვირის შემდეგ კვლავ უფრო დიდია. ძემნება შთაბეჭდილება, რომ სიმსივნე კი არ არის კიდურებზე, არამედ კიდური დევს უზარმაზარ სიმსივნეზე. ერთდროულად მატულობს ცვლილებები ვირთაგვების საერთო მდგომარეობაშიც. ისინი ნაკლებმოძრავნი ხდებიან, კარგავენ მაღას, ეწყებათ ქოშინი, არ იღებენ საჭმელს, ძლიერდება ცვლილებები სისხლის სისტემაში და კახექსიის მოვლენებთან ერთად ვირთაგვები იღუპებიან აცრიდან 6—7 ან 8 კვირის შემდეგ.

დონორებად შემდგომი გენერაციისათვის ჩვეულებრივად გამოიყენებიან ვირთაგვები სიმსივნის განვითარების 15—21 დღეზე. რაც უფრო აღრეა აღმული მასალა, მით უფრო თავისუფალია ის ნეკროზისაგან.

საწყისი სიმსივნე, რომელიც ინდუცირებული იყო 1939 წელს, წარმოადგენდა თითოსტარა-უჯრედოვან სარკომას. აცრის პროცესში, 1954 წელს, იგი წარმოადგენდა პოლიმორფულ-უჯრედოვან სარკომას, რომლის მორფოლოგიური დახასიათება მოყვანილია ქვემოთ¹. ამგვარად, საწყისთან შედარებით, ნეოპლაზმა უფრო ავთვისებიანი ხდება. (სურ. 1).




სურ. 1

სიმსივნის მთავარი მასა პიკროფუქსინითა და ჰემატოქსილინ-ეზოინით შეღწილ პრეპარატებზე წარმოდგენილია მჭიდროდ განლაგებულ სხვადასხვა ფორ-

¹ კონსულტანტი—ვედიც. მეცნიერ. კანდიდატი ლ. შარაშიძე.

მისა და სიდიდის უჯრედებად. უჯრედების უმრავლესობას მრგვალი ან ოვალური ფორმის ფართო პროტოპლაზმური რკალი აქვს დიდი ბუშტუკოვანი ბირთვით, რომელიც თვის მხრივ რამდენიმე ბირთვას შეიცავს. როგორც ბირთვების სიდიდე, ისე ქრომატინის რაოდენობა ძლიერ მერყეობს. ზოგიერთ უჯრედში ორ-ორი ან სამ-სამი ბირთვი გვხვდება. ალგ-ალგ გვხვდება ერთეული გიგანტური უჯრედები, რომლებიც ხუთ-შვიდ ბირთვს შეიცავენ. საქმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება გაგრძელებული უჯრედები თითისტარისებრი ან ოვალური ბირთვებით, რომლებიც აგრეთვე შეიცავენ ქრომატინის სხვადასხვა რაოდენობას. გვხვდება აგრეთვე შედარებით მცირე ზომის მომრგვალებული ფორმის უჯრედები, რომელთა ბირთვი განსაკუთრებით მდიდარია ქრომატინით და პროტოპლაზმის ვიწრო რკალი აქვს. აღწერილ ფორმათა შორის იმყოფება უჯრედების დიდი რაოდენობა მიტოზის ფიგურებით. დამახასიათებელია არანორმალურად მყოფადი უჯრედების არსებობა კარიოკინეზის მულტიპოლარული და ასიმეტრიული ფიგურებით.



სურ. 2

უჯრედის ელემენტები უთანაბროდა განლაგებული: უმეტესად გვხვდება ეპითელიალური უჯრედებისაგან ან თითისტარისებრი უჯრედებისაგან შეღენილი არეები. უკანასკნელ შემთხვევაში უჯრედები პარალელურადაა განლაგებული და აგებულებით კონას მიემსგავსება. გარდა ამისა, შეიმჩნევა, რომ უჯრედები ხან განსაკუთრებული სიმკვრივით, ხან ნაკლები სიმკვრივითაა განლაგებული. უჯრედთა შორის სიგრცე გავსებულია ეზოინით (ვარდისფრად შეღებილი ნახევრად თხევადი მასით) ან წვრილი რეტიკულარული ბოჭკოებით, რომ-



ლებიც ალგ-ალაგ წარმოდგენილია უფრო მსხვილი ბოჭკოებით, იშყებენ შეზი-
თლებას. გარშემო ძღებარე ქსოვილებისაგან სიმსივნე მკაფიოდა შემოსახლვ-
რული.

უჯრედთა შორის გვხვდება ძლიერ მცირე ზომის სისხლმილები ერთშრი-
ანი ენდოთელიუმის თხელი კედლებით. მიღები უერთდებან ერთმანეთს და
წარმოქმნიან წვრილმარყუფოვან ბადეს.

სიმსივნიანი მასის სისქეში გვხვდება ნეკროზის ხან წვრილი, ხან უფრო
ვრცელი არები. განვითარების უფრო გვიანი პერიოდის სიმსივნეები გამოირ-
ჩევა ბირთვებში ქრომატინის მცირე და დანეკროზებული არების საგრძნობლად
დიდი რაოდენობით.

პერიფერიული ნერვული სისტემის შესწავლისათვის აცრით სიმსივნეებში
ჩვენ გამოიყენეთ გროს-ბილშევსკი-ლავრენტიევის მეთოდია. საკუთარმა და-
კვირვებებმა გვიჩვენა, რომ სიმსივნის მასის სისქეში, როგორც პერიფერიულ-
ში, ისე მის ცენტრში, ჩშირად გვხვდება უგარსო, ნერვული ბოჭკოებისაგან შემ-
დგარი, სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი ნერვული ღეროების ცალკეული
ნაკვეთები და აგრეთვე ცალკეული ნერვული ბოჭკოები. ყურადღებას იპყრობს,
ის გარემოება, რომ ნერვული ბოჭკოების დიდი ნაწილი დაშლის სტადიაში იმ-
ყოფება. ნერვული ბოჭკოები წარმოდგენილია ფრაგმენტებად და წვრილმარც-
ლოვან მასად დაშლილი ღერძული ცილინდრებით (სურ. 2).

ბოჭკოები წარმოდგენილია წვრილი თანაბარკონტურებიანი, შიშველი ღერ-
ძული ცილინდრებით. იმყოფებიან რა სიმსივნიანი მასის სისქეში, ისინი სხვა-
დასხვა მიმართულებით აღწევენ სიმსივნიან უჯრედთა შორის. სიმსივნის დიდი
მასის ან სხვა მიზეზით ზემოთ ხსენებული ნერვული ბოჭკოების დაბოლოებათა
აღმოჩენა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მხოლოდ ერთ პრეპარატში შევძელით
გვეპოვნა ნერვული დაბოლოებანი ჩანგლისებრი და მარყუფისებრი ფორმისა-
სიმსივნიან უჯრედებზე (სურ. 3).

კანში, რომლითაც სიმსივნეა დაფარული, აგრეთვე მასზე მიმღებარ ქსოვი-
ლებში ვხვდებით როგორც რბილგარსიანი, ისე უგარსო ნერვული ბოჭკოების
ღერძული ცილინდრების გალიზიანების მოვლენებს, ვარიკოზული გაბერვის
არსებობისა და ნეიროპლაზმის დიდი შეშუბებების სახით. ამ ბოჭკოების ნაწილი
განიცდის მძიმე ღისტროფიულ ცვლილებებს—ფრაგმენტაციას, წვრილმარც-
ლოვან დაშლას. ალგ-ალაგ გვხვდება ღერძული ცილინდრების აღდგენის მოვ-
ლენები, აგრეთვე. შიშველი ღერძული ცილინდრების სიგრძეზე გვერდითი
მორჩების წარმოქმნა.

თეორი ვირთავების აცრით სარკომაში (შტამი 65-ა) არის ორგაზი ნერვუ-
ლი ბოჭკოები: ღრმა ღესტრუქციის სტადიაში მყოფნი და უცვლელი, სრულიად
შიშველი ღერძული ცილინდრები. ამ უკანასკნელთა არსებობა დესტრუქციულ-
ცვალებადასთან ერთად საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პრეფორმირე-
ბული ნერვული ბოჭკოების დაღუპვასთან ერთად სარკომა 65-ა-ში იქმნება ახა-
ლი ღერძული ცილინდრები, რომლებიც ჩვენ პრეპარატებზე შიშველი სახით
ჭიათეთ. სრულიად უბრალო კონსტრუქცია (გარსისა და მიელინიზაციის უქონ-
ლობა), აგრეთვე სიმსივნიან უჯრედებზე მათი ჩანგლისებრი და მარყუფისებრი

დაბოლოებები, რაც შევნიშნეთ ერთ-ერთ პრეპარატში, ნებას იძლევა ვივინა-
უდოთ, რომ აცრით სარკომა-შტამ 65-ა-ის ზრდის პროცესში, გარდა დესტრუქ-
ციული ცვალებადი პრეფორმირებული ნერვული ბოჭკოებისა, არის აგრეთვე
სიმსივნიან უჯრედებთან ინტიმურ კავშირში მყოფი ნეოპლაზმა.



სურ. 3

სიმსივნის გარშემო მყოფ ქსოვილებში, გარდა ირიტაციული და დესტრუქ-
ციული ცვლილებებისა, აღინიშნება რეგენერაციის მოვლენები, რაც იმაზე მი-
უთითებს, რომ სარკომაში აღმოჩენილი ახალწარმოქმნილი ნერვული ბოჭკო-
ების წყარო სიმსივნის მოსაზღვრე ქსოვილების ნერვული ბოჭკოები უნდა იყოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგისა
და ჰემატოლოგის ინსტიტუტი
თბილისი
(რედაქციას მოუვიდა 1.2.1956)

მქანერისათვის მდიდრებული მიღიცენა

გ. ბოჭორიშვილი

ქვლის ქსოვილის რეგისტრაციაზე ცენტრალური ნერვული სისტემის
უძლიერი ნაწილების გაცვლის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ერისთავმა 12.6.1956)

დაზიანებული ქვლის ქსოვილის აღდგენა ტრავმის სიძლიერის შესაბამისად
ორგანიზმის ზოგადი რეაქციის ფონზე მიმდინარეობს. ამიტომ ქვლის ქსოვილის რეგენერაციის სისწრაფე და ინტენსივობა დამოკიდებულია როგორც ადგილობრივ პირობებზე, ისე ორგანიზმის საერთო მდგრადი მიზანისათვის.

ქვლის რეგენერაციაზე მაქმედი მთელი რიგი ზოგადი ფაქტორებიდან ნერვული სისტემის როლი საკმაოდ შესწავლილი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა,
რომ ამ საკითხს დიდი ყურადღება ექცევდა.

რეგლის ქსოვილსა და ნერვულ სისტემას შორის კავშირი დადგენილი იყო
ქვლის დისტრიბუტორებზე პროცესებზე ნერვული სისტემის როლის გამოკვლევის
დონის ([1, 2, 3] და სხვა). შეისწავლებოდა პერიფერული ნერვული სისტემის
გავლენა ქვლის კორძის განვითარებაზე ([5, 6, 7, 8] და სხვ.). სწავლობდნენ აგრეთვე სიმპათიკური ინერვაციის გავლენას დაზიანებული ქვლის ქსოვილის
შეზრდაზე.

მკვლევართა მიერ მიღებული დასკვნები ქვლის ქსოვილის აღდგენით პროცესებზე ნერვული სისტემის გავლენისა და როლის შესახებ საკმაოდ მრავალუეროვანია, რაც ძირითადად მეთოდიკის სხვადასხვაობით აიხსნება.

რაც შეეხება ქვლის ქსოვილის რეგენერაციულ პროცესებზე ცენტრალური ნერვული სისტემის როლის შესწავლის საკითხს, ამ მიმართულებით შრომები თითქმის არ ყოფილა გამოქვეყნებული, ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი სისტემატურად არ შეისწავლებოდა. მხოლოდ უკანასკნელ დროს ზოგიერთმა მკვლევარმა ჩატარა ერთგვარი ცდა ქვლის ქსოვილის რეგენერაციულ პროცესებზე ცენტრალური ნერვული სისტემის როლის გამოკვლევისათვის. ასე მაგალითად: ლ. კორჩანავი [14] სწავლობდა ძალის წვივის ქვლების მოტეხილობის გავლენას პირობით რეფლექსებზე. არსებობს აგრეთვე შრომები მოტეხილობის გამოკვლევისათვის. ასე მაგრამ ყველა ავტორმა როდი მიიღო კარგი მოქმედების შესახებ [12, 13, 14], მაგრამ ყველა ავტორმა როდი მიიღო კარგი შედეგი ფარმაკოლოგიური ძილის ხანგრძლივად გამოყენების დროს [15].

ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილების მოშლილი ფუნქციის გავლენის საკითხი ქვლის ქსოვილის რეგენერაციულ პროცესებზე უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა შესწავლილი. ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ჩვენ არ შევხვედრია შრომა, რომელშიაც ექსპერიმენტული გზით დაყნებული და დამუშავებული ყოფილიყო საკითხი ქვლის ქსოვილის რეგენერაციის ცვლი-

ლებების შესახებ ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილების ფუნქციური და ორგანული დაზიანების დროს, რაც ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს შეადგენდა, რამდენადაც ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

გამოკვლევის მეთოდიკა

ძვლის ქსოვილის რეგენერაციაზე ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილების გავლენა შესწავლის იქნა კურდღლებზე, კატებსა და ძალლებზე. ექსპერიმენტული გამოკვლევის ნაწილი, სადაც საკითხი ეხებოდა მოტეხილობის შეზრდას კვებისა და თავდაცვის რეფლექსების განმეორებითი შეხლის პირობებში, გამოქვეყნებულ იქნა [16].

შრომა შესრულებულია ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში.

ქვემოთ მოცემულია ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევის ორი სერიით მიღებული შედეგები.

ცდების ერთ სერიაში გამოკვლევა ჩატარდა შვიდ ძალზე, რომელთაგან ექვს ძალს გამომუშავებული ჰქონდა კვების დაღებითი და უარყოფითი ექსტერიცეპტორული პირობითი რეფლექსების სისტემა. ერთი ძალი გამოყენებულ იქნა როგორც საკონტროლო. ცველა ძალს ჩატარდა ძვლის ქსოვილის დაზიანება (დეფექტის, ან მოტეხილობის სახით).

საცდელი ცხოველების უმაღლესი ნერვული მოქმედება შეისწავლებოდა პირობითი რეფლექსებისათვის მოწყობილ სპეციალურ ოთახში.

სამ ძალს გამოკვლეული ჰქონდა ნერვული სისტემის ტიპი.

ამ სერიის ცდებში ჩვენ ვსწავლობდით, ერთი მხრივ, უმაღლესი ნერვული მოქმედების ცვლილებებს სხივის ძვლის დეფექტის ამოვსების პროცესში, აგრეთვე დიდი წვივის ძვლის ოპერაციული დეფექტის სრული მოტეხილობის შემდეგ და ორივე დიდი წვივის ძვლის დეფექტის დროს პირველ დღეებში; მეორე მხრივ, ძვლის ქსოვილის რეგენერაციული პროცესის ცვლილებებს მოშლილი უმაღლესი ნერვული მოქმედების პირობებში. ამ მიზნისათვის ჩვენ გამოვიყენეთ უმაღლესი ნერვული მოქმედების „აშლის“ მისაღები სხვადასხვა ხერხი, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ პავლოვის ლაბორატორიებში ექსპერიმენტული ნერვროზების შესწავლისათვის. მოშლილი უმაღლესი ნერვული მოქმედების ფონზე ჩვენ დავუზიანეთ ძვლის ქსოვილი ოთხ ძალს განმეორებით, ხოლო ორ ძალს — ერთჯერ, რის შემდეგაც ვსწავლობდით ძვლის ქსოვილის რეგენერაციას პროცესს.

ცდების მეორე სერიაში 12 ძალითან და 26 კურდღლიდან თავის ტვინის ქერქის ცალმხრივი ნაწილობრივი დაზიანება შესრულებულ იქნა 10 ძალსა და 19 კურდღლზე (მარჯვენა მხარეზე: 7—ძალს და 11 კურდღლს და მარცხენა მხარეზე—3 ძალსა და '8 კურდღლს).

უკეთესი შედარებისათვის ერთსა და იმავე ცხოველზე ჩვენ ვამჯობინეთ სწორედ თავის ტვინის ჰემისფეროს ცალმხრივი დაზიანება და რამდენიმე ხნის (7—16 დღის) შემდეგ ვაწარმოებდით მეორე ოპერაციას: ძალებს ნარკოზის

შდგომარეობაში ვუკეთებდლით ორივე სხივის ძვლის ერთნაირ სიმეტრიულ დე-
ფექტებს, განმეორებითი დაზიანების დროს კი დიდი წვივის ძვლების ერთნაირ
დეფექტებს. კურდღლებში ვიწვევდით ორივე სხივის ძვლების სიმეტრიულ მო-
ცხენილობას, ხოლო განმეორებითი ოპერაციის დროს—ორივე მცირე წვივის
ძვლის გატეხას. ძვლის განმეორებით დაზიანებას მივმართავდით პირველი ოპე-
რაციიდან სხვადასხვა დროის გავლის შემდეგ.

ამ სერიის საკონტროლო გვუფის ცხოველებზე (2 ძალი და 7 კურდელი) შესრულებულ იქნა ხელის ქსოვილის იმგვარივე დაზიანება, როგორიც საცდელ ცხოველებზე. ცხოველების ნაშილს ცალ მხარეზე გაჟერეთდა აგრეთვე თავის ქალის ტრიპანაცია.

ქსლის ქსოვილის ოეგნერაციის მიმდინარეობაზე წარმოდგენის მიღებისა-
თვის ჩვენ ყველა ცდაში ოეგნერაციულ პროცესს ონტგენოლოგიურად ვსწავ-
ლობდით (ეტაპურად). დაკვირვების დამთავრების შემდეგ ცხოველს ვკლავდით
(გარდა იმ ძალებისა, რომელთაც პირობითი ოეფლექსები ჰქონდათ გამომუ-
შავებული) და ძვლის კორძის მასალას ვიღებდით მიკროსკოპული გამოკვლევი-
სათვის.

ମୋଲାବୁଲ୍ଲି ଶେଷାଗିବୁ

ერთ-ერთი ს.სხივის ძვლის გვერდით ზედაპირზე ნარკოზის პირობებში შესრულებული დეფექტის შემდეგ, პირობითი რეფლექსები ქვეითდება ოპერაციის მეორე დღეს. შემდგომ პერიოდში კი აღინიშნება პირობითი რეფლექსების რამდენადმე მომატება ანგერაკიამდელ დონესთან შედარებით.

ერთ ძალლს, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია (მარცხნა დიდი წვივის ძვლის დეფექტის შექმნა) გაუკეთდა ნარკოზით და დეფექტის აღგილას ძვლის სრული გატეხა მოხდა, ჯერ კიდევ ნარკოზში ყოფნის დროს, უმაღლესი ნერვული მოქმედების მხრივ აღნინიშნებოდა გაცილებით უფრო ღრმა და ხანგრძლივი კვლილებები. ეს განსაკუთრებით მკვეთრად იყო გამოხატული პირველ კვირას.

აღნიშნულ ძალს პირბით რეფლექსურ მოქმედებაში უფრო ძლიერ და თითქმის საწინააღმდეგო ცვლილებები ჰქონდა სხვა ძალებთან შედარებით, რაც შეიძლება აისხნას წვივის ძლების სრული გატეხით, კიდურის ფუნქციის გამოვარდნით და გაცილებით უფრო ძლიერი მტკიცნეული გამაღიზიანებელი კერის შექმნით დაზიანების მიღმოში.

ამ სერიის მეორე გვუფის ცდებით მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა, რომ
უმაღლესი ნერგული მოქმედების მოშლისათვის ჩვენ მიერ გამოყენებულმა
ხერხებმა ყველა შემთხვევაში გამოიწვია უმაღლესი ნერგული მოქმედების
„აშლა“.

ძალების ერთ ჯგუფში საქმარისი აღმოჩნდა დადებითი და უარყოფითი პირობითი გამალიზანებლის თანმიმდევრობითი გამოყენება უინტერვალოდ, მაშინ რადესაც სხვა ჯგუფის ძალებზე ასეთ ზემოქმედებას თითქმის არ გამოუწევეთ უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამიტომ ამ ჯგუფის ცხოველებზე საჭირო გახდა მიგვემართა თავის ტვინის ქერქზე უფრო ძლიერი და კომბინირებული ზემოქმედებისათვის (ტკაცუნა, ცარიელი გასროლა და სხვა).



ერთ ძაღლზე პირობითი რეფლექსების „შეხლას“ საზოგადოდ შედეგი უმაღლესია, მაშინ როდესაც კვებისა და თავდაცვითი რეფლექსების შეჯახებამ უმაღლესი ნერვული მოქმედების ღრმა და ხანგრძლივი ცვლილებები გამოიწვია ძაღლის უმაღლესი ნერვული მოქმედების „ამლის“ მისაღებად, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველის ნერვული სისტემის ტიპს. ძლიერი უწონასწორო ტიპის ძაღლებს აღნიშნებოდათ ხანგრძლივი და ძლიერი ხასიათის ცვლილებები.

უმაღლესი ნერვული მოქმედების ცვლილებები ძირითადად გამოიხატებოდა დადებითი პირობითი რეფლექსების შემცირებაში (ხშირად ნულამდე), კვებითი გამაგრების მიუღებლობაში, დიფერენცირების მომატებაში და პირობითი რეფლექსების მოქმედების ქაოსში.

ორ ძაღლს უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა აღნიშნებოდა ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და ყოველთვის ქერქის აზზნებადობის დაქვეითების ფონზე, ხშირად დადებითი პირობითი რეფლექსების სრული შეკავებით.

ერთ ძაღლს აღნიშნებოდა უმაღლესი ნერვული მოქმედების ასეთივე ცვლილებები, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ნულამდე დაცემულმა რეფლექსებმა გამოიწორება იწყო და შემდგომში გამოსავალ პერიოდთან შედარებით უფრო მაღალ დონეს მიაღწია. განმეორებითმა „შეხლამ“ ხელმეორედ გამოიწვია უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა პირობითი რეფლექსების მქვეთრი შემცირებისა და პერიოდული მომატების სახით. კარგად იყო გამოხატული აგრეთვე ქერქის უჯრედების მუშაობაში ფაზური მდგომარეობა.

ერთ შემთხვევაში კვებისა და თავდაცვითა რეფლექსების შეჯახებამ გამოიწვია უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა, აგრეთვე პირობითი რეფლექსების შემცირება. ამავე დროს ცხოველი არ დებულობდა საკვებით გამაგრებას.

ორ ძაღლს უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა აღნიშნებოდა ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ორ ძაღლზე პირობითი რეფლექსების შეჯახებამ, წინასწარ კიდურთა განმეორებითი ტრავმის ფონზე, ასევე გამოიწვია უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა ქერქის უჯრედების ფაზური მდგრამარეობით დადებითი პირობითი რეფლექსების შემცირებით და დიფერენცირების მომატებით. უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა კარგად იყო გამოხატული ერთი თვის განმავლობაში, რას შემდეგაც დადებითმა პირობითმა რეფლექსებმა თანდათანობით მოიმატა, თუმცა დიფერენცირების მომატება კვლავ აღინიშნებოდა.

რაც შეხება ძვლის ქსოვილის რეგენერაციულ პროცესს, ყველა შემთხვევაში ჩვენ მიერ ნახულ იქნა ძვლის კორდის განვითარების მოშლა. ეს მოვლენა კარგად გამოიხატა ორ ძაღლზე, სადაც ერთი კიდური ასრულებდა კონტროლის მოვალეობას და მეორე კიდურზე რეგენერაციულ პროცესს ჩვენ გსწავლობდით უკვე უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლის შემდეგ. ასევე მოვიქეცით დანარჩენი ძაღლების შემთხვევაშიც, სადაც უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლის შემდეგ დაზიანებულ იქნა ძვლები. ეს ცვლილებები განსხვავდებოდა აგრეთვე სპეციალურად დაყენებული საკონტროლო დაკვირვებებისაგან. ასე მაგალითად, ძაღლებს, რომელთაც არ ჰქონიათ უმაღლესი ნერვული მოქმედე-

ზის მოშლა, აგრეთვე საკონტროლო ძაღლებს, მე-12 დღეს დეფექტში აღქვეშა ნებისმიერი ნებისმიერი ძვლის ქსოვილის ნაზარდი ღრუბლისებრი ჩრდილის სახით, რომელიც ღაახლოებით დეფექტს სანახვრიდ ავსებდა. ძაღლებს უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლის დროს ძვლის ქსოვილის ნაზარდების განვითარება ამ დროისათვის არ აღნიშნებოდათ.

მე-15—მე-17 დღეს საკონტროლო ცდებში ადგილი ჰქონდა ძვლის ნაზარდის მომატებას (მათი ჩრდილის სიმკვრივის მომატებასთან ერთად). უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლის პირობებში ამ დროისათვის ძნელად შეიძლება აღმოვაჩინოთ ძლივს შესამჩნევი ახლად გაფორმებული ძვლის ქსოვილის კვალი დეფექტის პროჭიმალურ ან დისტალურ ნაწილში.

მე-20—22-ე დღეს საკონტროლო დაკვირვებაში გაგრძელდა ძვლის ქსოვილის მოცულობის მომატება, რომელიც ავსებდა ძვლის დეფექტს მთლიანად. ასეულ შემთხვევებში იგი გასცილდა დეფექტის კიდეს და შეუერთდა პერიოსტულ ნაზარდებს, რის შედეგადაც მიიღო ერთიანი ჰომოგენური ხასიათი და უფრო გარკვევით აღინიშნა, ვიდრე წინა დროის რენტგენოგრამაზე.

უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლის პირობებში რეგენერაციის პროცესი აშკარად დაქვეითებულია. ძვლის ნაზარდის სიდიდე მნიშვნელოვნად ნაკლებია და მათი განვითარება აღინიშნებოდა დეფექტის დისტალურ ან პროჭიმალურ კიდეში.

30-ე დღეს საკონტროლო ცდებში ძვლის ნაზარდები თანაბარზომიერად სცილდებოდა დეფექტის კიდეზე არსებულ ჭრტიყალურ შრეს და საყმაოდ დიდი ოდენობას აღწევდა. ამ დროისათვის საცდელ ძაღლებში ძვლის კორძის განვითარების პროცესი კვლავ ჩამორჩებოდა.

ზოგიერთ საცდელ ძაღლს ძვლის ქსოვილის ნაზარდების განვითარება აღნიშნებოდა უმნიშვნელოდ, ხოლო პერიოსტული კორძის განვითარებას ადგილი არ ჰქონია. ახლადგანვითარებული ძვლის კორძის ჩრდილი სუსტ და უთანაბრო ხასიათს ატარებდა. ძვლის რეგენერატივი ალაგ-ალაგ აღინიშნებოდა ნათელი უბნები. საცდელ ცხოველებში ძვლის რეგენერაციის მხრივ 35-ე—50-ე დღე-საც ასეთივე სურათი აღინიშნებოდა.

მესამე თვის ბოლოს საკონტროლო დაკვირვებებში დაზიანებული ძვლის მთლიანობის აღდგენა ძირითადად დამთავრებული იყო. ამავე პერიოდისათვის და უფრო მოვიანებითაც (მეოთხე თვის დასასრულს) იმ ცხოველებს, რომელთაც უმაღლესი ნერვული მოქმედების მოშლა ქონდათ, ჯერ კიდევ აღნიშნებოდათ ძვლის რეგენერატის არასრულყოფილი განვითარების ზოგიერთი ნიშანი. ამრიგად, ძვლის კორძის განვითარების პროცესის აღრეულ ვადებში აშკარად გამოსახული განსხვავდა დაზიანებული ძვლის მთლიანობის აღდგენის მოვანებით პერიოდშიც აღინიშნებოდა.

ძვლის განმეორებითმა დაზიანებამ, რაც შესრულებულ იყო მეორე სხივის ქვალზე პირველი ოპერაციიდან 100 დღის შემდეგ, დაგვარწმუნა, რომ განმეორებითი მოტეხილობა არ ახდენს გავლენას ძვლის რეგენერაციის პროცესზე მისი აჩქარების ან შენელების მხრივ. ამრიგად, ძაღლების უმაღლესი ნერვული



მოქმედების მოშლის ყველა შემთხვევა იშვევდა ძვლის ქსოვილის რეგულმართებას.

ცდების მეორე სერიაში თავის ტვინის ქერქის ცალმხრივი დაზიანებისა და ძვლების ერთნაირი სიმეტრიული დაზიანებისას აღმოჩნდა, რომ ერთსა და მა-ვე ცხოველზე დაზიანებული ძვლების აღდგენა მიმდინარეობს ორივე მხარეს, მაგრამ აღდგენის პროცესი დაზიანებულ ნახევარჲემისფეროს საწინააღმდეგო მხარეზე შედარებით უფრო ნელა მიმდინარეობს.

ძალლების თითქმის ყველა შემთხვევაში ძვლის რეგულრაციული პროცე-სის მხრივ განსხვავება გარკვევით გამოიხატა მე-15—25-ე დღეზე. განსხვავება აღინიშნებოდა უფრო მოგვიანებულ ვადებშიც, თითქმის დაკვირვების მოელ პერიოდში, მხოლოდ შემდეგში ეს განსხვავება უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხდე-ბოდა. ძვლის კორძის შედარებით უფრო ნორმალური გაფორმება როგორც ხა-რისხობრივ, ისე დროის მიხედვითაც, მიმდინარეობდა იმ ძვალზე, რომელიც თავის ტვინის დაზიანებულ მხარეზე მდებარეობს. თავის ტვინის დაზიანების საწინააღმდეგო მხარეს კი ძვლის ნაზარდის განვითარებას არათანაბარზომიერი ხასიათი ჰქონდა, მოიშალა გაკირგის პროცესი, რაც კარგად გამოიხატა რენტ-გენოგრამაზე.

თავის ტვინის მარჯვენა ნახევარჲემისფეროს დაზიანების დროს, თითქმის ყველა შემთხვევაში მე-10—მე-12 დღეს მარჯვენა სხივის ძვლის დეფექტის არეში აღინიშნებოდა ახლადგანვითარებული ძვლის ქსოვილის ღრუბლისებრი ჩრდილი, რომელიც თითქმის მთლიანად ავსებდა დეფექტს. მარცხენა მხარეს, უმეტეს შემთხვევაში დეფექტის არეში, აღინიშნებოდა ძვლის ქსოვილის ნაკ-ლები განვითარება, ხშირად უთანაბროდ და მხოლოდ ზოგიერთ ადგილას.

მე-15—მე-20 დღეს განსხვავება მარჯვენა და მარცხენა დაზიანებული ძვლების აღდგენის პროცესში კიდევ უფრო კეთილ გამოიხატა.

ძვლის ყველა ნაზარდი მარჯვენა მხარეს ერთდებოდა და იღებდა შენების უფრო კომპაქტურ ტიპს. მარცხენა კიდურზე ძვლის ნაზარდები ნაკლებად გან-ვითარებული იყო, მას არათანაბარზომიერი, ბორცვისებრი წანაზარდების სახე ჰქონდა, ხოლო პერიოსტული ნაზარდები არ იყო შეერთებული დეფექტში გან-ვითარებულ ნაზარდებთან.

მე-25—30-ე დღეს მარჯვენა მხარეს ახლადგანვითარებული ძვლის ქსო-ვილის ჩრდილის ინტენსივობამ იმდენად მოიმატა, რომ დეფექტის კიდეები ძნელად განისაზღვრებოდა. მარცხენა მხარეს ახლადგანვითარებული ძვლის ქსოვილის ჩრდილის ინტენსივობის მომატების მიუხედავად, იგი მარჯვენა მხა-რესთან შედარებით ჩამორჩებოდა და დეფექტის კიდეებიც შედარებით უკეთ ჩანდა. ძვლის ნაზარდის ჩრდილი არათანაბარზომიერი სიმკვრივისა და უსწორ-მასწორო ზედაპირისა იყო.

მე-60—70-ე დღეზე მარჯვენი აღინიშნებოდა კორტიკალური შრის კო-მ-ბაქტერიობისა და ძვლის ტვინის აზხის თითქმის სრული აღდგენა.

მარცხენა სხივის ძვლის ახლადგანვითარებული ძვლის კორტიკალური ფირ-ფიტის სიმკვრივე გაცილებით ნაკლებად ისახებოდა.

მარჯვენა მხარეს 80—100 დღის დაკვირვების ვადებში კარგად ჩანდაჭკვლის კორტიკალური შრის შიგნითა და გარეთა ზედაპირის საბოლოო „ასიმილაცია“; მარცხენა კიდურზე კი ამ პერიოდისათვის აღინიშნებოდა მხოლოდ კომპაქტური კორტიკალური შრის გაფორმება, რომელიც მარჯვენა მხარეს გაცილებით ადრე იყო გამოხატული (60—70 დღეზე). მარცხენა მხარეზე ძვლის ტვინის არხის სანათური არ იყო მთლიანად აღდგენილი.

მარჯვენა და მარცხენა მხარეს შორის აღდგენით პროცესში განსხვავებას ადგილი ჰქონდა სხივის ძვლების დაზიანებიდან 240 დღის გავლის შემდეგაც.

რეგენერაციულ პროცესში მსგავსი განსხვავება აღნიშნებოდა კურდლებსაც, რომლებზედაც ჩატარდა ანალოგიური ექსპრესიმენტი. ძალებისაგან განსხვავებით, ძვლის რეგენერაციის მთელი პროცესი მათ გაცილებით მოკლე დროში უმთავრდებოდათ.

ძალებისა და კურდლების მეორე ჯგუფს ჩვენ ჩავუტარეთ თავის ტვინის დაზიანება არა მარჯვენა მხარეს, არამედ მარცხით. როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, მიღებულ იქნა ანალოგიური შედეგები. ძვლის შეზრდის პროცესი ჩამორჩებოდა და გაუკულმართებული იყო თავისი განვითარების შესაფერ ვადებში, მხოლოდ არა მარცხენა, არამედ მარჯვენა მხარეს.

თუ ძვლების პირველი დაზიანებიდან სხვადასხვა დროს გავლის შემდეგ იმავე ცხოველს განმეორებით დაუზიანებდით ახლა უკვე უკანა კიდურს, მაშინ ამ ცდებშიც, როგორც წესი, ვღებულობდით რეგენერაციული პროცესის ისეთ-სავე ასიმეტრიას.

საკონტროლო ჯგუფის ცხოველებზე, ისე როგორც საცდელ ცხოველებზე, გამოვიწვიეთ ძვლის ქსოვილის სიმეტრიული დაზიანება, მაგრამ ეს გავაკეთეთ თავის ქალას ტრეპანაციის პირობებში ტვინის ქსოვილის დაზიანების გარეშე. ამ ცდებში (ისე, როგორც იმ ექსპრესიმენტში, სადაც არ ჩაგვიტარებია თავის ქალის ტრეპანაცია) ჩვენ არ მივვილია რეგენერაციული პროცესის ასიმეტრია. უმნიშვნელო უთანაბრობა ძვლის ქსოვილის რეგენერაციის მიმდინარეობის პროცესში არ ატარებდა კანონქომიერ ხასიათს.

ამრიგად, ძალებისა და კურდლებზე ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურეს, რომ თავის ტვინის ცალმხრივი დაზიანება ოპერაციის საწინააღმდეგო მხარეზე იწვევს ტროფიკული პროცესების მოშლას, რაც არახელსაყრელ პირობებს ქმნის ძვლის კორძის სწრაფი და თანაბარზომიერი განვითარებისათვის.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ძვლის ქსოვილის დაზიანების შემდეგ ძალლის უმაღლესი ნერვული მოქმედება იცვლება მეტად. თუ ნაკლებად გამოხატული ხარისხით და დაზიანებული ძვლის აღდგენა მიმდინარეობს ფუნქციურად შეცვლილი უმაღლესი ნერვული მოქმედების ფონზე.

2. ქრებული პროცესების განმეორებითმა „შეხლამ“ და ისეთი გამაღიზიანებლების გამოყენებამ, როგორიცაა ტკაცანა და ცარიელი გასროლა, ან უპირობო კვებისა და თავდაცვითი რეფლექსების შეგახებამ ყველა ძალზე გამოიწვია უმაღლესი ნერვული მოქმედების ხანგრძლივი და ღრმა მოშლილობა,

ჩასაც თან ახლდა ძვლის ქსოვილის რეგენერაციული პროცესის დაქვეითება.
 და მთელ რიგ შემთხვევაში მისი გაუკულმართებაც. უკანასკნელი გარკვევით
 აღინიშნა რენტგენოგრამებზე.

3. თავის ტვინის ქერქის ცალმხრივი დაზიანების შემდეგ ძვლების სიმეტ-
 რიული დაზიანების შემთხვევაში როგორც წინა, ისე უკანა კიღურებზე, რო-
 გორც წესი, აღინიშნება ასიმეტრია; ძვლის კორდის წარმოშობა და მისი გაფორ-
 მება, როგორც რიცხობრივად, ისე ღროის მიხედვით, მიმდინარეობს უპირა-
 ტესად იმ ძვალზე, რომელიც მოთავსებულია თავის ტვინის დაზიანებული ნა-
 ხევარპემისფეროს მხარეზე. საწინააღმდეგო მხარეზე მდებარე ძვლის კორდის
 განვითარებას ხშირად უთანაბრო და არარეგულარული ხასიათი აქვს.

თბილისის სამედიცინო
 ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 12.6.1956)

დამოუმებული ლიტერატურა

1. В. И. Р а з у м о в с к и й. К вопросу об атрофических процессах в костях после перерезки нервов. СПб, 1884.
2. М. Константиновский. К вопросу о хрупкости ребер при хронических заболеваниях центральной нервной системы. СПб, 1889.
3. В. У. Б а я н д у р о в . Трофические функции головного мозга. Медгиз, 1949.
4. В. С. П е т р о в . Краткая характеристика деструктивно-дистрофических изменений в костной ткани при нарушениях периферической иннервации. Тезисы докладов конференции молодых ученых, Ленинград, Инст. усовершенствования врачей, март 1956 г., стр. 45—48.
5. К. З а х а р о в . Гистологическое исследование заживления костных ран после резекции осложненной ранением нерва. СПб, 1871.
6. Д. Г. Иоселиани. Костные нервы бедра и голени и влияние их повреждений на развитие костной мозоли. Тбилиси, 1936.
7. Р. М. М и н и н а . Периферическая нервная система и регенерация костной ткани. Труды Белорусского государственного инс-та физиатрии, ортопедии и неврологии, вып. III, 1939, стр. 141—201.
8. В. Н. П о п о в и Н. И. И в а н о в . Роль нервного фактора в заживлении костных переломов. Сообщ. 1, арх. биол. наук, т. 57, 1940 в. 1, стр. 7—18.
9. Р. Л е р и ш и Р. Ф о н т е й н . Основные результаты 1256 симпатектомии. Советская хирургия № 10, 1936, стр. 717—731.
10. Г. Я. Э п ш т е й н . Лечение ложных суставов и замедленной консолидации. Медгиз, 1946.
11. Д. К. Я з ы к о в . Стимулирование костной регенерации в комплексе лечения переломов, М., 1952.
12. В. Т. Л е о н о в . Применение медикаментозного сна при лечении переломов. Сов. медицина, 1952, № 3, стр. 15—18.
13. Н. Ф. К р у т კ о . Влияние солей брома на регенерацию костной ткани в эксперименте. В кн. «Совещание по проблемам кортико-висцеральной физиологии и патологии», А., 1953, стр. 96—97.
14. Л. С. К о р ч а н о в . Изменения высшей нервной деятельности при переломах костей конечностей в эксперименте и значение этих данных для клиники. ВМА, Л., 1953.
15. Г. Л. Е м е ц . Течение регенерации костной ткани при фармакологическом сне. Сб. трудов. Укр. научн. иссл. ин-та ороп. и травмат., т. 5, 1955, стр. 15—22.
16. Г. Б. Бочоришвили. Влияние центральной нервной системы на регенеративные процессы костной ткани. Труды ин-та физиологии им. И. П. Павлова АН ССР, т. III, 1954, стр. 506—515.

ექსპერიმენტული მდგრადი
ა. სიხარულიძე

**ცენტრალური შეკავების მოვლენის შესწავლის საკითხისათვის
კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანების დროს**

| (წარმოადგინა აკადემიკოსმა პ. ერისთავმა 20.6.1956)

ცნობილია, რომ ცენტრალური შეკავების მოვლენა აღმოჩენილია ი. ს ე ჩ ე-ნ ო ვ ი ს მიერ [1]. მას შემდეგ, რაც მან დაადასტურა, რომ თავის ტვინის შუამ-დებარე ნაწილების ან მგრძნობიარე ნერვების გაღიზიანება ბაყაყებზე იწვევს ჩონჩხის მუსკულატურის შეკავებას. შეკავების პროცესის შესწავლას განსაკუთ-რებული ყურადღება ექცევა ორგონოც ჩეცნში, ისე საზღვარგარეთ.

ცენტრალური შეკავების შესწავლისას რიგი ავტორების მიერ ნაჩვენებია, რომ შინაგანი ღრუ ორგანოების რეცეპტორების, მათ შორის კუჭის მექანო-რეცეპტორების, გაღიზიანება იწვევს ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების მოქ-მედების ორგონოც აგზნებას, ისე შეკავებას.

გამოკვლეულია, რომ კუჭის კედლების ძლიერი გაჭიმვა აკავებს კუჭის სე-კრეციულ მოქმედებას. ამ უკანასკნელს კი ადგილი აქვს მსხვილი და წვრილი ნაწლავის გაჭიმვისას [2].

საჭმლის მომნელებელი ორგანოების მოქმედების შეკავების შესწავლას დროს ა. ბაკუ რაძისა [3] და მისი თანამშრომლების მიერ დადგინდ იქნა, რომ ამ ორგანოთა მოქმედების შეკავება ხშირად მიმდინარეობს ჩონჩხის მუს-კულატურის ზოგად შეკავებასთან ერთად, ე. ი. საჭმლის მომნელებელი ორგა-ნოების მოქმედების შეკავება უნდა წარმოადგენდეს ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) ზოგადი შეკავების გამოვლინებას.

საინტერესოა გამოკვლევა საკითხისა, თუ რა ბიოჭიმიურ ძვრებს აქვს ადგი-ლი ორგანიზმის შინაგან გარემოში, სისხლში, კერძოდ, ორგონი იცვლება სის-ხლში შეკრის შემცველობა მექანორეცეპტორების ძლიერი გაღიზიანებით გა-მოწვეული ცნს ზოგადი შეკავების დროს.

ორგონოც ი. პავლოვის შრომებიდანაა ცნობილი, სისხლის ქიმიურ შე-მაღენლობაზე გარკვეული ხარისხით დამოკიდებულია ცხოველის კვებითი ოე-აქცია.

ხელმძღვანელობდნენ რა ი. პავლოვის მითითებით, რომ შეკავება წარმო-ადგენს აქტიურ პროცესს, რომელიც მიმართულია გამოფიტული ნერვული უჯ-რედის აღდგენისაკენ, რიგი ავტორები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ქერქული

შეკავების დროს მკვეთრად ძლიერდება ნივთიერებათა ცვლა, იცვლება სისხლის ქიმიზმი, მატულობს სისხლში შაქრის შემცველობა [4, 5].

ღ. ჟ ე ლ ტ ო ვ ა ს ა და პ. მ ი ლ ე შ ი ნ ი ს [6] აგრეთვე ა. კ ა რ ა ე ვ ი ს [7] და სხვათა მიერ გამოვლეულია, რომ კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანება იწვევს განსაკუთრებულ ძრებს სისხლში შაქრის შემცველობის მხრივ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვეზუსტებინა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვლინდება შეკავება კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანებისას კუჭის სეკრეციული მოქმედების შესწავლის პირობებში და რა ნერვული გზები ღებულობენ მონაწილეობას ამ ეფექტების განხორციელებაში.

ამასთან განვიზრახეთ შეგვესწავლა ის ცვლილებები, რაც ვითარდება ნახშირწყლების ცვლაში, კერძოდ სისხლში შაქრის შემცველობის მხრივ კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანებით გამოწვეულ შეკავების დროს და რა ნერვული გზებით ხორციელდება ეს ეფექტები.

მ ე თ ო დ ი ჭ ა

ცდები წარმოებრა ბასოვის წესით ოპერირებული კუჭის ფისტულიან ორ ქალწე და პავლოვის წესით იზოლირებულ პატარაკუჭიან სამ ძალწე, როგორთაც ამავე დროს ბასოვის წესით გაკეთებული ჰქონდათ კუჭის ფისტულა აქედან ორს შემდგომში გაუკეთდა ორმხრივი რეტროპერიტონეალური სპლანქ-ნიკოტომია. ომდენიმე ხნის შემდეგ ერთ მათგანს გადაეკვეთა აგრეთვე ორივე ცოომილი ნერვი.

კუჭში ფისტულის გზით შეგვყავდა რეზინის წყლის რეზერვუარებთან დაკავშირებული თხელკედლიანი ბალონი. ბალონს ვტერავდით მასში წყლის შეყვანით (400—800 მლ-მდე).

სისხლში შაქრის დონეს ვსაზღვრავდით ბალონის გაბერვამდე, გაბერვიდან 1—2 წუთის შემდეგ, 15, 30, 60 წუთის შემდეგ. ცდები გავიმეორეთ ატროპინიზაციისა და ერგოტამინიზაციის ფონზე.

კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანების მიზნით ფონის დადგენის შემდეგ ძალლს ვაძლევდით შედარებით დიდი რაოდენობის საკვებს ან კუჭის მექანიკურ გაღიზიანებას ვიწვევდით ბალონის საშუალებით.

კუჭის წვენს ვაგროვებდით საათობრივად და თითოეულ ულუფაში ვსაზღვრავდით თავისუფალ მარილმეავასა და საერთო მუავიანობას. მონენელებელ ძალას ვკივლევდით მეტი ს წესით. სისხლში შაქრის დონეს ვსაზღვრავდით საკვების მიცემამდე, საკვების მიცემიდან 1—2 წუთის შემდეგ, 15, 30 წუთისა და 1, 2, 3, 4 საათის შემდეგ. შექარს ვსაზღვრავდით ჰაგედორნის ეტის მეთოდით.

ც დ ე ბ ი ბ ა სოვის წესით ოპერირებული კუჭის ფისტულის მქონე ძალებზე

სისხლში შაქრის დონეზე კუჭის მექანორეცეპტორების გაღიზიანების გავლენის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ცდები: ბასოვის წესით ოპერირებულ

კუჭის ფისტულიან ძალების კუჭში შეგვყვავდა რეზინის თხელედელიანი ბალნი, რომელსაც ვბერავდით წყლის განსაზღვრული რაოდენობით. აღმოჩნდა, რომ ბალნის გაბერვა (600 მლ წყლით) იწვევს სისხლში შაქრის დონის 15—20 მგ %-ით მომატებას. თუ მაგ., უზმოდ სისხლში შაქრის დონე იყო 60—65 მგ %, ბალნის გაბერვის შემდეგ შაქრის დონე 80—85 მგ. %-ს აღწევდა. შაქრის დონე სისხლში მაქსიმუმს აღწევდა ბალნის გაბერვისთანავე, შემდეგ კი იგი თანდათან ეცემოდა ისე, რომ ერთი საათის შემდეგ თითქმის უბრუნდებოდა საჭყის დონეს.

ამგვარად, კუჭის მექანიკურეპტორების ერთჯერადი გაღიზიანება კუჭში მოთავსებული ბალნის გაბერვით (600—800 მლ) სისხლში შაქრის დონის მკვეთრ მომატებას იწვევს.

კუჭის მექანიკურეპტორების გაღიზიანებისას სისხლში შაქრის დონე თავდაპირველი მომატების შემდეგ მაინც ეცემა, მიუხედავად იმისა, რომ კუჭში გაბერილი ბალნი დატოვებულია მთელი ცდის განმავლობაში. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული უნდა იყოს კუჭის მექანიკურეპტორების აღაპტაციით მათზე მიყენებული გამაღიზიანებლის მიმართ.

შევისწავლეთ აგრეთვე კუჭის მექანიკურეპტორების მრავალჯერადი გაღიზიანების გავლენა სისხლში შაქრის დონეზე. გაღიზიანებას ვაწარმოებდით 5-5 წუთის ინტერვალით. ცდა მიმდინარეობდა 90 წუთის განმავლობაში. ცდები გავიმეორეთ იმავე ძალებზე (ყურშა და მგელა). აღმოჩნდა, რომ ბალნით მრავალჯერადი გაღიზიანებისას სისხლში შაქრის შედარებით მაღალი დონე შეიძლება შევინარჩუნოთ ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში. სისხლში შაქრის დონის აწევის მრუდი კუჭის მექანიკურეპტორების ბალნით მრავალჯერადი გაღიზიანების შემთხვევაში უფრო მაღალია და ხანგრძლივი, ვიდრე კუჭის მექანიკურეპტორების ბალნით ერთჯერადი გაღიზიანებისას.

ცხადია, ინტეროცეპტული რეფლექსის გამოწვევა ხდება კუჭს კედლებში მოთავსებული რეცეპტორების (მექანიკურეპტორების) გაღიზიანებით. ამას ადგილი აქვს ბალნით ან საკვებით კუჭის კედლების გაჭიმვის დროს. საინტერესო იყო გამოგვერცვა, თუ რა გზებით ხორციელდება ეს რეფლექსი. ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ პარასიმპატიკური ნერვული სისტემის (ცონილი ნერვის) გამოთხვას ატროპინის 0,1%-იანი ხსნარის 1 მლ-ით.

აღმოჩნდა, რომ ატროპინის შეშაბუნება იწვევს სისხლში შაქრის დონის მომატებას, ხოლო ატროპინის ფონზე ბალნის გაბერვით გამოწვეული ეფექტი (სისხლში შაქრის დონის მომატება) ძალაში რჩება და ცვლილებას თითქმის არ განიცდის.

შემდეგი სერიის ცდები ჩავატარეთ ერგოტამინზაციის ფონზე. ერგოტამინს სიმპატიკური ნერვული სისტემის გამოთხვის მიზნით გხმარობდით 2—2,5 —3 მგ-ს. აღმოჩნდა, რომ ერგოტამინი იწვევს სისხლში შაქრის დონის დაქვეითებას და ამავე დროს ხსნის ბალნის გაბერვით გამოწვეულ ეფექტს.

ჩვენ დაგვაინტერესა საკითხება—რა გავლენას მოახდენდა კუჭის მექანიკური გაღიზიანება სისხლში შაქრის დონეზე შიგნეულობის ნერვების გადაკვეთის



შემდეგ. ცდები ჩატარეთ ძაღლებზე (თეთრა და „ბულბონი“). აღმოჩნდა, რომ შიგნეულობის ნერვების გადაკვეთის შემდეგ კუჭში ბალონის გაბერვა არ იწვევს სისხლში შაქრის დონის მომატებას. ასეთივე შედეგი მივიღეთ ძაღლზე, რომელსაც შიგნეულობის ნერვებთან ერთად გადაკვეთილი ჰქონდათ ორივე ცოდნილი ნერვი.

ცდები პავლოვის წესით იზოლირებულ პატარაკუჭიან ძაღლებზე

ცდისათვის საკვებ გამაღიზიანებლად ვებმარობდით განსაზღვრული რაოდენობის ხორცის (200 გრ.), პურს (200 გრ.) და შერეულ საკვებს (200 გრ. პური + 100 გრ. ხორცი). აღნიშნულ საკვებზე კუჭის წვენის სექრეციისა და სისხლში შაქრის დონის ფონის დადგენის შემდეგ ვიწყებდით ცდებს კუჭში წინა-შარ მოთავსებულ ბალონში წყლის სხვადასხვა რაოდენობის შეყვანით.

ძაღლ მგელაზე ცდების დაყენებისას აღმოჩნდა, რომ 200 გრ. ხორცის მიღების შემთხვევაში ოთხი საათის განმავლობაში გამოყოფილი კუჭის წვენის საერთო რაოდენობა საშუალოდ 25,7 მლ-ს უდრიდა.

საკვების მიღებისთანავე სისხლში შაქრის დონე მატულობდა საშუალოდ 15—20 მგ. %-ით. პირველი საათის ბოლოს შაქრის დონე უფრო მეტად მატულობდა, მეორე საათის ბოლოს იგი მაქსიმუმს აღწევდა, მესამე და მეოთხე საათის ბოლოსათვის შაქრის დონე შედარებით დაცემას განიცდიდა, თუმცა იჯი საწყის დონეს არ აღწევდა.

200 გრ. ხორცის მიცემასთან ერთად კუჭში წინასწარ მოთავსებულ ბალონში 500 მლ. წყლის შეყვანა და ბალონის ოთხი საათით კუჭში დატოვება, სექრეციის ფარულ ჰერიოდს თითქმის ერთიორად ახანგრძლივებს, წვენის რაოდენობას 7—10 მლ-მდე აძირებს. მთელი ცდის-განმავლობაში სექრეცია შეჭავებულია, სისხლში შაქრის დონე კი მაღალი რჩება.

ბალონში 100 მლ წყლის შეყვანა აძლიერებს სექრეციას, სისხლში შაქრის დონე კი დიდად არ განსხვავდება მარტო 200 გრ ხორცის ჭამისას მიღებული მრუდისაგან.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებიდან ჩანს; რომ კუჭის მექანორეცეპტორების ძლიერი გაღიზიანება საკვებით აღძრული სექრეციის ფონზე იწვევს კუჭის წვენის სექრეციის მკვეთრ შეკავებას და სისხლში შაქრის დონის მომატებას.

ცდები საკვების სხვადასხვა ჩაოდენობის მიცემით შიგნეულობის ნერვებგადაკვეთილ ძაღლებზე

იმის გამოსაკვლევად, თუ რა გზით წარმოებს მექანორეცეპტორების ძლიერი გაღიზიანების დროს შემაკავებელი იმპულსების რეალიზაცია, ცდები ჩატარეთ ძაღლებზე, რომლებსაც გადაკვეთილი ჰქონდათ შიგნეულობის ორივე ნერვი (ორმხრივი რეტროპერიტონეალური სპლანქნიკოტომია) და ძაღლზე,

რომელსაც გადაკვეთილი ჰქონდა შიგნეულობისა და ცთომილი ნერვები (ორ-მხრივი ტრანსპლანტაციური ვაგოტომია).

აღმოჩნდა, რომ სპლანქნიკოტომიის შემდეგ 200 გრ. პურზე და 200 გრ. ხორცზე 4 საათის განმავლობაში გამოიყოფა ნაკლები რაოდენობა კუჭის წვენისა, ვიდრე იგი გამოიყოფოდა ამავე რაოდენობის საკვების ჭამისას შიგნეულობის ნერვების გადაკვეთამდე. რაც შეეხება სისხლში შაქრის დონეს, იგი სპლანქნიკოტომიის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. საკვების მიღების შემდეგ პირველი 15 წუთის განმავლობაში შაქრის დონე სისხლში თითქმის არ იცვლება, მაშინ როცა შიგნეულობის ნერვების გადაკვეთამდე ამავე რაოდენობის საკვების მიღებიდან 1—2 წუთის შემდეგ ადგილი ჰქონდა სისხლში შაქრის დონის მომატებას. საკვების მიღებიდან 30 წუთის შემდეგ საშუალოდ შაქრის დონე სისხლში მატულობს, შემდეგ კი იგი თითქმის აღარ განსხვავდება სპლანტნიკოტომიამდე მიღებულ შაქრის მრუდისაგან.

შემდეგი სერიის ცდები ჩავატარეთ 400 გრ. პურისა და 400 გრ. ხორცის მიცემით. საკვების რაოდენობის გადიდების შემთხვევაში სპლანქნიკოტომიის შემდეგ ადგილი აღარ აქვს კუჭის წვენის სეკრეციის შეკავებას. პირიქით, 4 საათში გამოყოფილი წვენის რაოდენობა 2 მლ-ით მეტია, ვიდრე ამავე დროში 200 გრ. პურისა და 200 გრ. ხორცზე გამოყოფილი წვენის რაოდენობა. არ შეიცვალა არც სეკრეციის ფარული პერიოდი და მომნელებელი ძალა; სისხლში შაქრის დონის ცვალებადობა დარჩა დაახლოებით ისეთივე ფარგლებში, როგორც იყო 200 გრ. პურისა და 200 გრ. ხორცის ჭამისას, ე. ი. აქაც პირველი 15 წუთის განმავლობაში ადგილი არ აქვს სისხლში შაქრის დონის მომატებას.

მიღებული შედეგები და დასკვნები

კუჭში მოთავსებული რეზინის ბალონის გაბერვა (400—800 მლ) იწვევს სისხლში შაქრის დონის მკვეთრ მომატებას. კუჭის ღრუში ბალონის ხანგრძლივად დატოვებისას ეფექტი თანდათან შცირდება—შაქრის დონე სისხლში ეცემა. ჩვენი აზრით, ეს აისხება კუჭის მექანორეცეპტორების აღაპტაციით მექანიკური გამალიზიანებლივისადმი. ამას ამტკიცებს ცდები. თუ ბალონით მრავალჯერადი გალიზიანებით გაწარმოებთ ბალონის დროდადრო გაბერვას, მასში წყლის შეყვანითა და გამოშვებით (5—5 წუთის ინტერვალით), ჰიბრიგლიცემიის მოვლენა უფრო დიდხანს და მკვეთრად არის გამოხატული. ჩვენ მიერ ატროპინით ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ კუჭის მექანიკური გალიზიანებით გამოწვეული ეფექტი (სისხლში შაქრის დონის მომატება) არ ისპობა ატროპინიზაციის შემდეგ. ატროპინისაგან განსხვავებით, ერგოტამინი ხსნის ამ ეფექტს. საკვების შედარებით მცირე რაოდენობასთან ერთად კუჭში წინასწარ შეევანილი ბალონის გაბერვა (500 მლ. წყლით) ან საკვების შედარებით დიდი რაოდენობის მიცემა, აკავებს კუჭის სეკრეციულ მოქმედებას და იწვევს სისხლში შაქრის დონის მომატებას 1—2 წუთის შემდეგ საკვების მიღებიდან.



Կյանքիս ժլոյրո մեյքանոյշը հաղոթիանցեծիս դրու օմքուլսեծիս հրալոթիացուած ծոհուտագագ եռհրցոյլուց մոցնեցուլոնիս երկարաց գիտ. ամաչյ մուտուուցե իցեն մոյր հաբարեցուլու վազեծ սալանյնոյուրոմուրեցուլ ժալլեցիյ. այստ ժալլեցիյ կյանքիս մեյքանորուցութուրեծիս ժլոյրո գաղոթիանցեա առ օպազեծ կյանքիս և յայրուուլ մոյմեցուած. ամաց դրու սակացեծիս մուրեցուած პորցելու 15 վայտու ցանմացլունա սամշալու մայրիս գոնե սուսելնու տույժմու առ ուրուցեա, եռլու մուրելու վազու նյերուունի կյանքիս մեյքանորուցութուրեծիս ծալոննու ցաղոթիանցեա ցազլենաս առ աեցեն սուսելնու մայրիս գոնեցիյ.

Հաւ Մայրենա ցյենտրուալու ներշուլու սուսելումու ունեցուուրո մուցոմարեոնիս ցալուուլուած, օգո, հացորդ իցեն մոյր Մինատ հաբարեցուլու վազեցուածաւ ուրկացա, մուցոմարեոնիս ցյենտրուալու ներշուլու սուսելումու մայրաց ցանցուարենա մու, պորցել հուցմու կո տացու բացու յերկին. Մայրաց էրուցու ընեւ-ս ներառուուցուած օնդույշուուս վայսու շնճա ուշուցու ալցինենիս էրուցու մու մյու դարենու յեմուցեար նախուունի. յե տացու ցամուսաթուլուց էրուուցու ցալուունի, յերկորդ սուսելնու մայրիս գոնեն մոմաւուցեամու.

տօնուուսու սակալմթուու սամեցուուն
ոնստուուն

(Հյուգուաս մուշուա 20.6.1956)

ԶԱՑՈՎՈՒՑՈՒԼՈ ՀՈՒՒՒԱԾՈՒՐԱ

1. И. М. Сеченов. Рефлексы головного мозга. 1926.
2. С. С. Поптырев. К учению о висцеро-висцеральных рефлексах. Известия АН СССР. № 4. 1948, стр. 469.
3. А. Н. Бакурадзе. О влиянии раздражения механорецепторов желудка на функциональное состояние коры больших полушарий головного мозга. В кн.: «Совещание по проблемам кортико-висцеральной физиологии и патологии». Тезисы. Л., 1953, стр. II.
4. Г. Х. Бунягян. Условное, внутреннее торможение и его роль в обмене веществ. «Известия» АН Арм. ССР, т. V, № 4. Ереван, 1952.
5. К. Я. Шишловская. Изменение функционального состояния высших отделов ЦНС и динамика уровня сахара в крови. Горький, 1953.
6. О. П. Желтова и П. Я. Милешин. Влияние раздражения интеронепторов желудка на внутрисекреторную функцию поджелудочной железы. 9-ая Всесоюз. конф. студ. науч. общ. мед. институтов. Тезисы, М., 1954, стр. 9.
7. А. И. Каравеев. Значение интеронепторов в регуляции углеводного обмена. VIII Всес. съезд физиол. биох. фарм. Тезисы. М., 1955, стр. 279.

ფსიქოლოგია

ა. ფრანგიშვილი

პიროვნების ზოგადი ფიზიოლოგიური თეორიის ზოგიერთი
საჭიროსათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რ. ნათაძემ 20.6.1956)

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ: პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიის კანონიერების საკითხი და პიროვნების სტრუქტურის ცნების ზოგადფსიქოლოგიური პრობლემა.

1. პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიის შესახებ ლიტერატურაში და აგრეთვე ფსიქოლოგიის საკითხებზე მოწვეულ თათბირებზე სხვადასხვა შეხედულება იყო გამოთქმული. ერთი მხრით, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ფსიქოლოგია არის სწორედ პიროვნების ფსიქოლოგია და რომ სხვაგვარად არც შეიძლება იყოს (ა. ვ. დ. ი. თ. ვ. ი. [1], გვ. 20 და სხვ.); მეორე მხრით, მიუთითებენ, რომ კანონიერია არა პიროვნების ფსიქოლოგია „საზოგადოდ“, არამედ პიროვნების კონკრეტული, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების ფსიქოლოგია. პიროვნების ფსიქოლოგიის უშუალო საგანს წარმოადგენს არა „თვით პიროვნება“, არამედ მხოლოდ მისი „ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურება“: ადამიანის ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი, ინტერესები, ანუ „ამა თუ იმ ადამიანის სულიერი სახე“ (კ. კ. რ. ნ. ი. ლ. თ. ვ. ი. [2], 6—7).

არ შეიძლება პიროვნების ფსიქოლოგია შემოვთარებულოთ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა სფეროთი და ჩავთვალოთ, რომ პიროვნება ვლინდება მხოლოდ ხასიათში, ტემპერამენტში, ნიჭსა და „ფსიქოლოგიურ თვისებებში“, ხოლო ისეთი „ფსიქიური პროცესები“, როგორიცაა შეგრძნება, აღქმა, აზროვნება და სხვა „არაა პიროვნული ბუნების“ პროცესები და რომ პირველთაგან განსხვავებით, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიას განექუთვნებიან, ისინი ზოგადსა და ამდენად „უპიროვნებო ფსიქოლოგიის“ სფეროს წარმოადგენენ. ზოგადი ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის დაპირისპირება, ე. ი. პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიის უარყოფა ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის პრინციპებს.

ყველა იმ პროცესს, რომელსაც ზოგადი ფსიქოლოგია სწავლობს, მარჯვე მა „ინდივიდუალობის ორგანოები“, „სამყაროსადმი ადამიანური დამოკიდებულებანი“ უწოდა. მაშასადმე, „უპიროვნებო“ ფსიქიური პროცესები არ არსებობს; ყველა ფსიქიური პროცესი „ინდივიდუალობის ორგანოს“, პიროვნების მოქმედებას წარმოადგენს და პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ცნობიერების შეს-



წავლისადმი მარქსისტული მატერიალისტური მიდგომის თავისებურებას მარქსი და ენგელსი იმაში ხედავდნენ, რომ, წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც ამოღის ცნობიერებიდან როგორც ცოცხალი ინდივიდიდან, მარქსიზმი ცოცხალი ინდივიდებიდან ამოღის და ცნობიერებას განიხილავს როგორც მათ ს ცნობიერებას.

ცხადია, რომ ფსიქიკის ობიექტური გაპირობებულობის მეცნიერულ-ფსიქოლოგიური შესწავლა ნიშავს ადამიანის „არსობრივი ძალების“ — ობიექტური სინამდვილის ასახვის ფორმების აღამიანის საგნობრივ მოქმედებაში აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებებში შესწავლას. შეიძლება დავასკვნათ, რომ მთლიანი პიროვნების მოქმედების ცნების გამორიცხვას ზოგადი ფსიქოლოგიის სისტემიდან თან სდევს მარქსისტული ფსიქოლოგიის პრინციპებიდან გადახვევა. პიროვნების მოქმედების ცნება მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის ამოსავალ ცნებას წარმოადგენს. მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის სისტემაში ვერც ერთი ფსიქოლოგიური ცნება ვერ აიგება მთლიანი პიროვნების მოქმედების მატერიალისტური ცნების გარეშე, ამ ცნებისაგან მოწყვეტილად და ამდენად არ შეიძლება ზოგადი ფსიქოლოგიის და პირის პირება პიროვნების ფსიქოლოგიას.

2. მაგრამ როგორ დასაბუთდება პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიის განვითარება მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის სისტემაში?

ცნობილია, რომ პერსონალისტური ფსიქოლოგიის, უფრო სწორად ე. წ. „პერსონის ფსიქოლოგიის“ წარმომადგენლების (ოლპორტი და სხვ.) აზრით, პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგია ნონსენსია. ისინა ამბობენ, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური ფსიქიკური ცხოვრება, როგორც ერთგვარი თავისებურება და განუმეორებლობა. „ფსიქიკა საზოგადოდ“, მათი აზრით, „უსიცოცხლო აბსტრაქცია, მითაა“. აქედან დასკვნიან, რომ პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგია არაა კანონიერი. პერსონალისტები კიდევ უფრო შორს მიღიან და მიუთითებენ, რომ კანონი ასახვს განმეორებადობას, იგივეობას მრავალგვარობაში, ხოლო პიროვნება თავის მიზანდასახულებაში, ინდივიდუალობაში, ერთგვარ თავისებურებაში არ მეორდება. პიროვნების ფსიქოლოგია, — ფიქრობენ პერსონალისტები, — შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ეკვივალენტობებს ერთი პირის ქცევაში, და არა ერთგვარობის მომენტებს საერთოდ ადამიანის ქცევაში. ამგვარად, დასკვნიან, რომ პიროვნების ფსიქოლოგია არ შეიძლება იმ მეცნიერებათა ჩიგში დავაყენოთ, რომელიც სინამდვილის მოვლენებისა და საგნების ობიექტურ კანონზომიერებებს სწავლობენ. პიროვნება, წერეშ შტერნი და ოლპორტი, ობიექტური კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერებისათვის ასიმპტოტაა. პერსონალისტური ფსიქოლოგია იდეალისტური ფილოსოფიის წინამდვრებზეა აგებული.

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ ამხილა პიროვნების შესახებ იდეალისტური მოძღვრების ამ წინამდვილობაში პირველად შექმნა შტკიცე და შეურეველი საფუძველი იმისათვის, რომ აგებულ იქნეს მეცნიერება პიროვნების ფსიქიკურ რიცხვში კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერებისათვის ასიმპტოტაა. პერსონალისტური ფსიქოლოგია იდეალისტური ფილოსოფიის წინამდვრებზეა აგებული.

სახე 8. მარქსიზმა დაამტკიცა, რომ პიროვნება უნდა განიხილებოდეს არა როგორც იმთავითვე მოცემული ფაქტი, „ერთგვარი აბსტრაქტი“, ე. ი. არა როგორც თავის თავში დასაბუთებული სუბსტანცია, — როგორც ამას პერსონალისტები ფიქრობენ, — არამედ სწორედ როგორც განვითარების პროდუქტი, რომელიც თავისი არსით „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას“ წირმარისადგენს. მარქსიზმმა დაამტკიცა სწორედ ის, რომ პიროვნება არის არა მარტო „განკურძოებულობა“, არამედ „ერთობლიობაც“, სუბიექტური ყოფიერება „საზოგადოებისა თავისოთვის“, არსება, რომელიც „მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება განკურძოვდეს“. ინდივიდუუმის, პიროვნების „განკურძოება“ ისტორიული პროცესია. პიროვნების ნამდვილი „განკურძოება“, ე. ი. მისი ყოველმხრივი განვითარება მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი, მხოლოდ ნამდვილსა და არა ყალბ კოლექტივში აქვს ინდივიდს ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა, — წერს მარქსი. კერძო საკუთრებაზე აგებულ საზოგადოებას შედეგად მოჰყვება „პიროვნების მოსპობა“, მისი „უარყოფა“ (მარქსი). (იხ. ვ. კოლბანოვსკი [2], 3—6).

მარქსიზმ-ლენინიზმა დაამტკიცა არა მარტო ის, რომ ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, არამედ ისიც, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება, მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება განკურძოვდეს; ამით მან არათუ მოხსნა პიროვნების პრობლემა, არამედ მეცნიერების ისტორიაში პირველად დააყენა ადამიანის პიროვნებისა და მისი ცნობიერების შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე. ამგვარად, ზოგადი კანონზომიერება პიროვნების ფსიქოლოგიის ს ფეროში არის არა ეკვივალენტობა ერთი პირის ქცევაში, არამედ კანონზომიერება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებაში პიროვნების „განკურძოების“ (ფორმების, განვითარებისა და მოქმედების) ობიექტური, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული პირობებით განპირობებული პროცესის არს ს. პიროვნების ცნება მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის სისტემაში, წინააღმდეგ იდეალისტური, პერსონალური ფსიქოლოგიისა, ასახვის მარქსისტულ-ლენინური მატერიალისტური თეორიის რეალიზაციის ემსახურება.

პიროვნების საზოგადოებაში „განკურძოების“ (ფორმირების, განვითარების, მოქმედების) პროცესის კანონზომიერებათა ასახვა ნიშნავს ამ პროცესის არსებით მიმართებათა დადგენას. „ეკანონი და არსი ერთგვაროვანი ცნებებია“ — წერდა ლენინი. სინამდვილის არსებით მიმართებაში მოცემულია მისი განვითარების კანონიც, რომელიც გამოხატულებას პოულობს ზოგად ცნებაში. ამგვარად, ზოგადფსიქოლოგიური ცნებები არა გარეგან დამოკიდებულებაში კერძოსა და ინდივიდუალურისადმი. ზოგადფსიქოლოგიური ცნება არა მარტო აბსტრაქტულია, არამედ კონკრეტულიც; მასში, როგორც იტყვიან, მოცემულია ზოგადისა და ერთეულადის, არსებითი მიმართებისა და მისი ამა თუ იმ მოვლენის სახით არსებობის ფორმების დაპირისპირების სინთეზი. ერთეულადისა და ზოგადის კატეგორია თვით სინამდვილეს ასახავს. ბუნებისა და საზოგადოების ყოველ ნაწილში, მათ შორის ადამიანის ფსიქიკურ მოქმედებაშიც, მოცემულია



ზოგადის — არსის და ერთეულადის ან არსებობის თავისებური ფორმების უკანასიანობა.

ზოგადი ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის მეტაფიზიკური გა—
თიშვა გნუყრელადაა დაკავშირებული პიროვნების თავის თავში დასაბუთე—
ბულ სუბსტანციად აღიარებასთან. ფსიქიური მოქმედების ერთეულადი, თავი—
სებური ფორმა ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება. ზოგადი ფსიქოლოგია
არაა ფიქცია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ინდივიდუალურ ფსიქოლოგი—
არაა ფიქცია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ინდივიდუალურ ფსიქოლოგი—
ასაც წარმოადგენს. ზოგადი ფსიქოლოგია არსებით მიმართებებს, პიროვნების
ფსიქიური მოქმედების განვითარების კანონებს ასახვს და არსებით მიმართე—
ბათა და მისი არსებობის ინდივიდუალური ფორმების სინთეზს წარმოადგენს.

განშვიბის ცნება, როგორც აქტივობისაზომი მზაობის ზოგადფსიქოლოგიური ცნება, რო—
გორც მოქმედების მიმართულების განმსაზღვრელი, მთლიან-პიროვნული მდგომარეობა, ზოგიერთ
ავტორს ([4], 67, 76) არ შემოაქვს პიროვნების ფსიქოლოგიის ცნებათა სფეროში. ჩვენი აზრით,
ეს იმით აისწნება, რომ პიროვნების ცნებათა სისტემს ეს ავტორები შემოფარგლავენ მხოლოდ
პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ცნებებით და* რომ პიროვნების
ფსიქოლოგიის სფეროდ მათ მხოლოდ ფსიქიური მოქმედების გამოვლენის თავისებური, ინდი—
ვიდუალური ფორმები მათჩნიათ, კერძოდ, პიროვნების ე. წ. „დამოკიდებულებანი“. დამოკიდე—
ბულება, ბოლოს და ბოლოს, არის ადამიანის, როგორც პიროვნების, ცნობიერი, აქტიური, არჩე—
ვით კავშირი მთელს სინამდვილესთან; იგი ვლინდება პიროვნების მოქმედებისა და ქცევის
თავისებურებაში (პიროვნების კონტრეტულ ინტერესებში, იმაში, რაც ლირებულია მისვისი,
რასაც იგი ენდობა, რის მიმართაც განუჩრეველია და ა. შ. ([5], 14, 18). მაგრამ, როგორც ზე—
მოთ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, პიროვნება ვლინდება არა მარტო ასეთ ინდივიდუალურ—
ფსიქოლოგიურ თავისებურებებში, არამედ აქმის, აზროვნებისა და სხვა „ზოგადფსიქოლო—
გიურ“ პროცესებშიც. არა სწორი ის თვალსაზრისი, რომელიც პიროვნების ზოგადფსიქოლო—
გიურ თავისებურებებს უარყოფს. პერსონალიზმის პაზივიებში რომ არ აღმოვჩნდეთ, არ უნდა
დაგუპირისპიროთ ერთმანეთს სპეციალისტი, ინდივიდუალური და ზოგადი პიროვნების „დამო—
კიდებულებათა“ სპეციალისტი, თავისებური ფორმები არ უნდა განვიხილოთ იმ არსებითი
მიმართებებისაგან მოწყვეტილად, რომელიც განსაზღვრავენ საზოგადო პიროვნების მოქმედე—
ბის მიმართულებას, მთ შორის აქმის, აზროვნებისა და სხვა პროცესების მიმართულებას.

მარქსისტულ-მატერიალისტური მონიშმი გვასწავლის, რომ სპეციალისტი, პიროვნების „დამო—
კიდებულებათა“ სპეციალისტი, თავისებური ფორმები არ უნდა განვიხილოთ იმ არსებითი
მიმართებებისაგან მოწყვეტილად, რომელიც განსაზღვრავენ საზოგადო პიროვნების მოქმედე—
ბის მიმართულებას, სისტემიდან გამოიჩინოს იმ საფუძველზე, რომ პიროვნების ფსიქოლოგიის
ცნებათა სისტემიდან გამოიჩინოს იმ საფუძველზე, რომ პიროვნების ფსიქოლოგიის ცნებები
თოთქოს მხოლოდ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების — „დამოკიდებულებების“
სფეროთი შემოფარგლება ([4], 99—100).

არ შეიძლება. არსებობდეს ზოგადი ფსიქოლოგია, როგორც შეცნიერება
არსებობის ინდივიდუალური ფორმებისაგან მოწყვეტილი ფსიქიკური პროცე—
სების შესახებ. პერსონალისტური ფსიქოლოგია, რომელსაც შეუძლებლად მი—
აჩნია პიროვნების ფსიქოლოგიის უსიქოლოგიის ცნება არ შეიძლება პიროვნების ფსიქოლოგიის
ცნებათა სისტემიდან გამოიჩინოს იმ საფუძველზე, რომ პიროვნების ფსიქოლოგიის ცნებები
თოთქოს მხოლოდ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების — „დამოკიდებულებების“
სფეროთი შემოფარგლება ([4], 99—100).

თეზში განიხილავს არსებით მიმართებებსა და მისი არსებობის გამოვლენის ფორმებს. ამით ზოგადი ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის დაპირისპირებას აზრი ეკარგება. ზოგადი ფსიქოლოგია არის იმავე დროს პიროვნების, ინდივიდუალობის ფსიქოლოგიაა.

3. იმ ცნებათა რიცხვს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ პიროვნების შესახებ მეცნიერული ფსიქოლოგიური ცოდნის ასაგებად, მიეკუთვნება პიროვნების სტრუქტურის ცნება. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ არა მარტო პიროვნების სტრუქტურის პრობლემა, არამედ პიროვნების ფსიქოლოგიის კონკრეტული ცნებების სხვა პრობლემებიც და ამავე დროს მათი სწორი გადაწყვეტაც შევძლოთ, საჭიროა პირველ რიგში ნათლად გვესმოდეს თვით პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ბუნება.

პიროვნება, როგორც მრავალმხრივი სინამდვილე, ცოდნის სხვადასხვა დარგის შესწავლის საგანს წარმოადგენს: ისტორიული მატერიალიზმის, იურიდიული მეცნიერების, ბიოქიმიის და სხვა. ამასთან ერთად ჩვენ ვლაპარაკობთ პიროვნების ფსიქოლოგიური შესწავლის შესახებ და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მოქმედი აქტიური მთლიანი პიროვნების ცნება მარქსისტულ-ლენინური ფსიქოლოგიის ამოსავალ ცნებას წარმოადგენს.

იბადება კითხვა: სპეციფიკური ფსიქოლოგიური შინაარსი ეძლევა ამ შემთხვევაში პიროვნების ცნებას, თუ იგულისხმება, რომ მთლიანი პიროვნების ფსიქოლოგიური განსაზღვრება შეუძლებელია და არაკანონიერიც და ფსიქოლოგიისათვის ამოსავალი უნდა იყოს პიროვნების სოციოლოგიური ან რომელიმე სხვა ცნება? მაგრამ თუ ფსიქოლოგია წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერებას, რომელსაც თავისი შესწავლის საგანი აქვს და რომლის ამოცანა განიხილოს ფსიქიკური პროცესები სწორედ როგორც პიროვნების მოქმედება, ცხადია, რომ პიროვნების ფსიქოლოგიური ცნება შეუძლებელია დაყვანილ იქნება პიროვნების ან სოციოლოგიურ, ან იურიდიულ, ან სხვა ცნებაზე.

ამ წერილის ფარგლებში შეუძლებელია პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური განსაზღვრების მოცემა. ამ შემთხვევაში ჩვენ შევეცდებით მივუთითოთ პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ასპექტის, პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური დასასიათების მხოლოდ ზოგიერთ არსებით ნიშანზე, რამდენადაც ეს აუცილებელია პიროვნების სტრუქტურის ზოგადფსიქოლოგიური ცნების პრობლემის ზოგადი გაშუქებისათვის. ამ მაჩვენებლების დადგნინდას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების პირდაპირი მითითებებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიმართულებით პავლოვის საბურებისმეტყველო-მეცნიერულ მოძღვრებას პიროვნების შესახებ. დ. უზნაიძისა და მის მოწაფეების მიერ მიღებული პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური პრობლემების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ამ საკითხის რიგ მნიშვნელოვან მხარეს აშუქებენ.

რამდენადაც ზოგადი ფსიქოლოგიის საგანს აღამიანის ცნობიერებაში სინამდვილის ასხვის პროცესის ზოგადი კანონითმიერებების შესწავლა წარმოადგენს, ამდენად ცხადია, რომ პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური შესწავლის სფერო განისაზღვრება იმ ადგილით, რომელიც სინამდვილის ასახვის პროცესში მოქმედი პიროვნების ზოგადადმაინტერაციურ თავისებურებას უკავია.

ადმინისტრაციული ცნობიერებაში სინამდვილის ასახვის პროცესში, რომელიც ფსიქოლოგიის სპეციფიკურ საგანს შეადგენს, მოქმედი პიროვნება პირველ რიგში წარმოდგნილია როგორც ერთგვარი მთლიანი წარმონავნი. პიროვნება არ არის ცალკეული მოქმედებების, ცნობიერების მდგრადმარებებისა და ფსიქიკური თვისებების უბრალო კონგლომერატი. მაშასადამე, პიროვნება



უნდა დახსაიათდეს სპეციულური თავისებურებებით, რომელიც ფსიქული პროცესებს შეასტრიუსა და სისებების ცალკეულ მოქმედებათა ჯამზე არ დაიყვანება.

სწორედ პიროვნების, როგორც ცნობიერების მდგრადირეობათა ჯამზე დაუყვანად მთლიან წარმონაქმნის, არსებობა ჰერნდა მხედველობაში მარჯვეს, როცა იგი აკრიტიკებდა ჰერელს; რომელსც ადამიანის პიროვნება თვითონბიძეებაზე დაკავედა. მარჯვეს პირდაპირ მიუთითებდა, რომ ადამიანი მითვისებს თვის მრავალმხრივ არს მრავალმხრივ საშუალებით, ე. ი. როგორც „მთლიანი ადამიანი“. მარჯვეს ცალკეულ ფსიქულ პროცესებს ახასიათებდა როგორც „ინდივიდუალობის ორგანიზაცია“ და ამით პირდაპირ მუთითებდა, რომ ეს პროცესები ორგანიზებიან და წარიმართებიან არა თავისავად, არამედ წარიმართებიან „მთლიანი ადამიანის“, როგორც ერთგვარი მთლიანი წარმონაქმნის, ერთგვარი ორგანიზებულობის მიერ.

ამგარად, პიროვნების „ზოგადფსიქოლოგიური ნიშანს წარმოადგენს ადამიანის „არსობრივ ძალა“ მოქმედების განუცალებელობა, ერთიანობა, მისი მთლიან აუცილებელი თავის ან განვითარების შესახებ მარქსისტული თეორიის შეუძე, თეორიის, რომელმაც ამხილა კვერცითი მატერიალიზმის მანვიერებანი და შექმნა მატერიალისტური მოძღვრება მოქმედი პიროვნების შესახებ, ნათელი ზღვაბა პიროვნების ფსიქოლოგიური ასპექტის შემდეგი არსებობით თავისებურება — ადამიანის „არსობრივი ძალების“ მთლიანობითი ორგანიზაციის დინამიკური, ე. ი. ისეთი, რომელიც ფორმირდება, მუდმივად ვითარდება, აქტივობა და იმ განვითარების შესახებ მარქმედების სუბიექტია არ შეიძლება სხვანაირი იყოს, თუ არ დინამიკური, ე. ი. ისეთი, რომელიც ფორმირდება, მუდმივად ვითარდება, აქტივობა და იმ განვითარების შესახებ მოქმედების და მოქმედების სუბიექტია, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედება შეიძლება იყოს მხოლოდ პიროვნების მოქმედება.

პიროვნება, აქტივობის სუბიექტი, მხოლოდ იმიტომა აქტივობის სუბიექტი, რომ იგი „ორგანიზება“ არა სწორედ მოქმედების აქტივურის მომენტში, არამედ წინასწარა გამზადებული იმიტომა მისთვის. სწორედ მოქმედების სტრუქტურისა და შეკვეშირებული თანამიმდევრობის განმსაზღვრელ შინაგან მზადებელი პირველ ჩივში პიროვნება სწორედ როგორც მოქმედების სუბიექტი. ამგარად, პიროვნების, როგორც ადამიანის, არსობრივი ძალების მთლიანი დინამიკური ორგანიზაციის ზოგადფსიქოლოგიური ასპექტის წარმოდგენილ დახასიათებას ემატება კიდევ ის ნიშანი, რომ ადამიანის არსობრივი ძალების ეს დინამიკური ორგანიზაცია იმიტომა პიროვნებისა, რომ იგი ვლინდება როგორც მოქმედების განმსაზღვრელი „შინაგანი“ შზ აობა, ტენცუნია, დისპაზონიცა. მოქმედება აღმოცენდება ყოველთვის ამ შინაგანი მთლიანი დინამიკური ბუნების მქონე მზაობის, ტენცენციის საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიქსირებული, ისე მომენტურად ღმოცენდებული. ამ მზაობის სახით, როგორც ეს სხვა ადგილის იყო ჩვენ მიერ ნაჩვენები, ყალიბდება ბოლოს და ბოლოს ის „შინაგანი კაშტრები და ურთიერთობანი“ (რუბინშტრინი), რომელიც გაშუალებათ, თანხმად დაილექტიკურ-მატერიალისტური დეტერმინიზმის. პირინციპისა (წინამდებრები მექანიკური სქემისა სტრული — რეაქცია), გარე პირობები ადამიანის მოქმედებას განსაზღვრავენ.

ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ასპექტის შემდეგი თავისებურება. საქმე ისაა, რომ აქტივობის განმსაზღვრელი მზაობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიროვნების ბუნება იმით გამოიხატება, რომ მის საფუძველზე აღმოცენდება სწორელიად გარე კველები ხსიათის, გარევეული მიმართულების მოქმედება. სწორედ ამ შეჩერების თავისებურება ასპექტის თუმცა არსებოთი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ-ერთი თავისებურებასთავანი — აქტივობის შეჩერებით ხსიათი (როგორც ზემოთ დაგინახეთ, პიროვნების ფსიქოლოგიური ასპექტი, ამ თავისებურებით არ ამოცურება). ფაქსირებული მზაობები, დისპაზონიცები, რომელიც „შინაგანად“ განსაზღვრავენ აქტივობას, ერთმანიშვნელოვანა, მთლიანობით თანმიმდევრა, მტკიცე და ამდენად ფსიქოლოგიურად პიროვნებულ ხსიათს აძლევენ. მოქმედებას.

მაგრამ როგორაც მოქმედების მიმართულების განმსაზღვრელი მზაობის შინაარსი? შემთხვევაში ნისაზღვრება თავის შინაარსში მიმართულება, შერჩევითაბა, სპეციფიკური „დამოკიდებულება“ და სხვა? შერსონალისტური თეორიები აქტივობის შერჩევით მიმართულებაში პიროვნების გამოვლენას იძენად ხედავენ, რამდენდაც ამ აქტივობას ისინი პიროვნების, როგორც „წმინდა მექ“, „თავის თავში დასაბუთებული სუბსტანციის“ შინაგანი მიზნების განხორციელებად თვლიან. და უზადის თვალსაზრისით, რომელიც საესებით შეესატყვისება პიროვნების მოქმედების შესახებ მარქსისტულ დეტერმინისტულ მოძღვრებას, ადამიანის „არსობრივი ძალების“ დინამიკური ორგანიზაცია, როგორც გარკვეული ხასიათის, გარკვეული მიმართულების მოქმედების აღმოცენების განმსაზღვრელი მზაობა, შეიძლება გაეგებულ იქნეს მხოლოდ როგორც მოქმედების ობიექტური, მატერიალური პირობების — ისტორიულად ჩამოყალიბებული მოთხოვნილებებისა და ობიექტური სინამდვილის — ურთიერთობის ფსიქოლოგიური შინაარსი. სეჩენოვი აღნიშნავს, რომ ქცევა წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნილებათა შეთანხმებას ობიექტურ სინამდვილესთან. აქედან ცხადია, რომ პიროვნების მოქმედების მიმართულობის საფუძვლად მდებარე მზაობა განისაზღვრება ისტორიულად ჩამოყალიბებული მოთხოვნილებებით (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ნებელობის ჩათვლით, რომელიც პიროვნების საზოგადოებრივდ მნიშვნელოვნი მოქმედების მორიგაციას ახდენს) და ობიექტური სინამდვილით, ასევებობის პირობებით და, ამდენად, საზოგადოებრივი გამოცდილებით. განვითარების ადამიანურ საფეხურზე ფსიქიკური მოქმედებები ემსახურებიან ქცევის მოტივთა სფეროს და ობიექტური სინამდვილის ცნობიერ ცოდიექტივირებულს, როცა „დამოკიდებულებანი მოცემულია როგორც დამიადგებულებანი“, ასახეს, რომელთა ურთიერთზეტერმეტების ფსიქოლოგიურ შინაარსს წარმოადგენს, როგორც აღვინშეთ, ის მთლიანიპიროვნებისეული ბუნების მქონე მზაობა, რის საფუძველზედაც გარკვეული მიმართულების ქცევა აღმოცენდება.

ასეთია სქემატური სახით წარმოდგენილი ის ძირითადი ნიშნები, რომელიც პიროვნების, როგორც მთლიანობითი წარმონაქმნის, „ზოგადფსიქოლოგიურ სინამდვილეს“ შემოხაზავენ.

ზემოთ მული ჩვენ საქმარისად მიგვაჩნია იმისათვის, რათა მოინიშნოს, სწორი გზა ე. წ. პიროვნების სტრუქტურის პრობლემის გასაშუქრებლად. პიროვნების სტრუქტურის ცნების პრობლემა ასე უნდა გავიგოთ: პიროვნება არის მთლიანი წარმონაქმნი და არა ცალკეული ფსიქიკური პროცესებისა და თვისებების კონგლომერატი, და საჭიროა განისაზღვროს, თუ როგორი ფორმით, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიროვნებისეული „განზომილების“ როგორ დინამიკურ „ერთეულად“ ყალიბდება ეს მთლიანი მოქმედი პიროვნება. ცალკეული ფსიქიკური პროცესების ცნება და პიროვნების თვისებების (ტემპერამენტი, ხასიათი, ნიჭი და სხვა) ცნებაც კი ხომ „ანალიტიკური“ ცნებებია და მათ არ შეუძლიათ მოქმედი პიროვნების, როგორც მთლიანის, ასახვა. ფსიქოლოგიაში დიდხანს იყო გაბატონებული მცდარი თვალსაზრისი, რომელიც ტოლობის ნიშანს სვამდა პიროვნებასა და ხასიათს, „გრძნობად განწყობილებს“ და პიროვნების სხვა „ფსიქოლოგიურ თვისებებს“ შორის. პიროვნება თავისი ცხოვრების გარკვეულ მომენტში მოქმედებს როგორც „მთლიანობა“, ამიტომ საჭიროა მოინახოს პიროვნების, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მოდუსის ისეთი ცნება, რომელიც ერთიანად მოიცავს მოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიურ ასეს — ცნება იმ „ფორმის“ შესახებ, რა სახითაც ყალიბდება პიროვნების ცხოვრების ყოველი, კონკრეტულ მომენტში მისი ყველა „შინაგანი კავშირები და მიმართებანი“, რომელთა გაშუალებითაც გარეგანი ზემოქმედება პიროვნების მოქმედებას



განსაზღვრავს. რაკი პიროვნება განუყრელია მოქმედებისაგან და რაკი აღაშიანი იმდენადაა სუბიექტი, პიროვნება, რამდენადაც იგი მოქმედების მომენტში კი არ „ორგანიზდება“, არამედ წინასწარაა განმზადილი მისთვის („დამოკიდებულებანი მოცუმულია, როგორც დამოკიდებულებანი“ და ა. შ.), ცხადია, რომ ჩვენი საძიებელი ცნება უნდა უკუთვნოდეს მოქმედების აღმძვრელი მზაობის, ტენდენციის ცნებებს, მზაობის, რომელიც წარმოადგენს რა მოთხოვნილებისა და გარემოს ურთიერთზედმოქმედების ფსიქიურ შინაარსს, შეიძლება იყოს როგორც მომენტანური, ისე ფიქსირებული, მტკიცე და რომელიც ფორმირდება და აქტუალიზდება როგორც ცნობიერების მონაწილეობით („ობიექტივაციით“), ისე მისი სპეციფიკური მონაწილეობის გარეშე. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური სინამდვილის ზემოაღნიშნულ ძირითად ნიშნებს და მხედველობაში მივიღებთ იმას, რაც უკვე ცნობილია განწყობის ცნების შესახებ საბჭოთა ფსიქოლოგიაში (იხ. [3], 24—29; [4], 99—111), ადეკვატურ ცნებად მაშინ პიროვნების სტრუქტურის, პიროვნების მოღუსის განწყობის ცნება (დ. უ ზ ნ ა ძ ე) უნდა ვალიაროთ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, განწყობის ცნება, როგორც პიროვნების სტრუქტურის ცნება, შეესტყვისტება პიროვნების ზოგად-ფსიქოლოგიურ ბუნების იმ გაგებას, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი. ჩვენ არ შევჩერდებით ამასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის დეტალურ განხილვაზე, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა პიროვნების სტრუქტურის ცნების პრობლემის ერთ მხარეზე — მის უშუალო კავშირზე პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ბუნების გაგებასთან. პიროვნების სტრუქტურის ცნება, როგორც ცნება პიროვნების ფსიქოლოგიური მოღუსისა, რომელიც წარმოადგენს პიროვნების არსებითი ფსიქოლოგიური თავისებურებების ერთიანობის ფორმას მისი ცხოვრების ყოველ გარკვეულ მომენტში, განუყრელადა დაკავშირებული პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ბუნების გაგებასთან. სამწუხაროდ, მშვიათი არა შემთხვევა, როცა პიროვნების სტრუქტურის ამა თუ იმ ცნების კანონიერების უარყოფა ან დასაბუთება არაა დაკავშირებული პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ბუნებისა და მისი არსებითი ნიშნების ნათელ განსაზღვრასთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 20.6.1956)

დამოუკიდებული ლიტერატურა

1. А. В. Веденов. Личность как предмет психологической науки. Журн. «Вопросы психологии», № 1, 1956.
2. Доклады на совещании по вопросам психологии личности (сокращ. тексты). М., 1956.
3. А. С. Прангишвили. Понятие установки в системе советской психологии. Журн. «Вопросы психологии», № 3, 1955.
4. Обсуждение докладов по проблеме установки на совещании по психологии. Журн. «Вопросы психологии», № 6, 1955.
5. В. Н. Мясищев. «Проблемы психологии в свете взглядов классиков марксизма-ленинизма на отношения человека». Ленинградский университет, «Ученые записки», № 203, вып. 8, «Психология».

ფილოლოგია

პ. შანიძე

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი)

განის მარმარილოს ქანდაკებამ, რომელიც ორჯერ გამოსცა ე. თაყაი-
შვილმა [1, 2], კიდევ მიიპყრო მკვლევრის ყურადღება: ჩ. შერლინგმა
იგი მესამედ გამოსცა და მიაკუთვნა მე-11 საუკუნეს. ქანდაკებას მოქმოვება
წარწერა, რომელიც ასე გამოიყურება:

წარწერა მოქმედებას შესრულების დროის და მიზანის შესწავება

წარწერას ასე კითხულობენ:

წო: გრ: მთავორ მწმო: გხე: წე ღისა: ღლა: ეე ვსა ზღსა და
ოღსა გის.

ქარაგმების გახსნით:

შმიდა გიორგი მთავარ მოწამეო, გვიოხე წინაშე ღმრთისა ღღეთა
ერისთავთ ერისთავსა ზვიადსა და ოღსა გიორგის. ხოლო რუსულად თარ-
გმნან: Святой Георгий великомученик, будь представителем перед господом
за Г—где Звиада и Ог—дзе Георгия ([3], გვ. 188).

ძნელია, დავეთანხმოთ ასეთ წაკითხვას და მისგან დამოკიდებულს თარ-
გმანს. და აი რატომ: თვით ჩ. შერლინგის წერილში, სხვათა შორის, ვკით-
ხულობთ მეტად საინტერესო შენიშვნას: „ს. ბარნაველმა მიაქცია ყურადღე-
ბაო, რომ გვარი, რომელიც დგას პირველი ქტიტორის,—ზვიადის,—სახელის
წინ, მოცემულია მრავლობითს რიცხვში, და ფიქრობს, რომ ლოგიკურად
ორი პირი უნდა ერთიანდებოდეს ერთი გვარით; კიდევ ერთი გვარი კი,
რომელიც ჩნდება მეორე ქტიტორის გიორგის სახელის წინ, იწვევს გაურ-
კვევლობას, ხელს უშლის ტექსტის გაებას“. დასტურია: უშლის, ძალიან
უშლის. მაგრამ ჩავტკვეთ ქვემოთ: „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წარ-
წერის ამომჭრელმა ოსტატმა დაუშვა შეცდომები („წე“-ს მაგივრად დაწე-
რილი აქვთ „წო“ და „მთავარ“-ის მაგივრად „მთავორ“), ს. ბარნაველს შე-
საძლოდ მიაჩნია, რომ ამომჭრელმა დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა: მეორე
სახელის წინ აღნიშნული უნდა იყოს გვარი კი არა, არამედ ქტიტორის თა-
ნამდებობა, როგორც წინა ქტიტორის სახელთან. ეჭვს იწვევს თვით გვარე-



ბის დაწერილობა: ხომ არ უნდა ყოფილიყო აქ ერთი და იგივე გენტინი ([3], გვ. 188). დიახ, გვარიც ერთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რატომ არ გამოდის ერთი? — იმიტომ, რომ ერთი სიტყვის წაკითხვაში შეცდომა მოსდით. ეს სიტყვაა ბოლოდან მეორე, რომელიც გვარი ჰგონიათ და ასე კითხულობენ: **იმპერატორი**. არა, ეს არ არის არც გვარი და არც თანამდებობა, როგორც ს. ბარნაველს ჰგონია, არამედ რაღაც სხვა. თუ ასოების ამომევეთელს დავუწყებთ შეცდომების ძებნას, ეს შეცდომა პირველ ყოვლისა ამ სიტყვაში უნდა ვეძიოთ, სადაც მას ნაცვლად მას მა ამოუჭრია (ისინი მოყვანილობით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს). თუ ამ შეცდომას გავასწორებთ, მივიღებთ შემდეგს: **იმპერატორი**. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ, რომ ონის დაწერა უნის ნაცვლად ჩეკულებრივი მოვლენაა მე-11—მე-13 საუკუნეთა ქართულ ძეგლებში და რომ, ამას გარდა, სანხე ფუძე-გათავებულ სახელებს მიცემითში ხშირად აქვს ერთი ს (ორის ნაცვლად), ძნელი არ არის იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომ მოყვანილი სიტყვა ასე უნდა წაიკითხოთ: **იმპერატორი** (ულირსა).

გვარის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც მიც. ბრუნვაში დგას (**იმპერატორი**), მე ასე ვკითხულობ: **იმპერატორი**, ღოლავებეთა (და არა: ღოლა ა ეთა, რომლის დაბოლოება ისე ელერს, როგორც დღევანდელი გვარებისა). ასე რომ ვკითხულობ გვარს, მგონია, რომ მას საფუძვლად უძევს პირის სახელი ღოლა, რომლისგანაც ნაწარმოებია გვარები: ერთი მხრით ქართ. ღოლასებე (რომელიც მოიპოვება მოყვანილ წარწერაში) და მეორე მხრით ჭანური ღოლა(ჭმ)-ბერე. უკანასკნელ გვარს, გაქართულების პროცესში, დაპროთია ქართ. გვარების დაბოლოება ძე და იგი გადაქცეულია ღოლაბერი(ხ)ძე-დ, შემდეგ კი — ხმოვანთა ასიმილაციის გამო — ღოლობერიძე-დ⁽¹⁾.

ძალიან დიალექტურ ელფერს აძლევს წარწერას ფორმა „მთავორ“, რომელიც წარმომდგარია ბაგისმიერი გინის გავლენით მომდევნო ხმოვანზე: მთავარ → მთავორ [შდრ. ხევსურული ფორმები: ორ (← ვარ), ოხტანგ (← ვახტანგ) და მისთ].

უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ ორ საკუთარ სახელთაგან, რომლებიც მიც. ბრუნვაში დგანან, ერთს აქვს „ემფატიკური“ ხმოვანი (ზვადსა), მეორეს — არა (გიორგის).

ზემორე თქმულიდან ცხადია, რომ ვანის მარმარილოს ხატის წარწერა ასე უნდა წაიკითხოთ:

„შმიდაო გიორგი მთავორ მოწამეო, გუიოხე⁽²⁾ წინაშე ღმრთისა ღოლავებეთა ერისთავთ ერისთავსა ზვადსა და ულირსა გიორგის“, რაც ასე უნდა ვთარგმნოთ: „Святой великомученик Георгий, будь ходатаем перед богом нам, Гогайсдзе, ериставу эриставов Зюаду (Звиаду) и недостойному Георгию“.

⁽¹⁾ მსგავსი დანართი აქვს ბევრს ჭანური წარმოშობის გვარს, როგორიცაა: სულაბერიძე, გოგიბერიძე, ჯობაბერიძე, ლოსაბერიძე, ტურაბელიძე (ტურაბერიძე), მიქაბერიძე, დოლაბერიძე და სხვ. შდრ. გ. როგოვა [4].

⁽²⁾ არა მგონია, რომ გ'ხე იკითხებოდეს: გუიხოიშვილი.

უნდა ვითიქროთ, რომ ზეიადი და გიორგი ძმებია, ერთი—ერისკაცი,
მეორე—სასულიერო წოდებისა, რაც იქიდან ჩანს, რომ ის თავის თავს უღირ-
სად იხსენიებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 14.6.1956)

დამოუმებული ლიტერატურა

1. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, თბილისი, 1908.
2. Е. С. Такайшвили. Церковь в Ване, в Имерии, и ее древности: Известия Кавказского историко-археологического института, т. II, 1917—1925, стр. 88—89, Табл. XIII.
3. რ. შმერლინგი. მარმარილოს ქანდაკება სოფ. ვანიდან: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 2, 1956.
4. გ. როგავა. ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის: წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.

ხელოვნების ისტორია

გ. ჩუბინაშვილი

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი)

ბორჯომის რაიონის სოფ. დაბის მახლობლად მდებარე წმინდა გიორგის (?) ეკლესიის ახალგაზრდაში მირველად ცნობილი გახდა ერთ-ერთმა დაწინაურებულმა ახალგაზრდა ინტელიგენტთა განმარტინაში დ. კ. მელვინთ-ხუცესის შვილმა, რომელიც აკადემიკოს მ. ბროსეს ეხმარებოდა ოქეოლოგიურ-ეპიგრაფიულ მუშაობაში მისი კავკასიაში მგზავრობისას 1847—48 წლებში. დომ. მელვინთ-ხუცესის შვილი (ანუ, როგორც ზოგჯერ ბროსე წერს, რუსიფიცირებული ფორმით მელვინთ-ხუცესოვი, ანუ უფრო ხშირად ფრანგი მკითხველისთვის უფრო მარტივად — მოსიე დიმიტრი, ანუ როგორც ახლა მისი ახლო ნათესავები წერენ, მელვინთ-ხუცესი) ბროსეს გამგზავრების შემდეგ, რიგი წლების განმავლობაში, ატარებდა მუშაობას მისთვის დამუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელიც სანქცირებული იყო მეფის ნაცვლის მიერ. მშობლიურ წარსულში ასეთი გაძლიერებული ხალრმავებით მელვინთ-ხუცესის შვილი, ალბათ, გაურბოდა ბატონიშვილი რუსეთის მეფის ჩინოვნიკის მძიმე მოვალეობების შესრულებას.

„მოსიე დიმიტრის“ მიერ წაკითხული წარწერა დაბეჭდილი იყო აკადემიკოს ბროსეს მიერ მეექვს „რაპორტის“ (მოხსენების) დანართში [1]. ბროსემ ვერ შეძლო დაედგინა სწორი წაკითხვა და არც თარგმანი მიაჩნდა დამაგმაყოფილებლად. მეორეჯერ ბროსე დაუბრუნდა ამ წარწერას იმ ასლთან დაკავშირებით, რომელიც მას პოლქოვნიკა ბართოლომეიმ გამოუგზავნა 1853 წ. [2]. აქ ბროსე კმაყოფილდება მითითებით, რომ შესაძლებელია პირველი და მეორე სტრიქონების უკანასკნელი სიტყვების წაკითხვა გასწორდეს, და მიუთითებს მეოთხე სტრიქონის ბოლოს კარგ წაკითხვას („მათმან — მოლარეთ — ხუცეს“); იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ბართოლომეის გამორჩენია თარიღის აღნიშვნა. ბროსე იძლევა ახალ თარგმანს:

En la 19-e indiction du roi des rois Giorgi, fils de Dimitri, o toi qui fus l'instrument de l'incarnation du verbe divin, j'ai bâti ce temple, au nom du premier-né du roi des rois, moi son chef des trésoriers. En l'année pascale 21—1333.

ბროსეს დარჩა გაუსწორებელი ერთი სიტყვა მესამე სტრიქონში, რომელსაც იგი ხსნიდა, როგორც „პირველშობილი“, რომლის ისტორიულ განმარტებას იძლევა სქოლიოში.



უკანასკნელ პუნქტში ბროსეს წაკითხვა შემდეგ, 1875 წელს, გასწორებულ იქნა დ. ბარეაძის მიერ [3]. მის თარგმანში იკითხება ასე: « Воплощения слова божия причина! Храм сей построен в 19-й индиктион царя царей Георгия, сына Димитрия, икою, их... ».

მხოლოდ თარიღი და ქტიტორის ტიტულატურა ბაქრაძეს არ მოჰყავს, მაგრამ თავის ცნობარში განმარტავს, წარწერაში მოხსენებულია „უფრო მოურავი, ვიდრე ხაზინის ცველების უფროსი“. თარიღის შესახებ დ. ბ. ბაქრაძე გამოქვამს მოსაზრებას, თითქოს შენობა და წარწერა ეკუთვნის არა გიორგი ბრწყინვალეს, არამედ გიორგი III — თამარ მეფის მამის — ეპიფას; მაგრამ არქიტექტურული ძეგლის დაკვირვებული შედარებითი მხატვრული ანალიზისას, როგორც ეს ონე შემცირდებაშია ჩატარებული [4], ეს მოსაზრება მიუღებელი ხდება. ვახუშტის საქართველოს ისტორიაში შენიშვნებში [5] დიმიტრი ბაქრაძე იმეორებს ქტიტორის ტიტულატურასაც და თარიღსაც, როგორც ეს დ. კ. მელვინეთ-ხუცესის შვილს აქვს, ყოველგვარი ცვლილებისა და შესწორების გარეშე, და შეაქვს დანარჩენი შესწორებები წარწერის წაკითხვაში, რომლებიც უკვე ჰქონდა გათვალისწინებული თარგმანში, სახელდობრ: „ინდივტიონსა მეფეთ მეფისა გიორგისა, ძისა დიმიტრისა, მეცხრამეტესა. სიტყვისა ღვთისა ხორცაშესხმისა მიზეზო! აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა მეფეთ მეფისა გიორგისა მე მათმან მოლარეთ-უხუცესმან. ქქნ[ს] 21“.

უნდა აღინიშნოს, რომ წარწერაში ასოების გადაწყვის ხსიათისა და მათი ერთომეორეში ჩასმის მიხედვით წარწერის დასამთავრებელ ადგილზე ვერ ვიზულისხმებთ მოკლე სიტყვას „მოურავი“. ეს კარგად ჩანს ბართოლომეის მიერ ზაჟეთებულ ფაქსიმილურ ნახატში, რომელიც ბროსეს გამოცემას აქვს თანდაზული შემცირებული სახით [2]. იგივე გასწორებული წაკითხვა მოჰყავს თ. უ ორ-და ნიასაც [6], რომელიც აღნიშნავს, რომ მას გააჩნია წარწერის „პალეოგრაფიულად ზუსტი“ ასლი. თ. უორდანის ქტიტორს აქვს მოლარეთ-უხუცესის ტიტული (წოდება) და ქორონიკონის თარიღია 21.

ახლა, როდესაც მნახველები და ექსკურსანტები გუნდ-გუნდად ჩაუვლიან სილამაზით მომხიბლელს, მწვანეში ჩაფლულ ეკლესიას, რომელსაც ახლოს ცივი წყარო ჩაურბის, ისინი უკვე თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე თავისი წარწერებით ფარავენ ეკლესის თეთრ ქვას,—თანაც, განსაკუთრებით, სწორედ იმ ადგილს, სადაც ისტორიული წარწერაა მოთავსებული,—რაც მოწმობს მათს უპატივუცმლობას მშობლიური სიძველეების მიმართ და მათ დაბალ კულტურულ დონეს. ამის შედეგად ეკლესის წარწერა, დ. კ. მელვინეთ-უხუცესის შვილის მიერ წაკითხვის ასი წლის შემდეგ, უკვე არ იკითხება იმდენად ნათლად და სრულად. მაგრამ ბაქრაძეც კი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მას გააჩნია წარწერის „პალეოგრაფიულად ზუსტი“ ასლი, წერდა თავის 1875 წ. ცნობარში, რომ მასში არ არის ბოლოში აღნიშნული „ქორონიკონი 21“, როგორც კითხულობდა მისი პირველი მკვლევარი.

ეს გარემოება სპეციალურ გაშუქებას მოითხოვს. ნამდვილად, ახლა აღარ შეიძლება არსად ამ ციფრის ნაშთის აღმოჩენა. მაგრამ იმ საკითხის განსამარტებლად, თუ სად იყო ეს აღნიშვნა, არსებითი მნიშვნელობა აქვს დ. კ. მელვი-

ნეთ-ხუცესის შვილის შავ ჩანაწერებს, რომლებიც მე ხელთ მქონდა და სხვა მა-
სალებთან ერთად ლენინგრადიდან თბილისში 1917 წ. ნოემბერში გადმოგ-
ზავნისას დაიღუპა. ეს ჩანაწერები მე მანამდე დ. ზ. ბაქრაძის ქვრივისაგან მი-
ვიღე.

დაბის ეკლესიის ოთხსტრიქონიანი წარწერა შესრულებულია ნახევარწრიულ
ტიმპანზე, დასავლეთის შესასვლელის ზემოთ. ყოველი სტრიქონისათვის უფრო
და უფრო მცირე რადიუსის ნახევარწრეებია, ფარგლით შემოხაზული. ბოლოს
რჩება პატარა ნახევრადმრგვალი დისკო, რომელიც — როგორც ახლაც ჩანს,
არ იყო გამოყენებული წარწერის დასასრულის გამოსაკვეთად. მთელ წარწე-
რაში ასოების კონტურებს შემოვლებული აქვს წითელი საღებავი, როგორც ეს
აღნიშნულია პირველი გამოცემის ბეჭდვით ანგარიშში და როგორც ეს ნაწი-
ლობრივ შეიძლება დღესაც შევამჩნიოთ თვით ძეგლზეც. ყოველი მომდევნო
სტრიქონის სიგრძის შემოკლებასთან ერთად მატულობს არამარტო შემოკლე-
ბები ცალკეული სიტყვების დაწერილობაში, არამედ ერთი ასოების (ძალიან
შემცირებულების) მეორეებში ჩაწერა, რომლებსაც ზოლის მთელი სი-
მაღლე აქვთ. ყველაფერი, რაც დღეს შეიძლება ეჭვმიუტანლად ამოვიკით-
ხოთ ამ წარწერის ორი უკანასკნელი სტრიქონიდან, მოცემულია (ფოტოპირში)
რ. შემერლინგის გამოკლევაში ([4], გვ. 122, ნახ. 20). ამ ფოტოპირთან შედარება
გვიჩვენებს ბართოლომების ნახატის დაახლოვებით ხასიათს.

ამ წარწერის ფანქრით ჩანაწერებში, „მოსიე დიმიტრიმ“ გამოყო ბოლოში პა-
ტარა ნახევარდისკო, რომელშიც მის მიერ ჩაწერილი იყო 21 ციფრობრივი აღ-
ნიშვნა ასოებით („კა“). ამასთან, დანარჩენი ტექსტის ასოებთან შედარებით ეს
ორი ასო მიერ ნაკლებ გატელულად იყო დაწერილი. აშკარაა, მან კიდევ შეძ-
ლო გაერჩია ბრტყელ ნახევარდისკოზე წითელი საღებავით შესრულებული
აღნიშვნა წარწერის თარიღისა ქართული ქორნიკონით — 21 —, ე. ი. 1333.
წელი ჩვ. წ. ა. უფრო გვიან, როგორც ახლაც, ამ პირველდაწყებითი შეღები-
საგან და მთელ წარწერისგან დარჩა მხოლოდ კვალი, მაშინ, როდესაც ანგარიშ-
ში სრულად გარკვეულად აღნიშნულია, რომ წარწერა შესრულებულია

en caractères remplis de vermillion.

ამკვეთილი წარწერის შეღების ხერხს, ან წარწერის მთლიანად ან ნაწი-
ლობრივ საღებავებით შესრულებას აქვს პარალელები ჩვენს ისტორიულ სინამ-
დვილებში. ოშეის ტაძრის დიდი და დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წარწერე-
ბი შესრულებული იყო უპირატესად მხოლოდ წითელი საღებავით [7, 8]; იგივეა
აკურასა და ყანჩაეთში; წითელ საღებავ შემოვლებული ამკვეთილი წარწერე-
ბი არის, მაგ., XI საუკუნის ძეგლებზე: ხცისში — აღმოსავლეთის ფასადზე, ნი-
კორწმინდასა და იკვში — დასავლეთისაზე, დიდ გომარეთსა და დარკვეთში —
სამხრეთის ფასადზე; აგრეთვე XIII საუკუნის მიწურულის ძეგლის — საფარის
მონასტრის მთავარი ტაძრის — არქიტექტორის წარწერაზე [9].

ამრიგად, წინამდებარე მასალა, ე. ი. ერთდროული მითითება გიორგი
ბრტყინვალის მეფობის მეცხრამეტე წელზე და ჩვ. წ. ა. 1333 წელი მოწმობს
იმას, რაც პირველად აღნიშვნა ბროსემ და მიიღოთ. უორდანიამ და რაც მიღებუ-
ლია აგრეთვე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. სახელდობრ, იმას,

რომ გიორგი ბრწყინვალის მეფობის დასაწყისი არა 1318 წელია, როგორც ეს ვახუშტიმ მიიღო, არამედ 1314.

ბრძესემ მეორე გამოცემისას [2] აღნიშნა, რომ ზუსტად არაა ცნობილი, რომ მელ წელს გამეფდა გიორგი V ბრწყინვალე, რადგან არ არის ცნობილი მისი წინამდაღვილის, სახელდობრ, მისი ძმისწულის გიორგი მცირის, დავითის ძის გარდაცვლის წელი, აგრეთვე არაა ცნობილი, რა საფუველზე გამოითვალა ვახუშტიმ გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დასაწყისად 1318 წელი. არც ივ. ჯავახიშვილს აქვს საბოლოოდ დადგენილი, რომელ წელს გამეფდა გიორგი ბრწყინვალე [10].

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 15.5.1956)

დამოუმებული ლიტერატურა

1. Brosset. Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie exécuté en 1847—1848. SPbg. 1851, VI-e rapport, pp. 101—102.
2. Brosset. Lettres de M. Bartholomaei, relatives aux antiquités géorgiennes, in! *Mélanges Asiatiques*, t. II, livr. 3. SPbg. 1856, pp. 266—267, pl. I, 1—ნახატი facsimile ასლიდან.
3. დ. ვ. ბაკრაძე. Кавказ в древних памятниках христианства. Т. 1875, стр. 110 (ახ: Записки Кавказского общества любителей археологии, I, Т. 1875, стр. 126).
4. Ренэ Шмидлинг. Постройка моларет-ухуцеса царя Георгия Блиставельного в сел. Даба Боржомского района. ქართული ხელოვნება, 2, თბილისი, 1948. 111—122.
5. ვახუშტი ბატონი. საქართველოს ისტორია, განარტებული და შესცემული დ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი I. თბ., 1885, გვ. 280, შენ. 1.
6. თ. ჭორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი II, თბ., 1897, გვ. 180.
7. Е. С. Такайшивили. Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии. Тб. 1952, стр. 57 и сл.
8. Brosset. Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le père Nersés Sargisian. *Mémoires de l'Académie des Sciences*, VII-e Série, t. VIII, № 10, SPbg. 1864, pp. 6 et 7.
9. ვახტ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება XIII—XVI სს. თბილისი, 1955, გვ. 52.
10. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი III, თბ. 1949, გვ. 257—259 (და აგრეთვე 1940 წლ. გამოცემა, გვ. 162).

მთ. რედაქტორის მოადგილე ი. გიგინე შვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.9.1956; შეკვ. № 1212; ანაწყობის ზომა 7×11;

ქაღალდის ზომა 70×108; სააღრიცხო-საგამომც. უურცლების რაოდენობა 6,4;

ნაბეჭდი უურცლების რაოდენობა 8,2; უე 04591; ტირაჟი 800

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, აკ. წერეთლის ქ. № 3/5
Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР, ул. Ак. Церетели, № 3/5

270

დებულება „საქართველოს სსრ მცცნის მიმღებათა აკადემიის მოამახის“ შესახებ

1. „მოამბეში“ იბეჭდება საქართველოს სსრ მცცნის მიმღებათა აკადემიის მცცნის მუშა ქებისა და სხვა მცცნის მიმღებათა წერილები, რომლებშიც მოყლედ გადმოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.

2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მცცნის მიმღებათა აკადემიის საერთო ქრება.

3. „მოამბე“ გამოდის ყოველთვიურად (თვის ბოლოს), გარდა ივლის-აგვისტოს თვისა — ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 5 ბეჭდური თაბაზის მოცულობით თითოეული. ერთი წლის შესასვლელი ნაკვეთი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. წერილები იბეჭდება ქართულ ენაზე, იგივე წერილები იბეჭდება რუსულ ენაზე პარალელურ გამოცემაში.

5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს. არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. მცცნის მიმღებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბეჭდიად „მოამბის“ რედაქციას, სხვა ავტორების წერილები კი იბეჭდება საქართველოს სსრ მცცნის მიმღებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსახილველად და, მისი დადებითი შეფასების შემთხვევაში, წარმოსადგენად.

7. წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს აგტორის მიერ საესებით გამზადებული დასაბეჭდიად. ფორმულები მკაფიოდ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი ხელით. წერილის დასაბეჭდიად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და დამატების შეტანა არ დაიშვება.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შეძლების დაგვარად სრული საჭირო აღნიშნოს უზრნალის სახელშოდება, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა გამოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულოა წიგნის სრული სახელშოდების, გამოცემის წლისა და ადგილის მითითება.

9. დამოწმებული ლიტერატურის დასახელება წერილის ბოლოში ერთვის სიის საჭირო. ლიტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის მიხედვით, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა უნდა აღნიშნოს სათანადო ენებზე დასახელებისა და აღგილმდებარებისა დაწესებულებისა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსების დღით.

11. ავტორს ექლება გვერდებად შეკრული ერთი კორეტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დადგენილი ვადისთვის კორექტურის წარმოუდგენლობის შემთხვევაში რედაქციას უფლება იქვე შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა, ან დაბეჭდოს იგი ავტორის გიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 50 ამონბეჭდი (25 ამონბეჭდი თითოეული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოამბის“ ნაკვეთებისა, რომლებშიც მისი წერილია მოთავსებული.

აღდამცირის მისამართი: იბეჭდისი, ძმიშინების გ., 8

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, Т. XVII, № 9, 1956

Основное, грузинское издание